ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა
69
დღე

№ 127 (12 502) 31 მაისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ვნებათაღელვა ბარსელონაში

პრეზიდენტს წყალი შეუდგა »»» 6

## ბლატერს ევროპის არ ესმის

რა მოხდა ფიფას კონგრესზე? »»» 6



დღეს, ვიზეუში. ამხანაგური მატჩი. პორტუგალია-საქართველო. 21:15 LIVE საზოგადოებრივზე

# მენთეშაშვილი და ყენია ძირითადში



# პორტუგალიას ნუნუ გომეში უკაპიტნებს



წინასამატჩო ამბები და სავარაუდო შემადგენლობები »»» 2

# სერენა და ვენუსი გავარდნენ

»»» 16



# ბერძენიშვილს არ უნდა ეთამაშა



## სკანდალური სახელბურთო სერიალის გაგრძელება

»»» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია-საქართველოს წინ

# სეგრტი: უზომოდ გავიხარებ თუ მატჩი ფრედ, თუნდაც... 3:3 დასრულდება

# სკოლარი: ფრთხილად, საქართველოა!

**საქართველო**

ლორია, ლობჟანიძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, ნავალოვსკი, კობიაშვილი, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ყენია, იაშვილი, ალექსიძე

**პორტუგალია**

რიკარდუ, ბოსინგვა, პეპე, რიკარდუ კარვალიო, პაულო ფერეირა, ჟოაო მოუტინიუ, პეტიტი, დეკუ, სიმაო საბროსა, კრიშტიანუ რონალდუ, ნუნუ გომეში.



ბოსინგვა და სიმაო

პორტუგალიის ნაკრები უკვე 12 დღეა, ვიზეუში ვარჯიშობს და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას საქართველოსთან მატჩით დაამთავრებს. პირენეელმა მიმომხილველებმა გუშინ არაერთი მასალა გამოაქვეყნეს, რომელიც აღნიშნულ ამხანაგურ შეხვედრას ეხება.

გუშინ, პორტუგალიის ნაკრებმა "ფონტელოზე" ივარჯიშა, იმ არენაზე, რომელზეც დღეს მატჩი შედგება. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდის წვრთნამ კოკისპირული წვიმის თანხლებით ჩაიარა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა მასმედია მხოლოდ 15 წუთით შეუშვა ვარჯიშზე. ყოველივეს დასრულების შემდეგ კი ჟურნალისტებს გაესაუბრა და სასტარტო შემადგენლობის 11 ფეხბურთელი გაუმხილა. პორტუგალია ქართველებთან მატჩს ასე დაიწყებს: **რიკარდუ, ბოსინგვა, პეპე, რიკარდუ კარვალიო, პაულო ფერეირა, ჟოაო მოუტინიუ, პეტიტი, დეკუ, სიმაო საბროსა, კრიშტიანუ რონალდუ** და **ნუნუ გომეში**. ცნობილი გახდა, რომ გუნდს ეს უკანასკნელი უკაპიტნებს.

*"ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ ვის ეკეთება კაპიტნის სამკლაური. მთავარია, ჩვენი თამაში ვაჩვენოთ და წარმატებას მივაღწიოთ. მჯერა, ასეც იქნება"*, - აღნიშნა მედიასთან საუბარში ნუნუ გომეშმა.

საინტერესოა, თავად მწვრთნელის კომენტარიც:

*"უკვე 12 დღეა, რაც ვიზეუში ვემზადებით და შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ამჟამად ჩვენი გუნდი ნამდვილად არაა ოპტიმალურ ფორმაში. თუმცა ის კი თვალნათლივ ჩანს, რომ ნაკრები დღითი დღე უმატებს თამაშს. მთავარია, ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის დაწყებისას კარგ კონდიციაში იყვნენ. ჩვენ აქცენტს სწორედ ამაზე ვაკეთებთ.*

*რონალდუს ირგვლივ ათასი ჭორი ვრცელდება. იმასაც ამბობენ, რომ მისი სიმშვიდე, პირადი ცხოვრების გამო დარღვეულია. ზოგი ვერსიით, ის "რეალში" შესაძლო ტრანსფერზე ფიქრობს და სრულად არაა კონცენტრირებული. შემიძლია დაგამშვიდოთ, რონალდუ თავს ჩინებულად გრძნობს და შეუძლია, მოედანზე ძალები სრულად წარმოაჩინოს. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, საქართველოსთან მატჩიც დაგარწმუნებთ. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას სწორედ საქართველოსთან თამაშით ვამთავრებთ და მჯერა, რომ ეს თამაში ჩვენი მზადების გვირგვინი იქნება".*

პორტუგალიელი მიმომხილველები ჩვენს ნაკრებზეც წერენ.

*"საქართველოს ნაკრები კვირას ლამით გვეწვია. მეტოქე ვიზეუში დაბინავდა და ორშაბათისგან განსხვავებით, მატჩის წინა დღეს უკვე "ფონტელოზე" ივარჯიშა. ამ წვრთნას ჩვენი (პორტუგალიელი - ავტ.) 100 ფანი დაესწრო. ქართველებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ. მათ არ ჰყავთ გუნდის ლიდერი კალაძე. "მილანის" მცველის არყოფნაში, მეტოქის ნაკრებში ლიდერობა ალბათ კობიაშვილს ან ხიზანიშვილს დაეკისრებათ. ქართველთა ნაკრებს ხორვატი პეტარ სეგრტი წვრთნის. გუნდის თავკაცის პოსტზე, პორტუგალიასთან მატჩი მისთვის მეორეა. სეგრტს დებიუტი ესტონეთში ჰქონდა, სადაც ქართველებმა 1:1 ითამაშეს.*

*სტუმართა გუნდში ბევრი ახალგაზრდა და უცნობი ფეხბურთელია. ეს ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან საქართველო მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლისთვის უკვე შეუდგა მზადებას და ვიზეუს მატჩიც ამ ჭრილში განიხილება"*, - ვკითხულობთ სტატიაში, რომლის სათაურია *"ქართველები ბავშვებით გვეწვივნენ"*.

თუმცა სხვა ვებგვერდებზე ჩვენს ნაკრებზე განსხვავებული აზრის წაკითხვაც შეიძლება. აღსანიშნავია ისიც, რომ პორტუგალიელები საქართველოს ნაკრებზე დეტალურ ინფორმაციას ავრცელებენ.

*"მეტოქე არ მალავს, რომ 4-2-3-1 სქემით ითამაშებს. ქართველები აგრესიულ, ამავე დროს, შეტევასა და დაცვაში დაბალანსებულ სტრატეგიას ამზადებენ. სტუმართა ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი პორტუგალიის ნაკრებისა და მეტოქე სკოლარის მიმართ სიმპათიებს არ მალავს:*

*"პორტუგალია კარგი ნაკრებია. ლუიშ ფელიპე სკოლარიც ძალიან მომწონს. იმედი მაქვს, მასპინძლებისთვის კარგი სპარინგპარტნიორი ვიქნებით. თქვენი ნაკრები ბოლო ამხანაგურ მატჩს სწორედ ჩვენთან ჩაატარებს და მჯერა, რომ ეს თამაში სარგებლობას მოგიტანთ.*

*ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ვემზადებით და ამ მზადების გეგმას ეტაპობრივად მივყვებით. იმედი მაქვს, შაბათის მატჩი საქართველოს ნაკრებსაც ერთობ წაადგება. მართალია, რამდენიმე წამყვანი ფიგურა გვაკლია, მათ შორის კალაძეც, მაგრამ არაერთი საინტერესო ფეხბურთელი გვყავს. ახალგაზრდა მოთამაშეების გარდა, რატი ალექსიძეს გამოარჩევდი. მას 4 წელიწადია ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ რეაბილიტაცია მოახერხა და ნაკრებშიც დაბრუნდა.*

*ესტონეთთან მატჩის შემდეგ ორ ფეხბურთელს შევცვლი. მჯერა, რომ ფეხბურთელები ჩემს დავალებებს შეასრულებენ და გულშემატკივარი სანახაობრივ თამაშს იხილავს"*, - აღნიშნავს **პეტარ სეგრტი**.

პორტუგალიელებმა ჩვენი ნაკრების სასტარტო შემადგენლობაც გამოაქვეყნეს, რომელიც ასე გამოიყურება: **ლორია, ლობჟანიძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, ნავალოვსკი, კობიაშვილი, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ყენია, იაშვილი, ალექსიძე.**

როგორც ხედავთ, სეგრტმა ტალინური მატჩის შემდეგ სასტარტოში მართლა ორი ცვლილებას მიმართა. ხორვატმა ძირითადში **კვირკველიას** ნაცვლად ყენია გაამწესა, **ოდიკაძის** მაგივრად კი მენთეშაშვილი. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა ესტონეთში სურდოს გამო ვერ ითამაშა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პორტუგალია-საქართველოს მატჩი "ფონტელოს" სტადიონზე გაიმართება. არენა 8 387 გულშემატკივარს იტევს და ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა. მისი ფასი 15, 20 და 25 ევროა.

ერთი საინტერესო დეტალიც: სკოლარი გვთავაზობს, რომ მეტოქეებმა მატჩში 6-6 შეცვლის უფლება გამოიყენონ.

**პორტუგალიელების** მერე საქართველოს ნაკრებმა მატჩისწინა ვარჯიში გამართა. წვრთნაში ყველა ფეხბურთელი მონაწილეობდა.

პორტუგალიელებისგან განსხვავებით, ქართველების ვარჯიშისას აღარ წვიმდა. ვარჯიშს ადგილობრივთა გარდა, ქართველი გულშემატკივრებიც ესწრებოდნენ. დღევანდელ მატჩში ჩვენს ნაკრებს ასამდე გულშემატკივარი უქომაგებს. წვრთნამდე პეტარ სეგრტის პრესკონფერენცია შედგა. ხორვატმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარისა და მისი გუნდის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. თუმცა დაამატა, საქართველო შეეცდება კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

მედიასთან საუბარში ფრთხილი იყო სკოლარი:

*"ჩემი შეგირდები ზედმეტად თავდაჯერებულები მეჩვენებიან. მე ვნახე საქართველოს ნაკრების თამაში და იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. მეტოქე ტექნიკურია, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ კარგი ფეხბურთელები ჰყავს. ამ ნაკრებს შეუძლია ყველა გუნდს შეუქმნას პრობლემები"*. ეს ნათქვამი კი ერთ-ერთმა ქართველმა მოგვაწოდა, რომელიც უკვე წლებია პორტუგალიაში ცხოვრობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვიზეუში მცხოვრებთ **კრიშტიანუ რონალდუ** არ უყვართ. მასზე ამბობენ, უფრო შოუმენია, ვიდრე ფეხბურთელიო. ნამდვილი და ტოპ კლასის ფეხბურთელი **ლუიშ ფიგუაო.**

საინტერესოა თუ რას ფიქრობს პორტუგალიასთან მატჩის წინ პეტარ სეგრტი. წუხელ, მას სწორედ ამიტომ დავუკავშირდით.

*"ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მეტოქესთან გვიწევს თამაში. რა თქმა უნდა, ყველანაირად ვეცდებით ტაქტიკურად გამართული ფეხბურთი ვითამაშოთ. თუმცა, მხოლოდ ამით არ დავკმაყოფილდებით და მცირედ რისკსაც გავწევთ. სწორედ ამიტომ ყენია სასტარტო შემადგენლობაში იქნება.*

*ჩემთვის პორტუგალია ევროპის ჩემპიონატის №1 ფავორიტია. კრიშტიანუ რონალდუ კი №1 ფეხბურთელი. მის გარდა, პორუგალიას დეკუ, სიმაო, კარვალიო, პეპე და სხვა მსოფლიო დონის მოთამაშეები ჰყავს. ბედნიერი ვიქნები თუ ჩვენი ახალი ფორმაციის ნაკრები, ამ ვარსკვლავების წინააღმდეგ კარგ თამაშს აჩვენებს. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ეს მატჩი კარგი სკოლა იქნება. რაც მთავარია, გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავით, კარგი სინთეზი უნდა მივიღოთ. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ ეს მატჩი ფრედ, თუნდაც... 3:3 დამთავრდება"*, - აღნიშნა პეტარ სეგრტმა.

დაბოლოს, პორტუგალია-საქართველოს მატჩი 18:15 სთ-ზე (თბილისის დროით 21:15 სთ-ზე) დაიწყება. ამ თამაშის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.

**დავით ცაბაძე**



კვარეშმა და ბრუნო ალვეში

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ლოკომოტივი ინტერტოტოსთვის მზადებას იწყებს

## რატომ თქვეს უარი კლუბებმა ევროტურნირზე?

თბილისის "ლოკომოტივმა" ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი დაადასტურა. რუსთავის "ოლიმპი", თბილისის "ამერი", ახალციხის "მესხეთი", ზუგდიდის "მგლები", ბოლნისის "სიონი" და "ბორჯომი" ის გუნდები არიან, რომლებმაც ამ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ანუ მეოთხედან მეცხრე ადგილის ჩათვლით, არცერთ გუნდს ფინანსური თუ იურიდიული მდგომარეობა ევროტურნირზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა ან სურვილი არ აღმოაჩნდა.

განვიხილოთ დეტალურად, ვინ რა მიზეზით თქვა უარი:

1. რუსთავის "ოლიმპის" ხელმძღვანელობა ახალი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს და მათ გეგმებში არ ჯდება სეზონში უადგილოდ ჩაჩხერილი ინტერტოტოს გათამაშება. ახალი გუნდის ჩამოყალიბების დროს, დიდი სასელექციო სამუშაოა ჩასატარებელი, ინტერტოტოზე მონაწილეობა კი გუნდს ჩვეული რიტმიდან ამოაგდებს და სეზონისთვის ფეხბურთელების გამოფიტვის საშიშროება შეიქმნება.

2. თბილისის "ამერმა" თავიდანვე უარი განაცხადა, მოტივი იგივეა – სეზონისთვის ნორმალური მომზადების რიტმი ირღვევა.

3. ახალციხის "მესხეთი", უარისმთქმელებისგან განსხვავებულ პრობლემებს წააწყდა. კლუბის ხელმძღვანელობას მონაწილეობის დიდი სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ საჭირო ლიცენზია არ აღმოაჩნდა – მისი ინფრასტრუქტურა დღეისათვის ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

4. ზუგდიდის "მგლების" მონაწილეობაც ანალოგიური მიზეზით გამოირიცხა.

5. ბოლნისის "სიონს" ლიცენზია აქვს, მაგრამ აქაც რუსთავის სურათია – ახალი გუნდის ჩამოყალიბება იწყება და საკლუბო სტრატეგიაში სეზონისთვის მომზადების დაგვიანებით დაწყება მიუღებლად ჩათვალეს. სასელექციო მუშაობაში ტურნირის ჩატარების ვადა ხელისშემშლელი ფაქტორი გახდებოდა.

6. "ბორჯომის" დამფინანსებლებსაც ჰქონდათ მონაწილეობის სურვილი, მაგრამ ლიცენზია – არა. უმაღლესი ლიგის დიდი ხნის ბინადარმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და საკითხი დღემდე ვერ მოაგვარა.

მხოლოდ თბილისის "ლოკომოტივი" აღმოჩნდა ის გუნდი, რომელსაც სურვილიც აღმოაჩნდა და საჭირო ლიცენზიაც, ინტერტოტოზე მონაწილეობის მისაღებად. უფრო თუ დავაზუსტებთ, თბილისური კლუბის ხელმძღვანელობამ ქართული ფეხბურთის ინტერესებით იხელმძღვანელა – სხვაგვარად, საქართველო ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეს ველარ წარმოადგენდა.

კლუბის მეპატრონეები და მწვრთნელები ტურნირისთვის "ლოკომოტივის" უკეთეს გამოსვლაზე ფიქრობენ და სასელექციო მუშაობას შეუდგნენ. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, თბილისელები რა შემადგენლობით ითამაშებენ, დარჩებიან თუ არა **ლევან ცქიტიშვილი, ვიტალი დარასელია** და **რატი ალექსიძე**.

ინტერტოტოს თასის გათამაშების წილისყრამ საქართველოს წარმომადგენელი ლუქსემბურგის კლუბს დაუწყვილა. პირველი ეტაპის მატჩები 21-22 და 28-29 ივნისს გაიმართება – "ლოკომოტივი" პირველ მატჩს 21 ივნისს სტუმრად გამართავს.

გამარჯვების შემთხვევაში, მეორე ეტაპზე თბილისელთა მეტოქე (5-6 და 12-13 ივლისს) რუსული კლუბი იქნება. პირველი მატჩი ქართველებს ისევ სტუმრად დაუგეგმეს, ამ წყვილში გამარჯვებული კი მესამე, ბოლო ეტაპზე გერმანიის წარმომადგენელს დაუპირისპირდება – ეს თამაშები 19-20 და 26-27 ივლისსაა დაგეგმილი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბოიომო ზესტაფონში, ჩასემი სტანდარდში

## დავით კირკიტაძე სიონს უბრუნდება?



ბოლნისის "სიონს" მომავალი სეზონიდან დიდი გეგმები აქვს. არაა გამორიცხული, კლუბში საპატიო პრეზიდენტის რანგში ისევ **დავით კირკიტაძე** დაბრუნდეს. ჩვენი ინფორმაცია "სიონის" პრესატაშე **ჯემალ ჭიპაშვილმა** დაგვიდასტურა: *"დავით კირკიტაძე "სიონის" საპატიო პრეზიდენტი იყო იმ სეზონში, როდესაც ჩემპიონობა მოვიპოვეთ. მას უკავშირდება ჩვენი კლუბის აღორძინება. ნამდვილად არაა გამორიცხული, ბატონი დავითი ამავე რანგში დაგვიბრუნდეს. სხვათა შორის, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნაყოფია და გუბერნატორი კირკიტაძე, სხვადასხვა საკითხთან ერთად, ხალხს შეპირდნენ, რომ "სიონი" სერიოზულ კლუბი გახდება და კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ასეც მოხდება."*

მისივე თქმით, მომავალ სეზონში ბოლნისელებს ისევ სამხარეო ადმინისტრაცია, ბოლნისის გამგეობა და "მადნეული" დააფინანსებენ. ასე რომ, "სიონი" მომავალ წელს სიურპრიზებს გვპირდება.

ბოლნისელთა პრესატაშემ "ლელოს" სხვა ინფორმაციებიც დაუდასტურა. როგორც შევიტყვეთ, "ზესტაფონში" ქვემოქართლელთა ცენტრალური მცველი **ბოიომო ფრიდოლინი** გადავიდა, **ერიკ რომეო ჩასემის** წაყვანა კი ბაქოს "სტანდარდში" **კახა ცხადაძეს** სურს.

*"რაც შეეხება ჩასემს, მისი ტრანსფერი გამორიცხული არაა. ბოიომო კი, ფაქტობრივად, "ზესტაფონის" ფეხბურთელია. ეს ინფორმაცია შემიძლია დაგიდასტუროთ,"* – გვითხრა ჭიპაშვილმა.

ბევრისთვის უცნობი ფაქტია, რომ "სიონიდან" წასული კიდევ ერთი კამერუნელი ფეხბურთელი **გასტონ ევოჩე** სამშობლოში არ დაბრუნებულა და საქართველოში დარჩა. მის გვარს ტყუილად ნუ მოიძიებთ უმაღლესი ან პირველი ლიგის გუნდების განაცხადებში და საერთოდ, ფეხბურთში. ის ამჟამად თბილისის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობს და აფრიკაში დაბრუნებას არც აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ლოკომოტივის შანსი: დარასელია–ცქიტიშვილი–ალექსიძით ინტერტოტოზე

## რატომ არის ფინკე მაგარი?

განვლილ სეზონში თბილისის "ლოკომოტივი" უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა და საქმეს თავი გაართვა. სეზონის დასრულების შემდეგ კი რამდენიმე გუნდმა უარი თქვა ინტერტოტოს თასზე თამაშზე და "ლოკომოტივსაც" გზა გაეხსნა ევროსარბიელისკენ - ამ ტურნირზე საქართველოდან ეროვნულ ჩემპიონატში მეათე ადგილზე გასული გუნდი გამოვა.

ზაზა ზამთარაძე "ლოკომოტივის" ერთ-ერთი მწვრთნელია, მისი და გიორგი კიკნაძის მნიშვნელოვანი დამსახურებაცაა, გუნდი უმაღლესი ლიგიდან რომ არ გავარდა. ზამთარაძე ახალგაზრდა, მაგრამ ამავე დროს უკვე გამოცდილი მწვრთნელია, "ლოკომოტივამდე" უმაღლესი ლიგის ორ გუნდში მწვრთნელობდა კიკნაძესთან ერთად.

ზამთარაძეს "ლოკომოტივის" გარდა სხვა აქტუალურ თემებზეც ვესაუბრეთ.

- რა პროგრამით მოემზადება "ლოკომოტივი" ინტერტოტოს თასზე ლუქსემბურგის "ეტცელასთან" მატჩისთვის?

- ვარჯიშს 5 ივნისიდან დავიწყებთ, ხოლო რა პროგრამით მოვემზადებით, 2-3 დღეში გაირკვევა.

- ჯერ არც ის არის გადაწყვეტილი, ვინ დარჩება და წავა "ლოკომოტივიდან"?

- არა, ეს ჯერ გაურკვეველია.

- განვლილი სეზონის მეორე წრე დაწყებული იყო, სამი გამოცდილი და სახელიანი ფეხბურთელი რომ დაიმატეთ: ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი და რატი ალექსიძე. მათი "ლოკომოტივში" დარჩენა გამორიცხულია?

- მთლად მასეც არა არის საქმე, არის შანსი, რომ მათ ისევ ითამაშონ "ლოკომოტივში".

- რომ არა ეს სამეული, უმაღლეს ლიგაში დარჩენის რა შანსი ჰქონდა "ლოკომოტივს"?



ზაზა ზამთარაძე

- პრაქტიკულად არანაირი, ისინი ჩვენი მეგობრები არიან და მეგობრულად დაგვეხმარნენ.

**- ერთ-ერთ საინტერესო მწვრთნელად ითვლები და ისიც ცნობილია, რომ სულ ცდილობ სამწვრთნელო ცოდნის გაღრმავებას, ერთხელ ეროვნულ ნაკრებს შოტლანდიაშიც გაჰყევი, რათა ჩაგენიშნა, თუ როგორ ამზადებდა კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებს იმ მატჩისთვის. რა შეგძინა საქართველოს გუნდებში მუშაობამ?**

- ვგრძნობ, რომ წინსვლა მაქვს. რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონი რომ გახდა, პირველ წრეში კიკნაძე და მე ვწვრთნიდით, შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში" წავედით, სადაც დიდ ხანს არ გვიმუშავია, მერე კი "ლოკომოტივი" იყო. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო გზა გამოვიარე.

**- შარშან ლევან კობიაშვილის დახმარებით გელზენკირხენის "შალკეში" იყავი სტაჟირებაზე - ახლო მომავალში კიდევ ხომ არ აპირებ წასვლას?**

- ამ ზაფხულს დავით მუჯირის დახმარებით მოსკოვის "ლოკომოტივში" ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ახლა ინტერტოტოსთვის საგანგებოდ უნდა მოვემზადოთ და მოსკოვში ველარ წავალ.

**- ორი წელიწადი "ფრაიბურგის" ფეხბურთელი იყავი, თუმცა ბუნდესლიგაში არ გითამაშია, მხოლოდ ერთხელ იყავი საბუნდესლიგო მატჩის განაცხადში. მიუხედავად ამისა, ფოლკერ ფინკეს კარგად უნდა იცნობდე, სწორედ მის დროს იყავი "ფრაიბურგში". რას იტყოდი ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატზე?**

- ორი წელიწადი "ფრაიბურგის" მეორე გუნდში, რეგიონალლიგაში ვითამაშე. ფინკე ძლიერი სპეციალისტი ყველაზე მეტად იმიტომაა, რომ პერიფერიული გუნდი ცხრა წელიწადი ათამაშა ბუნდესლიგაში და ორჯერ უეფას თასის საგზური მოაპოვებინა. ბადენ-ვიურტემბერგში წამყვანი გუნდები "შტუტგარტი" და "კარლსრუე" არიან და "ფრაიბურგისგან" ასეთ წარმატებებს არავინ ელოდა. წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში სოფლის გუნდმა რამდენიმე წელიწადი სტაბილურად, კარგად რომ ითამაშოს - დაახლოებით ასეთი რამ მოახერხა ფინკემ. მას ძალიან კარგად ეხერხება ადამიანებთან ურთიერთობა, თანაც ისე, რომ აუცილებელ დისტანციას ინარჩუნებს. ის ძალიან კარგი წვრთნელი და ასეთივე პიროვნებაა.

**- საფეხბურთო კონცეფციის მხრივ რას იტყოდი ფინკეზე?**

- შემტევი და ლაღი ფეხბურთის მიმდევარია, როცა ფეხბურთელი შეტევაშია, მის ინდივიდუალიზმს არ ზღუდავს.

**- როგორ ფიქრობ, თუ ფინკეს დანიშნავენ, რას შემატებს ის საქართველოს ნაკრებს?**

- აქ მას იმდენი პრობლემა დახვდება, ამ კითხვაზე პასუხს გაცემა გამიჭირდება.

**- რას გულისხმობ?**

- ქართული ფეხბურთის საერთო დონე ათი წლის წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაეცა. როცა საქართველომ ინგლისთან წააგო, ალექსანდრე ჩივაძეს ეს არ აპატიეს, ახლა კი... რატი ალექსიძემ ოთხი წელიწადი გამოტოვა, დაბრუნდა და საქართველოს ჩემპიონატის თერთმეტ თამაშში ცხრა გოლი გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**

# აზერბაიჯანიდან მეექვსე ქართველი გაუშვეს

აზერბაიჯანის ჩემპიონატი სულ ახლახან დასრულდა, თუმცა ლამის ყოველდღიურად ვიგებთ, რომ აზერბაიჯანული კლუბებიდან ქართველ ლეგიონერებს უშვებენ. სამწუხაროდ, ეს უკვე ტენდენციას ჰგავს. თან შეგახსენებთ, რომ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ლიგაზეა საუბარი. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე გამოაცხადეს, რომ „კაბალა" აღარ აპირებდა კონტრაქტის გაგრძელებას **ირაკლი ვაშაკიძესთან** და **ზურაბ მამალაძესთან**. ამას მოყვა, „ქარვანის" მიერ ქართული ტრიოს - **ალექსანდრე ინწკირველი, რომან ახალკაცი, გოჩა ტრაპაიძე** - დათხოვნა იმავე მიზეზით. გუშინ ცნობილი გახდა, რომ აგდამის „ყარაბახი" გამოეთხოვა ქართველ ნახევარმცველ **გოგა ბერაიას**. გოგა და **ირაკლი ბერაიები** წინა სეზონში ამ კლუბში თამაშობდნენ, თუმცა ამ სეზონის წინ ძმების გზები გაიყო, ირაკლი „თურანში" გაუშვეს (სერიოზული ტრავმის შემდეგ ფორმა ვერ აღიდგინაო). მან ბოლო ტურში „ბაქოს" კარში გატანილი დუბლით თაუზის გუნდი უმაღლეს ლიგაში დატოვა. „ყარაბახს" შესანიშნავი სეზონი გამოუვიდა, დევნილთა გუნდი 41 ქულით საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## შოთა არველაძის მეგობრები და საქართველოს ეროვნული ნაკრები

3 ივნისს, 18:00 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შოთა არველაძის გასაცილებელი მატჩი გაიმართება. სტადიონზე მისული გულშემატკივრები მსოფლიოს ვარსკვლავების, მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელების თამაშს იხილავენ. მატჩზე დასასწრები ბილეთები 31 მაისიდან ეროვნული სტადიონის სალაროებში გაიყიდება. ბილეთების ფასი 5, 7 და 10 ლარი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ადამიასთან

# ნეფთჩიში კიდევ ერთი წლით ვრჩები



მართალია, ბაქოს "ნეფთჩი" მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, რამაც კლუბის მეპატრონეებს სიხარული ვერ მოჰგვარა, მაგრამ ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ადამიამ აზერბაიჯანის დასრულებული პირველობა მაღალ დონეზე ჩაატარა. მისით მწვრთნელიც კმაყოფილი იყო და გულშემატკივარიც.

სეზონის დასრულებისთანავე დაიწყო საუბრები გიორგის მომავალზე, ხან სად უშვებდნენ და ხან - სად.

რა ხდება რეალურად ქართველი ლეგიონერის თავს, ამას თავად გიორგი ადამიას ინტერვიუდან შეიტყობთ.

- გიორგი, ათასი ინფორმაცია ვრცელდება შენი მომავალი კლუბის შესახებ, ხან „ინტერი" ითქვა, ხან რუსეთის პირველი ლიგის კლუბი, რომელიც ნახევარ მილიონს იხდის და ა.შ. რეალურად სად მიდიხარ?

- არსადაც არ მივდივარ, "ნეფთჩიში" ვრჩები, 8 ივნისს გუნდს შეკრებაზე მივყვები და ინტერტოტოზეც ვითამაშებ.

**- მცირე ხნის წინათ, "აზერისპორტმა" შენი ინტერვიუ გამოაქვეყნა, თუკი "ინტერში" გადავალ, ეს ბუნებრივი იქნებაო. ამ ინტერვიუს შემდეგ რა შეიცვალა, "ნეფთჩიდან" წასვლა რომ გადაიფიქრე?**

- სიმართლე გითხრათ, თავიდან "ნეფთჩის" დატოვება მსურდა. თუმცა ბოლოს ვითარებას რომ გადავხედე და გაუმჯობესებული კონტრაქტი შემომთავაზეს, მისაღებ ვარიანტად ჩავთვალე. ამას გარდა, "ნეფთჩიში" საკმაოდ დიდი პერსპექტივა დავინახე.

ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს და მომავალ სეზონში ჩვენ ვერავინ დაგვჩაგრავს. მან ფეხბურთის განვითარების ათწლიანი პროგრამით მხარდაჭერა მოიპოვა და დარწმუნებული ვარ, ძველ პრეზიდენტზე უკეთ მოახერხებს ფულის მოზიდვას.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- ერთწლიანი, რაც ჩამოვედი, მას შემდეგ, უფრო ხანგრძლივი არასდროს გამიფორმებია. არცაა საჭირო, ასე მირჩევნია და საჭიროების შემთხვევაში კლუბსაც შედარებით იოლად შევიცვლი.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები და ეროვნულში მიწვევის პრეტენზიის მქონე ფეხბურთელისთვის, აზერბაიჯანში დარჩენა გამართლებულად მიგაჩნია? იქნებ მაგიტომაც არ გიწვევენ ნაკრებში?**

- მალე გამოჩნდება, აზერბაჯანის ფეხბურთი როგორც განვითარდება. რომ იცოდეთ, დღეს აზერბაიჯანული კლუბები უკვე უკრაინელებზე უკეთეს ფულს იხდიან, თუ არ ჩავთვლით, კიევის "დინამოს", დონეცკის "შახტიორსა" და "დნეპრს". ყველა დანარჩენებს "ნეფთჩი" და კიდევ 6-7 კლუბი ფინანსურად აჯობებეს.

რაც შეეხება ნაკრებს, მე არ ვიცი, რატომ არ მიწვევენ. არ მგონია, აზერბაიჯანის ჩემპიონატი ისეთი საშინელება იყოს, ფეხბურთელის მიწვევა სასირცხვო იყოს.

**- აზერბაიჯანში სამწელიწადნახევარია თამაშობ და თვლი, რომ გაიზარდე?**

- რა თქმა უნდა, ეს სხვამ უნდა შეაფასოს, მაგრამ რადგან დემიანენკო მენდობა და ძირითადში უპრობლემოდ მათამაშებს, გამოდის, გავიზარდე. ძალიან მიხარია, მთავარ მწვრთნელად ეს კაცი რომ დანიშნეს, მენდობა და მაფასებს. კიევის „დინამოში" ნამუშევარი სპეციალისტის ნდობა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მართლა კარგი თვალით მიყურებს, ძალიან თბილი და კეთილი ადამიანი, ისეთი, მწვრთნელებში იშვიათად რომ გვხვდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

# ალადაშვილმა ხარკოვი დატოვა

ქართველ მცველ **კახა ალადაშვილს** ზაფხულში კიდევ ერთხელ მოუწევს ახალი კლუბის მოძებნა. 24 წლის ფეხბურთელი კიევის „დინამოს" ეკუთვნის, მაგრამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და უკვე მესამე კლუბი შეიცვალა იჯარით – „დნეპრი", „ზაკარპატიე" და ახლა „ხარკოვი".

ალადაშვილი „ხარკოვიდანაც" წამოვიდა, მას კლუბთან საიჯარო ვადა დაუსრულდა და საკითხავი ახლა ესაა – სად ითამაშებს ზაფხულიდან ქართველი ფეხბურთელი, რომლის ტალანტიც კიევის „დინამოს" ლაბირინთებში იკარგება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ზუბა ტყავაძესთან

# გვინდა, გავძლიერდეთ

## დობეში წავიდა, ოვონო და აკირემი რჩებიან

**სატრანსფერო** პერიოდში ცვლილებები თბილისის "დინამოსაც" შეეხება. ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელების მიმართ ინტერესი დიდია სხვადასხვა კლუბის მხრიდან. ვინ წავა, ვინ დარჩება, ვინ რომელი კლუბის ინტერესის სფეროშია, ვინ უთავკაცებს "დინამოს"... "ლელოს" კითხვებს კლუბის დირექტორი ზუბა ტყავაძე პასუხობს.



**- როგორ შეაფასებდით განვლილ სეზონს?**

- სანამ გიპასუხებდეთ, ერთ მომენტზე გავამახვილებდი ყურადღებას. ხუთშაბათს ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები გვეწვივნენ. მოგეხსენებათ, ისინი 3 ივნისის მატჩისთვის ემზადებიან. ისინი ყოფილი დინამოელები არიან და ეს ძალიან გვეამაყება. მათ ჩვენი კლუბის ისტორიის შექნაში დიდი წვლილი დაიდეს და ამისათვის მადლობა მინდა გადავუხადო.

რაც შეეხება კითხვას, ჩვენ მიერ დასახული მიზანი - ჩემპიონობა, მიღწეულია. "დინამო" ყველა სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძვის, თუმცა წინა ორ სეზონში ოქროს მედლები ვერ მოვიპოვეთ. მიზნისკენ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით, ორი წლის წინათ მესამეზე, შარშან კი მეორე ადგილზე გავედით. წლეულს უახლოეს მდევარს 10 ქულით გავუსწარით. მსგავსი რამ ბოლო 10 წლის განმავლობაში არ მომხდარა. მოკლედ, გუნდის ასპარეზობა დადებითად უნდა შევაფასოთ.

მდევართან 10-ქულიანი სხვაობის მიუხედავად, სეზონი ჩვენთვის იოლი ნამდვილად არ იყო. პირიქით, ჩემპიონატი დაძაბული იყო, ამასთან, უსამართლობასაც ბევრჯერ შევეჩეხეთ. მიუხედავად ყველაფრისა გავიმარჯვეთ და მინდა მადლობა გადავუხადო მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ტექპერსონალს, ქომაგებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩვენს გუნდს ბოლომდე მხარში ედგა. •

**- სატრანსფერო პერიოდი დადგა და ცვლილებები "დინამოსაც" შეეხება. მთავარი მწვრთნელით დავიწყოთ, რომელიც შესარჩევი გყავთ.**

- მადლიერება მინდა გამოვხატო დუშან უჰრინის მიმართ, რომელმაც უდიდესი სამუშაო გასწია. მართალი გითხრათ, გვინდოდა, უჰრინს მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ მას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ გუნდი ჩემპიონი გახდებოდა, სამწვრთნელო კარიერას დაასრულებდა. მართალი გითხრათ, არ მახსენდება "დინამოდან" მწვრთნელი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ მიდიოდეს. აქამდე იყო მოხსნა, გაგდება და ა.შ. დაძაბული ურთიერთობები. ჩვენ მწვრთნელთან კონტრაქტი დავასრულეთ, თბილად, სიყვარულით, მეგობრულად დავცილდით ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ უჰრინი "დინამოს" მწვრთნელი აღარ იქნება, მასთან ურთიერთობას კვლავაც გავაგრძელებთ.

**- აგენტმა აკა ტონიამ ორი უცხოელი მწვრთნელის კანდიდატურა შემოგთავაზათ.**

- რაკი მწვრთნელს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდებოდა, მის შემცვლელზეც დავიწყეთ ფიქრი. ასე რომ , კანდიდატებიც გვყავს, მათთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. აზრებს გავუზიარებთ ერთმანეთს და თუ დავინახავთ, რომ ჩვენი ინტერესები და შესაძლებლობები ემთხვევა, მაშინ უკვე კონკრეტულად შეგვეძლება კანდიდატურების დასახელება და სხვა დეტალებზე საუბარი.

**- ამ ეტაპზე რამდენი კანდიდატი გყავთ შეგულებული?**

- კონკრეტულად ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ისე კი, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მწვრთნელების კანდიდატურებს განვიხილავთ.

**- "დინამოს" ახალი მწვრთნელი როდის ეყოლება?**

- გუნდი 10 ივნისს შეიკრიბება და გვინდა ამ პერიოდისთვის გუნდს უკვე ჰყავდეს ახალი თავკაცი. თუმცა არც ისაა გამორიცხული, მთავარი მწვრთნელი მოგვიანებით შეუერთდეს გუნდს.

**- დუშან უჰრინამდე "დინამოს" კახა კაჭარავა თავკაცობდა. შესაძლოა, კვლავ ის გახდეს მთავარი მწვრთნელი?**

- თავიდანვე, როცა უცხოელი მწვრთნელის მოწვევა გადავწყვიტეთ, გვინდოდა, ქართველი ასისტენტი ჰყოლოდა და გამოცდილება გაემდიდრებინა. ასეთად, კახა კაჭარავა შევარჩიეთ. ვფიქრობ, კაჭარავამ უჰრინის გვერდით ბევრი რამ ისწავლა. ასე რომ, ვნახოთ.

**- ახლა ფეხბურთელებზე ვთქვათ. ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე დინამოელი უცხოური კლუბების ინტერესების სფეროშია. გაბონელებით დავიწყოთ. დიდიე ოვონოს გადაბირება "ესპანიოლს" სურს, ხოლო ჯორჯ აკირემი მოსკოვის "ლოკომოტივის" ინტერესის სფეროშია...**

- არ მახსოვს, "დინამოს" ფეხბურთელებზე ასეთი მოთხოვნა ყოფილიყოს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გუნდში სწორი სელექცია. თითქმის ყველა იმ ფეხბურთელზეა ინტერესი, რომელთაც კლუბთან კონტრაქტები აქვთ. აქვე გეტყვით, რომ რომან დობეშს უკვე დაუმთავრდა კონტრაქტი და ის სამშობლოში გაეგზავრა. ასევე დაუმთავრდა კონტრაქტი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს და შეუძლიათ თავადვე გადაწყვიტონ თავიანთი ბედი.

ჩვენი სურვილია, კიდევ უფრო გავაძლიეროთ გუნდი. თუმცა, ვნახოთ, რამდენად გავწვდებით ყველა ფეხბურთელის შენარჩუნებასა და გაძლიერებას. ოპტიმალურ ვარიანტს ვეძებთ, ვინ დააკლდება გუნდს შედარებით ნაკლებად და ვისი დამატება სჯობს.

ოვონო და აკირემი ახსენეთ, მათ კლუბთან კვლავაც კონტრაქტები აკავშირებთ. ორივე ფეხბურთელს ოფციონის წესით გაფორმებული ხელშეკრულება აქვს, კონტრაქტის გაგრძელებაზე ექსკლუზიური უფლება კლუბს ეკუთვნის. ჩვენ უკვე გამოვიყენეთ ეს უფლება და ამ ფეხბურთელებს ვუთხარით, რომ გვინდა გუნდში დარჩნენ. გაბონელი ლეგიონერების მიმართ მართლაც არის ინტერესი, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ არ გადასულა იმ სტადიაში, კონკრეტულად რომ ვისაუბროთ.

**- ანუ არაა გამორიცხული, რომ ევროტურნირებზე ასპარეზობის შემდეგ, თუ კლუბები მორიგდნენ, გაბონელებიდან რომელიმეს გამოეთხოვოთ?**

- ყველა კლუბი ზრუნავს, რომ ტრანსფერში მისი ინტერესიც იყოს გათვალისწინებული. ამ მხრივ არც "დინამოა" გამონაკლისი. აქედან გამომდინარე, არაფერია გამორიცხული. ასე რომ, თუ პირობები ჩვენი კლუბისთვის მისაღები იქნება, მაშინ ტრანსფერი სავარაუდოდ ევროტურნირების შემდეგ შედგება.

**- დავით ოდიკაძით ავსტრიული "შტურმი" და ლვოვის "კარპატია" დაინტერესებული. რა სტადიაშია ეს საქმე და შედგება თუ არა ოდიკაძის ტრანსფერი?**

- ოდიკაძე ნაკრების ფეხბურთელია. სამწუხაროდ, მას გარკვეული პერიოდი გაუცდა, მაგრამ შეძლო ფორმის აღდგენა და ახლა ჩვეულ კონდიციებშია. აქედან გამომდინარე, არ მიკვირს, რომ მის მიმართ ინტერესი არსებობს. მართალი გითხრათ, ოდიკაძეზე, ჯერჯერობით, ოფიციალურად არცერთი კლუბი არ დაგვკავშირებია. როცა მსგავსი წინადადება იქნება, ამას არც დავმალავთ.

**- გიორგი მერებაშვილის გადაბირება "ტრაბზონსა" და ათენის აეკ-ს სურთ.**

- განვლილ სეზონში მერებაშვილი არა მარტო "დინამოში", არამედ მთლიანად ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, საუკეთესო თუ არა. ჩვენი აზრით, ის მართლაც იმსახურებს უკეთეს ლიგაში თამაშს და თუ ასეთი გუნდიდან ექნება წინადადება, მას ხელს არ შევუშლით. ამ ეტაპზე კონკრეტული წინადადება არაა. საერთოდ კი, ვფიქრობ, რომ ზაფხულის პაუზისას გუნდში დიდი ცვლილებები არ მოხდება.

**- დობეში წავიდა და ალბათ მარცხენა მცველი დაგჭირდებათ. კიდევ რომელ პოზიციებზე გააძლიერებთ გუნდს და რა ბედი ელით განათხოვრებულ ფეხბურთელებს?**

- მარცხენა მცველად ბოლოს გველესიანი თამაშობდა, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა. ასე რომ, არჩევანი უნდა გავაკეთოთ - სხვა თუ გველესიანი? რაც შეეხება სხვა პოზიციებს, გვინდა, შეძლებისდაგვარად ყურადღება ყველას მივაქციოთ.

ჩვენ ის ფეხბურთელები გავანათხოვრეთ, რომლებიც ტრანსფერზე დავაყენეთ. ამას გარდა, ახალგაზრდებიც, რომლებსაც მთავარ გუნდში თამაში არ მოუწევდათ და გვინდოდა, უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება ჰქონოდათ. ყველა ის ფეხბურთელი რომელიც განათხოვრებული იყო, ჩვენი ყურადღების ცენტრშია. თითოეული მათგანი გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს და მერე გამოჩნდება, ვინ როგორ წარმოჩნდება.

**- ზელიჩსაც დაუმთავრდა კონტრაქტი. ის დარჩება თუ წავა?**

- ჩვენთის სასიხარულოა, რომ ასეთი დონის ფეხბურთელი ჩვენს გუნდში თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ტრავმა აწუხებდა, მაინც ითამაშა მთელი სეზონი. "დინამოს" ჩემპიონობაში ზელიჩს დიდი წვლილი მიუძღვის. მას ახლა ოპერაცია ესაჭიროება, რისთვისაც 3-4 კვირა იქნება საჭირო. დღეისათვის ის ფეხბურთელის კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, მაგრამ მწვანე მინდორთან გამოთხოვებაც ეძნელება. ტრავმის მოშუშების შემდეგ, შესაძლოა, კვლავაც გაუჩნდეს თამაშის სურვილი. თბილისიდან გამგზავრებამდე ვუთხარით, რომ ოპერაციისა და რეაბილიტაციის შემდეგ კიდევ დავუკავშირდებით და ყველაფერს მერე გადავწვეტთ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. მგლები

# შედეგიანი დებიუტი და სამომავლო გაურკვევლობა

## მგლები

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| მაჭავარიანი | 24 | 24 | - | 2 | - |
| დ. ქირია | 24 | 23 | 3 | 3 | - |
| კაკაბაძე | 22 | 22 | 1 | 3 | - |
| ივარდავა (მეკ.) | 22 | 21 | -28 | 2 | - |
| ზ. ექონია | 21 | 21 | 1 | 4 | - |
| ვართაგავა | 21 | 21 | - | 5 | 2 |
| კრასოვსკი | 20 | 20 | 2 | 2 | - |
| წურწუმია | 20 | 15 | - | 1 | - |
| კუტალია | 16 | 9 | 4 | 5 | - |
| ჭკადუა | 15 | 9 | 2 | 1 | - |
| ჯანაშია | 14 | 10 | 4 | 1 | - |
| ჟვანია** | 12 | 12 | 1 | 1 | - |
| გაბედავა* | 12 | 4 | 1 | 2 | - |
| ძომეთიანი | 12 | 4 | - | - | - |
| ხუბუა* | 11 | 11 | - | 3 | - |
| ბაკარანძე* | 11 | 5 | 2 | - | - |
| ჯოჯუა* | 10 | 10 | - | 1 | 1 |
| ჭედია* | 9 | 9 | 6 | 1 | - |
| ხუხია | 9 | 6 | - | 1 | - |
| ხოხონიშვილი** | 8 | 8 | - | 4 | - |
| გ. ექონია** | 8 | 2 | - | 2 | - |
| ფარულავა* | 8 | - | - | - | - |
| გ. ქირია** | 7 | 4 | - | 1 | - |
| ვ. ლიპარტია | 6 | - | - | - | - |
| ნარსია* | 4 | 3 | - | - | - |
| ძალდანი (მეკ.)** | 3 | 3 | -3 | - | - |
| ი. ჯიშკარიანი** | 3 | - | - | - | - |
| ჭითანავა | 2 | 1 | -4 | - | - |
| კუჭუხიძე** | 2 | - | - | - | - |
| დევაძე (მეკ.)* | 1 | 1 | -1 | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| ***7. მგლები*** | ***26*** | ***10*** | ***3*** | ***13*** | ***27-33*** | ***33*** |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |





ბესიკ შეროზია

**პირველი** ლიგიდან ამოსული ორივე გუნდი უმაღლეს ლიგას თავიდანვე გაუშინაურდა და იმთავითვე ცხადი გახდა, რომ "მგლებსა" და "მესხეთს" არა მხოლოდ უმაღლესში დასარჩენად ბრძოლა, წამყვანი ქართული კლუბებისთვის ღირსეული წინაალმდეგობის გაწევაც შეეძლოთ. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ზუგდიდელთა სადებიუტო სეზონი მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. გულშემატკივარმა რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი გაიცნო. უმაღლეს ლიგას საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და რაც მთავარია, თვითმყოფადი ბინადარი შეუერთდა.

### ბესიკ შეროზია

მთავარი მწვრთნელი

"რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, ზუგდიდური კლუბი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ვფიქრობ, "მგლებმა" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თანაც, პირველი წრის შემდეგ გუნდი 7-მა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი შედეგი არ გაუარესებულა".

### საუკეთესო მატჩი

"მარცხის მიუხედავად, ყველაზე კარგად "დინამოსთან" ვითამაშეთ. ჩემპიონმა მხოლოდ 93-ე წუთზე გაგვიტანა გამარჯვების გოლი. "დინამოსთან" ჩატარებული მატჩით პირველ წრეშიც კმაყოფილი დავრჩი. ასევე მაღალ დონეზე ვითამაშეთ შინ "ზესტაფონთან" და ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"ყველაზე ცუდად სტუმრად "ამერთან" ვითამაშეთ. ამას თავისი მიზეზები აქვს. გლდანში შეხვედრა განახევრებული შემადგენლობით ჩავატარეთ და დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის მიზეზი, პირველ რიგში, სწორედ ეს იყო.".

### პლუსი

"სადებიუტო სეზონი ასეთ მაღალ დონეზე რომ ჩავატარეთ, ეს ჩვენი ფეხბურთელების პროფესიონალიზმმა და თავდადებულმა შრომამ განაპირობა. ყველა მატჩში კონცენტრირებულნი და მობილიზებულნი ვიყავით".

### მინუსი

"საგოლე მომენტების რეალიზებაში მოვისუსტებთ და ამ კომპონენტის გამოსასწორებლად ბევრი შრომა გვმართებს. რომ არა ეს პრობლემა, ჩემპიონატს კიდევ უფრო მაღალ პოზიციაზე დავასრულებდით".

### მომავალი სეზონი

"სამზადისს 15 ივნისიდან დავიწყებთ. ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოვემზადებით და სად გავივლით შეკრებას".

### მიზანი

"ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, თორემ ამ გუნდს კიდევ უფრო კარგი შედეგებისთვის შეუძლია ბრძოლა".

### საკადრო პოლიტიკა

"გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება, თუმცა შემადგენლობაში გარკვეულ კორექტივებს მაინც შევიტანთ. 3-4 ძლიერი ფეხბურთელის დამატებასაც ვაპირებთ".

### ფინანსური მდგომარეობა

"ამ მხრივ ჯერჯერობით, გაურკვევლობაში ვართ. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. მოსაგვარებელია სპონსორის პრობლემა, თორემ რეგიონის ბიუჯეტით ძლიერი კლუბი ვერ გვეყოლება. წესით, ყველაფერი დადებითად უნდა გადაწყდეს".

### რჩეულნი

"ჩვენი გუნდი ყველა რგოლში თანაბრადაა დაკომპლექტებული, ასე რომ, ვინმეს გამორჩევისგან თავს შევიკავებ. სხვა გუნდებიდან კი დინამოელ **გიორგი მერებაშვილს** გამოვარჩევდი".

### მგლები და ქომაგი

"შესანიშნავი გულშემატკივრები გვყავს, რომლებიც მუდამ მხარში გვიდგანან. კარგად იცით, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ძალიან ცოტა ხალხი ესწრება, გამონაკლისი მხოლოდ ზესტაფონი და ზუგდიდია. "მგლების" საშინაო თამაშებზე 2-3 ათასი ადამიანი სტაბილურად დადის".

### მსაჯობა

"მსაჯობის დონე აშკარად იზრდება. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ არა მგონია, არბიტრებს რომელიმე გუნდი გამიზნულად დაეჩაგრათ".

### ორი ჩემპიონატის შედარება

"მიმდინარე და წინა ჩემპიონატის დონეებს შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. სანამ მოედნების პრობლემას არ მოევლება, პირველობის დონის ამაღლებაზე საუბარიც არ შეიძლება".

**ლევან ჯანეზაშვილი**




| | | |
|---|---|---|
| **I ტური** | | |
| ს | მესხეთი | 0:1 |
| **II ტური** | | |
| შ | მერანი | 1:0 |
| გოლი: ჭედია | | |
| **III ტური** | | |
| ს | ზესტაფონი | 0:2 |
| **IV ტური** | | |
| შ | სპარტაკი | 2:0 |
| გოლები: ბაკარანძე, გაბედავა | | |
| **V ტური** | | |
| ს | ლოკომოტივი | 1:0 |
| გოლი: ქირია | | |
| **VI ტური** | | |
| შ | დინამო | 1:2 |
| გოლი: ქირია | | |
| **VII ტური** | | |
| ს | დილა | 3:1 |
| გოლები: ჭედია (2), კრასოვსკი | | |
| **VIII ტური** | | |
| შ | ბათუმი | 1:0 |
| გოლი: ჭედია | | |
| **IX ტური** | | |
| ს | ოლიმპი | 1:2 |
| გოლი: ჭედია | | |
| **X .ტური** | | |
| შ | ამერი | 0:1 |
| **XI ტური** | | |
| შ | ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| **XII ტური** | | |
| ს | ბორჯომი | 3:4 |
| გოლები: ლ. კუტალია (2), ჭედია | | |
| **XIII ტური** | | |
| ს | სიონი | 1:3 |
| გოლი: ბაკარანძე | | |
| **XIV ტური** | | |
| ს | მერანი | 1:0 |
| გოლი: დ. ქირია | | |
| **XV ტური** | | |
| შ | ზესტაფონი | 0:0 |
| **XVI ტური** | | |
| შ | მესხეთი | 1:0 |
| გოლი: კრასოვსკი | | |
| **XVII ტური** | | |
| ს | სპარტაკი | 0:0 |
| **XVIII ტური** | | |
| შ | ლოკომოტივი | 0:0 |
| **XIX ტური** | | |
| ს | დინამო | 0:1 |
| **XX ტური** | | |
| შ | დილა | 5:0 |
| გოლები: ჟვანია, ჭკადუა, ზ. ექონია, კაკაბაძე, ჯანაშია | | |
| **XXI ტური** | | |
| ს | ბათუმი | 0:2 |
| **XXII ტური** | | |
| შ | ოლიმპი | 0:2 |
| **XXIII ტური** | | |
| ს | ამერი | 0:5 |
| **XXIV ტური** | | |
| შ | სიონი | 1:0 |
| გოლი: ჯანაშია | | |
| **XXV ტური** | | |
| ს | ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| გოლი: ჯანაშია | | |
| **XXVI ტური** | | |
| შ | ბორჯომი | 4:2 |
| გოლები: კუტალია (2), ჯანაშია, ჭკადუა | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

# ოცნება რეალიზებულია

## ამაურიმ მოაწერა




ამაური კონტრაქტის გაფორმების შემდეგ

**კარვალიო ამაური** უკვე ოფიციალურად იუვენტუსელია. "პალერმოს" ან უკვე ყოფილმა ფორვარდმა "ბებერ ქალბატონთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამაური წლიურად 2.8 მილიონ გირვანქას მიიღებს, სიცილიურ კლუბს კი "იუვენტუსი" 9.8 მილიონ გირვანქას გადაუხდის. ამავე დროს, "პალერმო" სანახევრო მფლობელობას მიიღებს ნახევარმცველ **ანტონიო ნოჩერინოსა** და იმედისმომცემ ფორვარდ **დავიდე ლანცაფამეზე**.

ბოლო სეზონში ამაურიმ 15 გოლი გაიტანა. "იუვენტუსი" მას ჰპირდება სპეციალურ ბონუსს, თუკი მომავალ ჩემპიონატში 20 ბურთს შეაგდებს. **კლაუდიო რანიერი** ფრიად დელიკატურ სიტუაციაში აღმოჩნდება. მას თავდასხმაში **ალესანდრო დელ პიერო** და **დავიდ ტრეზეგე** ჰყავს. სად უნდა ითამაშოს ამაურიმ? ამასწინათ, იტალიური ფეხბურთის ლეგენდა **ჯანკარლო ანტონიონი** ამბობდა, ბრაზილიელი ძირითადიდან ან დელ პიეროს ამოაგდებს, ან ტრეზეგეს. შესაბამისად, ამ სამეულს შორის უმძაფრესი კონკურენციაა მოსალოდნელი და რანიერისაც იოლი არჩევანი ნამდვილად არ ექნება. არ დაგვავიწყდეს, "იუვენტუსს" **ვინჩენცო იაკვინტა** და **რაფაელე პალადინოც** ჰყავს. აქედან გამომდინარე, უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ, რომ ტურინელები ერთ-ერთ (თუ ორივეს არა) მათგანს აუცილებლად გაყიდიან.

ახლა კი ფრაგმენტი ამაურის პრესკონფერენციიდან: *"რვა წლის წინათ, როცა იტალიაში ჩამოვედი, ოცნება მქონდა, დიდ კლუბში მეთამაშა. ახლა, ეს ოცნება რეალიზებულია და იმედი მაქვს, "იუვენტუსთან" ერთად გამარჯვებებს მივაღწევ. ვიცი, რომ "მილანიც" აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ "იუვენტუსი" ჩემი პირველი არჩევანი იყო. იმ დღიდან, როცა გავიგე, რომ "ბებერ ქალბატონს" სურდა ჩემთან კონტრაქტის გაფორმება, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ტურინში ჩამოვიდოდი".*

# მისი ერთადერთი სურვილი

## გადაწყდა: კასანო სამპდორიას ეკუთვნის




"რეალმა" დაადასტურა, რომ **ანტონიო კასანო** "სამპდორიას" მიჰყიდა. კალჩოს ყველაზე ჭირვეული ბიჭუნა გენუაში არენდის წესით თამაშობდა. "სამპის" წარმატებულ სეზონში მას დიდი წვლილი მიუძღვის. მართალია, ფორვარდის კვალობაზე 22 მატჩში 10 გოლი არცთუ შთამბეჭდავი შედეგია, მაგრამ ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ლამის ერთი ამდენი "დორიას" ფეხბურთელებმა მისი გადაცემებით გაიტანეს.

კასანოსთვის ამ სეზონის გვირგვინი და ჯილდო ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება იყო. თითქმის ყველა იტალიელი ექსპერტი და მიმომხილველი თანხმდება იმაში, რომ **რობერტო დონადონის** 23-კაციან სიაში ადგილს ის ულაპარაკოდ იმსახურებს. ერთადერთი, ვინც "სკუადრა აძურას" მწვრთნელის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენა, **კარლო ანჩელოტია**, რომელმაც კასანოს ნაცვლად "დონს" **ფილიპო ინძაგის** წაყვანა ურჩია...

მაგრამ ეს უკვე წასული ამბავია. ახლა ის ვთქვათ, რომ ლიგურიელები "რეალს" 5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. კონტრაქტი 5-წლიანია. იტალიური კლუბი მადრიდელებს ამ თანხას 3 წლის განმავლობაში გადაუხდის. კასანო კი სეზონურად 2.2 მილიონ გირვანქას მიიღებს. *"უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. უკვე ოფიციალურად გავხდი "სამპდორიას" ფეხბურთელი და ეს იყო სწორედ ჩემი ერთადერთი სურვილი"*, - უთხრა კასანომ ჟურნალისტებს.

ბარსელონა. ვნებათაღელვა კატალონიაში

# რონალდინიო და დეკუ ლაპორტას წასვლას ელოდებიან

## პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტი მზადდება

**რონალდინიომ** და **დეკუმ**, შესაძლოა, "ბარსელონაში" გააგრძელონ კარიერა. ამ ინფორმაციას "დიარიო მარკა" ავრცელებს. ბრაზილიელი და პორტუგალიელი ვარსკვლავები კლუბში მიმდინარე მოვლენებს გაფაციცებით აკვირდებიან და გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ. კატალონიის დედაქალაქში ხმები დადის, რომ **ჟოან ლაპორტას** საპრეზიდენტო დღეები დათვლილია. მიმომხილველთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა საზოგადოების პრესინგს ვერ გაუძლებს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. თუ მოვლენები ამგვარად განვითარდება, სავარაუდოა, რომ ლაპორტა ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. აბსოლუტურად ყველა გამოკვლევის თანახმად, ამჟამინდელი პრეზიდენტი "ბარსელონის" "სოსიოების" მინიმალური მხარდაჭერით სარგებლობს. მარტივად რომ ვთქვათ, სენიორ ჟოანს 19-პროცენტიანი რეიტინგი აქვს და ალბათ, კარგად ხვდება, რომ ასეთი მხარდაჭერით თანამდებობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს.



ჟოან ლაპორტა

ექსპერტების ვარაუდით, ლაპორტას წასვლის შემთხვევაში, კატალონიური გრანდის დირექტორატში რამდენიმე წლის წინ სკანდალურად გაგდებული **სანდრო როსელი** დაბრუნდება. რონალდინიოსა და დეკუსთან დაახლოებული კორესპონდენტები აცხადებენ, რომ ისინი სწორედ ამ დღეს ელოდებიან. აღსანიშნავია, რომ ორივე ვარსკვლავის ტრანსფერი როსელის სახელს უკავშირდება. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა თავის დროზე კოლოსალური სამუშაო შეასრულა. მან "პარი სენ ჟერმენთან" ურთულესი მოლაპარაკებები უმოკლეს დროში დაასრულა. როსელმა "პორტუს" ხელმძღვანელებიც ბეჭებზე დასცა და დეკუს სახით, "კამპ ნოუზე" არაჩვეულებრივი ნახევარმცველი ჩაიყვანა. ფეხბურთელები არასოდეს მალავდნენ, რომ სანდრო როსელთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ.

"დიარიო მარკას" მიერ გავრცელებული ინფორმაცია საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. თავად განსაჯეთ, სეზონი დასრულებულია, რონალდინიოს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ევროპის წამყვან კლუბებთან გამალებული მოლაპარაკებები წამოიწყოს, მაგრამ გაუჩო ამ ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს. იგივეს თქმა შეიძლება დეკუსთან მიმართებაშიც. მართალია, პორტუგალიელი ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, მაგრამ მის მენეჯერს ხომ შეუძლია გულმოდგინედ იმუშაოს და კლიენტს ახალი კლუბი კონტინენტის პირველობის დაწყებამდე გამოუნახოს. დეკუს მთელი საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს და მას ევრო 2008-ზე არაფრის დამტკიცება არ სჭირდება. თუ რომელიმე კლუბს მასთან თანამშრომლობის სურვილი გააჩნია, თავისუფლად შეუძლია, კონტრაქტზე ახლავე დაელაპარაკოს.

ლაპორტას საქმე მართლაც ცუდადაა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "ბარსას" გულშემატკივართა საინიციატივო ჯგუფმა მისი გადაგდომის მოთხოვნით 36 765 გულშემატკივრის ხელმოწერა შეაგროვა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფში, მხოლოდ და მხოლოდ, 16 კაცი შედიოდა. წარმოიდგინეთ, ამ საქმეს ინჩასების სოლიდურმა ნაწილმა რომ მოკიდოს ხელი, ლაპორტა რა შედეგს მიიღებს. როგორც მოგახსენეთ, პრეზიდენტის კატასტროფულ არაპოპულარობაზე უკლებლივ ყველა სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგი მეტყველებს. ყველაზე საინტერესო ერთ-ერთი კომპანიის მიერ შესრულებული დაკვეთაა. ამ კომპანიამ არა მარტო კატალონიასა და ესპანეთში მცხოვრები გულშემატკივრები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული "ბარსას" ფან კლუბების წევრებიც გამოკითხა. შედეგი ამ შემთხვევაშიც უცვლელი იყო, გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მომხრეა და ლაპორტას თანამდებობიდან წასვლას ითხოვს.

მისთვის გაცილებით შემაშფოთებელი "სოსიოების"რადიკალური განწყობაა. გუშინ გაცხადდა, რომ "ბარსელონის" საზოგადოების წევრები პრეზიდენტის იმპიჩმენტს ამზადებენ. როგორც სახელმწიფოს შემთხვევაში, იმპიჩმენტს აქაც გარკვეული პროცედურების ჩატარება სჭირდება. ეს არ არის იოლი საქმე, მაგრამ თავად ამ ფაქტზე საუბრის დაწყება უკვე ბევრზე მიანიშნებს. უდავოა, ლაპორტას მძიმე დღეები უდგას. "ბარსას" პრეზიდენტმა რაღაც უნდა ილონოს, თორემ სავარძელი გამოეცლება. სენიორ ჟოანმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"მზად ვარ, ყველას მოვუსმინო, მაგრამ ვერ ვხვდები, აპოკალიფსურ გარემოს რატომ ქმნიან. ჩემი პრეზიდენტობის განმავლობაში უდიდესი ტიტულები მოვიპოვეთ და ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩავწერეთ. ჩემი აზრით, წარმატებული პრეზიდენტი ვარ. გაფანლები და ისტორია დადებითად შეგვაფასებს. მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ფენომენალური სამუშაო შევასრულეთ. სრულიად ხელმოცარული და სასონარკვეთილი გუნდი ჩავიბარეთ და უმცირეს დროში უმაღლესი მწვერვალები დავიპყარით. მე ის პრეზიდენტი ვარ, რომელმაც "ბარსელონას" ჩემპიონთა თასი მოუტანა. ევროპულ საკლუბო ფეხბურთში ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. რა თქმა უნდა, პრობლემებიც გვქონდა. შეუძლებელია, თანამედროვე ფეხბურთის კონკურენტულ გარემოში ყოველთვის ერთმა გუნდმა მიაღწიოს წარმატებას. ძალიან რთულია, ყოველი მატჩი ერთი და იმავე დონეზე ჩაატარო. ფეხბურთელებიც ადამიანები არიან. მორალურად და ფიზიკურად ილლებიან. შეიძლება, მწვრთნელის პრობლემაზეც ვისაუბროთ. რაიკაარდი პარიზული ტრიუმფის შემოქმედია, მაგრამ ბოლო ორ სეზონში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. შესაძლოა, ჩვენს ყოფილ დამრიგებელს იდეები შემოაკლდა. უკეთესი იქნებოდა, რაიკაარდი გასული სეზონის შემდეგ გაგვეშვა, მაგრამ შეცდომას ყველა უშვებს. მიუხედავად ყველაფრისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ტიტულებს დავიბრუნებთ. პრეტემპორადას ნაყოფიერად ჩავატარებთ. მჯერა, პეპ გვარდიოლა "ბარსას" ძველ სახეს დაუბრუნებს. პროტესტის მიუხედავად, ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ. არ მინდა, კონფრონტაციამ დაგვაზარალოს. იმედია, საერთო ენას გამოვნახავთ."*

ილია ნიკოლაიშვილი

ფიფა

# ევროპა ბლატერის კანონებს არ სცნობს

ფიფას კონგრესმა ეროვნულ ჩემპიონატებში უცხოელ ფეხბურთელებზე ლიმიტი დააწესა. "6+5" - ასეთია პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** მიერ შეთავაზებული ახალი წესი. ის ძირითად შემადგენლობაში ექვსი ადგილობრივი ფეხბურთელისა და ხუთი ლეგიონერის ყოფნას გულისხმობს. ბლატერის იდეა არ მოსწონთ უმდიდრეს ევროპულ კლუბებს. ფიფას ახალი წესი ევროკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპსაც ეწინააღმდეგება. ესაა მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების პრინციპი. ფიფას კონგრესმა პრეზიდენტის ვარიანტს ერთხმად დაუჭირა მხარი, უეფას კი დაავალა, საგულდაგულოდ გადახედოს ევროპულ კანონმდებლობას და გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა ევროპულ კლუბებში მაქსიმალურად დაიცვას ადგილობრივი ფეხბურთელების უფლებები.

კონგრესმა სხვა საინტერესო საკითხებზეც იმსჯელა. მაგალითად, გადაწყდა, რომ 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნების ვინაობას ერთდროულად გამოაცხადებენ. ფიფას აღმასკომმა გადაწყვეტილება არა უგვიანეს 2011 წლის ივნისისა უნდა მიიღოს. მასპინძლის დიდი ხნით ადრე დასახელება ამ ქვეყნებს ხელს შეუწყობს, რათა ტურნირისთვის უკეთ მოემზადონ. 2010 წლის მუნდიალს სამხრეთი აფრიკა უმასპინძლებს, 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში გაემგზავრება. 2018 წლის ტურნირის ორგანიზებაზე პრეტენზიას აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, რუსეთი, კატარი, ჩინეთი იაპონია და ავსტრალია.

ამავე კონგრესზე ფიფამ ოფიციალურად დაასრულა ურთიერთობა "მასტერქარდთან". მხარეებს შორის კონფლიქტი 2006 წელს დაიწყო, როდესაც ფიფამ ახალ სპონსორთან "ვიზა ინტერნეშენალთან" გააფორმა კონტრაქტი. "მასტერქარდთან" ადრე ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ფიფა ვალდებული იყო, კონტრაქტი ჯერ ამ კომპანიისთვის შეეთავაზებინა და თუ პირობები არ დააკმაყოფილებდა, მხოლოდ ამის შემდეგ მოეძებნა ახალი პარტნიორი. ფიფამ პირობა არ შეასრულა. "მასტერქარდმა" სასამართლოს მიმართა და საბოლოოდ, კომპენსაციის სახით, 90 მილიონი დოლარი მიითვალა. ამხელა ხარჯის მიუხედავად, ფიფამ გასული წელი 49 მილიონი დოლარის მოგებით დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008

# ფრაიმ რეკორდი დაამყარა

## კერჟაკოვი ევროპის ჩემპიონატზე შეიძლება მაინც გაემგზავროს...

### შვეიცარია

ნუხელ ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელმა ლიხტენშტაინთან ამხანაგური მატჩი ჩაატარა და როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ანგარიშით მოიგო. შვეიცარიელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, აქედან ორი **ალექსანდერ ფრაიმ** მიითვალა და თავისი ქვეყნის რეკორდსმენი გახდა. მას ნაკრებში 35 გოლი დაუგროვდა. 28 წლის ფრაიმ ერთი ბურთით გადაუსწრო **კუბილაი თურქილმაზს**. მესამე გოლი **იოჰან ფონლანტენის** ანგარიშზეა. შვეიცარიელებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავდათ დაშავებული - ნახევარმცველი **ტრანკილო ბარნეტა**, რომელიც, სავარაუდოდ, 7 ივნისს, ჩეხეთთან პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

### ჩეხეთი

ჩეხებმა შოტლანდიას დამაჯერებელი ანგარიშით მოუგეს, 3:1. სტუმართა კარში ორი გოლი "რეინჯერსის" ყოფილმა ნახევარმცველმა **ლიბორ სიონკომ** გაიტანა, ერთი - **მიხალ კადლეცმა**. შოტლანდიელებმა მეტოქეს დებიუტანტი **დევიდ კლარკსონის** გოლით უპასუხეს. ჩეხების თავკაცი **კარელ ბრიუკნერი** ნახევარმცველების თამაშით უკმაყოფილო დარჩა. აღსანიშნავია, რომ შოტლანდიელებს ამ მატჩზე 1 800 გულშემატკივარი ჩაჰყვა. ჩეხები მეტ ამხანაგურ მატჩს აღარ გამართავენ. წინა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები A ჯგუფში პორტუგალიას, თურქეთსა და შვეიცარიას შეხვდებიან.

### რუსეთი

მთავარი მწვრთნელი **გუუს ჰიდინკი** გერმანული შეკრებით უკმაყოფილოა. მისი გუნდი პატარა ქალაქ როტახშია დაბინავებული. ამხანაგურ მატჩებს კი ბურგჰაუზენში ატარებს. რუსებმა სწორედ იქ დაამარცხეს სერბეთის ნაკრები (2:1). უკმაყოფილების მიზეზი ისაა, რომ შეკრების ორგანიზატორები მწვრთნელს არწმუნებდნენ, სასტუმროდან სტადიონამდე მაქსიმუმ ერთ საათსა და ოც წუთში მიხვალთო. სერბეთთან თამაშის წინ კი გაირკვა, რომ ერთ გზას მინიმუმ ორი საათი სჭირდებოდა. თამაშის შემდეგ, გუნდი სასტუმროში ისე გვიან დაბრუნდა, რომ ჰიდინკი იძულებული გახდა, მეორე დილისათვის დანიშნული ვარჯიში გადაედო.

სერბეთთან მატჩისას რუსეთს "ზენიტის" საუკეთესო ბომბარდირი **პაველ პოგრებნიაკი** დაუშავდა. მან მუხლი იტკინა. ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე შეიძლება ველარ ითამაშოს. ჰიდინკმა განაცხადა, რომ პოგრებნიაკის გამოჯანმრთელებას ბოლო წუთამდე დაელოდება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეცვლის მას. მოსკოვის "დინამოს" თავდამსხმელმა **ალექსანდრ კერჟაკოვმა** განაცხადა, რომ თუ მას ნაკრებში გამოიძახებენ, დაუყოვნებლივ გაემგზავრება. ნაკრებში თამაშისათვის მზადყოფნა გამოთქვა "ლევერკუზენის" ფორვარდმა **დმიტრი ბულიკინმაც**. ვერც კერჟაკოვი და ვერც ბულიკინი ჰიდინკის 23-კაციან განაცხადში ვერ მოხვდნენ. D ჯგუფში რუსეთის მეტოქეები იქნებიან ესპანეთი, საბერძნეთი და შვედეთი.

### ესპანეთი

დღეს ესპანელები პერუსთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. **ლუის არაგონესმა** გადაწყვიტა, ლათინოამერიკელებთან შემტევი ტაქტიკა გამოცადოს. პირველ ტაიმში თავდასხმაში **დავიდ ვილია** და **ფერნანდო ტორესი** ითამაშებენ. მეორე ნახევარში კი გუნდი არაგონესის საყვარელ სქემაზე, 4-1-4-1-ზე გადაეწყობა. *"ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდებმა სამი საკონტროლო შეხვედრა დაგეგმეს. მე ორი მატჩი ვარჩიე, რათა ფეხბურთელებისათვის დასვენების საშუალება მიმეცა. პრიმერა დივიზიონის, ჩემპიონთა ლიგისა და სათასო ტურნირების შემდეგ ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში არ იმყოფებიან,"* - დასძინა ესპანელთა თავკაცმა. ოთხშაბათს, ესპანეთი ამერიკის ნაკრებს შეხვდება. D ჯგუფის შემადგენლობა, სადაც ესპანეთის ეროვნული გუნდი ითამაშებს, ზემოთ უკვე გაგაცანით.



ალექსანდრ ფრაი შვეიცარიის ნაკრების ახალი რეკორდსმენია

ევრო 2008. გერმანია. ინტერვიუ პერ მერტეზაკერთან

# სანერვიულო არაფერია, ევროპის ჩემპიონატს იდეალურ მზადყოფნაში შევხვდებით!

## ბუნდესგუნდის დაცვის ბურჯი ბელორუსთან ფრით ტრაგედიას არ ქმნის

**მალიორკაზე** შეკრებილი, ევროპის ჩემპიონატის სამზადისში მყოფი გერმანიის ნაკრები დღეს მეორე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. იოახიმ ლიოვის გუნდი სერბეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. როგორც იცით, ალემანებმა პირველი ტესტმატჩი ბელორუსის ნაკრებთან ფრედ 2:2 დაასრულეს, რის შემდეგაც გერმანულმა პრესამ ბუნდესგუნდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. კრიტიკა პირველ რიგში დაცვის ხაზს შეეხო - ბელორუსებისგან ორი გოლი როგორ გაუშვითო. იოგის გუნდის დაცვის ბურჯი პერ მერტეზაკერი ამბობს, ამაზე უარესადაც გვითამაშია და ვფიქრობ, მოსამზადებელ პერიოდში გაკიცხვის ღირსები არ ვართო. 23 წლის უკანახაზელს, რომელსაც ბუნდესნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი ფაქტობრივად განაღდებული აქვს, "შპორტ აინსის" კორესპონდენტი გაესაუბრა.



პერ მერტეზაკერს (ვერდერი) გერმანიის ნაკრებში 42 მატჩი აქვს ჩატარებული

**- პერ მერტეზაკერ, ახლა რა ვქნათ, ვინერვიულოთ და ვიფიქროთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი უსუსტესი დაცვის ხაზი გვეყოლება?**

- რატომ?

**- იმიტომ, რომ ბელორუსის ნაკრებთან მთელმა გუნდმა ცუდად ითამაშა და განსაკუთრებით დაცვამ გაგვიცრუა იმედები. როცა ევროპის საშუალოზე დაბალი დონის გუნდისგან 2 გოლს გაუშვებ, გრანდებთან რისი იმედი უნდა გქონდეს?**

- სხვას რას ელოდით?

**- დაცვის ხაზის შეთანხმებულ, აზრიან თამაშს და რა თქმა უნდა, იმას, რომ გერმანიის ნაკრები ასეთ გუნდთან 2 გოლს არ გაუშვებდა. მით უმეტეს მას მერე, რაც 2:0-ს იგებდით.**

- ხომ ხედავთ, თქვენს კითხვას თქვენვე გაეცით პასუხი.

**- პერ მერტეზაკერ, დაგვეთანხმებით, ახლა ხუმრობის დრო არ არის. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი კვირაა დარჩენილი...**

- მოდით, სერიოზულად ვისაუბროთ. პირდაპირ ვიტყვი, ამაზე უარესი მატჩებიც ჩაგვიტარებია და უარესი შედეგებიც გვქონია. ჩვენ მოსამზადებელი პერიოდი გვაქვს, ეს შეკრებაა, სადაც ყველა ფეხბურთელი და ყველა ტაქტიკა უნდა გამოიცადოს. ჩემი აზრით, ამხანაგური თამაშისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს. თამაშამდე ორი დღით ადრე უდიდესი დატვირთვებით ვვარჯიშობდით და არც ეს უნდა დაგვავიწყდეს. დამერწმუნეთ, ამის შემდეგ, ორ დღეში მატჩის ჩატარება არც ისე იოლია და ვფიქრობ, 2:2 გვეპატიება. სამაგიეროდ, შეცდომები დავინახეთ, ვიცით, რა მხრივ უნდა ვიმუშავოთ და ა.შ. დამიჯერეთ, პოლონეთთან მატჩისთვის იდეალურ მზადყოფნაში ვიქნებით.

**- მიხაელ ბალაკმა განაცხადა, ის, რომ ფეხბურთელები ამ დროს დაღლილები არიან, ძალიან კარგია, რადგან გამოდის, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ძალები არ დაუზოგავთო. სამაგიეროდ, კაპიტანმა არაფერი თქვა იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ მოთამაშეები ტურნირის დაწყებამდე ძალების აღდგენას...**

- სწორედ ეს არის ხელოვნება - როდესაც გადაღლილი ხარ და მაინც ძალებს მოიკრებ. მოდით, შეფასებები მომავლისთვის გადავდოთ. წინასწარ მარჩიელობას აზრი არა აქვს. დაველოდოთ ჯგუფური ეტაპის დასრულებას და მერე ვთქვათ, შევძელით თუ არა ძალების დროულად აღდგენა და რეაბილიტაცია.

**- ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ გერმანია ჯგუფიდან გავა?**

- გადამეტებული თავდაჯერება, რა თქმა უნდა, დამღუპველია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არც საბაბი და არც სურვილი, რომ ავნერვიულდეთ და ქაოტურები გავხდეთ. პირიქით, ეს უფრო უარესი იქნება და დამღუპველიც. რადგან როცა ნერვიულობ, ყველაზე მეტ შეცდომას სწორედ მაშინ უშვებ. ასეთი მცირე წაფორხილებები, მით უმეტეს, მოსამზადებელ პერიოდში აბსოლუტურად ნორმალური და მეტსაც გეტყვით, სასურველიც კია, რადგან უმჯობესია, შეცდომები ახლა დავუშვათ და მერე გამოვასწოროთ, ვიდრე უშუალოდ ტურნირზე, სადაც ერთი შეცდომაც კი, შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეს. ეს ყველაფერი ჩვენი დაცვის ხაზზსაც ეხება. სხვათა შორის, ბელორუსის ნაკრებს ცუდად არ უთამაშია. ესეც არ იყოს, კაიზერსლაუტერნში საკმაოდ ცხელოდა. თავად განსაჯეთ, მეორე ტაიმში იმის თავიც აღარ მქონდა, რომ გაშვებული გოლის გამო გავბრაზებულიყავი.

**- ანუ, როგორია თქვენი აზრი: გერმანიამ ითამაშა ცუდად, თუ ბელორუსმა კარგად?**

- მოდით, ასე ვიტყვი: ნამდვილად შეგვეძლო, რომ გაცილებით უკეთ გვეთამაშა. მაგრამ ბოლოს კონცენტრაცია საბოლოოდ დავკარგეთ. ბურთსაც იოლად ვკარგავდით და ნორმალურ კომბინაციებსაც კი ველარ ვათამაშებდით. მეორე ტაიმში, გაშვებულმა გოლებმა გული დაგვწყვიტა. ეჭვი მაქვს, რომ სრული კონცენტრაციითა და 100 პროცენტიანი მონდომებით ვერც სერბებთთან ვითამაშებთ. მაგრამ ეს არაფერი, ევროპის ჩემპიონატზე ყველაფერი იდეალურად იქნება.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება? გუნდს ატყობთ პროგრესს?**

- მწვრთნელებმა გვითხრეს, 8 ივნისისთვის ფიზიკურად იდეალურად იქნებით მომზადებულებიო და ჩვენც გვჯერა.

**- ანუ, პირადად თქვენ გუნდს ვერანაირ პროგრესს ვერ ატყობთ?**

- როგორ არა, მაგალითად, ოთხშაბათს უკვე უკეთესად გამოვიყურებოდით. პირველად ვიგრძენი, რომ განტვირთული და უფრო მონდომებული ვიყავი. მანამდე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მძიმე ჩანთამოკიდებული კაცი. ბელორუსის ნაკრებთან ტესტ-მატჩშიც ასე იყო. ამ დროს კი, ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას არ იღებ და ბევრ შეცდომებს უშვებ.

**- ორი წლის წინათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, პოლონეთთან მატჩის შემდეგ კრისტოფ მეტცელდერმა განაცხადა, მე და მერტეზაკერმა საერთო ენა გამოვნახეთ და ერთმანეთს იდეალურად ვუგებთო. ახლა როგორ არის ამ მხრივ მდგომარეობა?**

- მე და კრისტოფი ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. მუნდიალის შემდეგ ერთად იშვიათად ვთამაშობდით და ცხადია, ველარ ვართ ისე შეთამაშებულები, როგორც მაშინ. ფაქტია ისიც, რომ ამისათვის გარკვეული დრო დაგვჭირდება, მაგრამ გპირდებით, რომ უშუალოდ ტურნირზე ერთმანეთს ძველებურად გავუგებთ.

**- მაგრამ მაშინდელისგან განსხვავებით, წლეულს მეტცელდერს ძალიან მცირე სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა. თქვენგან განსხვავებით, მან ამ სეზონში მხოლოდ 12 მატჩი ჩაატარა...**

- ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მეტცემ ტესტმატჩებში მუდმივად ითამაშოს, მოსამზადებელი შეკრება მაქსიმალურად გამოიყენოს. სხვათა შორის, კრისტოფს ფორმაში შესვლა 2006 წელსაც გაუჭირდა, რადგან იმ სეზონშიც ტრავმებით იყო გატანჯული.

**- ბელორუსის ნაკრებთან თავდაჯერებულობა არც იენს ლემანს ეტყობოდა. როგორც გრძნობთ თავს თქვენ, ცენტრალური მცველი, როცა მეკარე ნერვიულობს?**

- ლემანთან ერთად უკვე იმდენი მატჩი მაქვს ჩატარებული და იმდენი რამ გადავიტანე, რომ რომც ნერვიულობდეს, ეს მე არ გადმომედება, რადგან ვიცი, რომ ძალიან მაღალი კლასის მეკარეა. დისკუსიები მეკარეების შესახებ ნამდვილად აღარ გვჭირდება და ძალიან გთხოვთ, ეს თემა დავხუროთ. ლემანსაც 100 პროცენტით ვენდობი და მეტცელდერსაც.

**- და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მეტცელდერს ეს დრო ფორმის აღსადგენად არ ეყოფა?**

- მაშინ რამე უნდა მოვიფიქროთ.

**- გეტყობათ, რომ კრიტიკის გამო პრესაზე განაწყენებული ხართ...**

- იცით, ჩვენ თქვენზე მეტად გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ, კონტინენტის პირველობაზე თავი არ შევირცხვინოთ. თუ ასე არ მოხდება, პასუხისმგებლობასაც არ გავექცევით. უბრალოდ, წინასწარ დასკვნების გაკეთება უადგილოა.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. მონაწილეთა წარდგენა

# A ჯგუფი

## შვეიცარია, ჩეხეთი, პორტუგალია, თურქეთი

# მასპინძელი თუ მუდმივი ფავორიტი?




როცა წილისყრის შემდეგ გაირკვა, რომ A ჯგუფში მასპინძელთან, შვეიცარიის ნაკრებთან თურქეთი მოხვდა, ყველამ მაშინვე გაიხსენა ის უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც ამ გუნდებს შორის წინა შესარჩევ ციკლში მოხდა. მაშინ, პლეი ოფის საპასუხო მატჩის შემდეგ (ორმატჩიანი დუელი შვეიცარიელების გამარჯვებით დასრულდა), ორივე ნაკრების წარმომადგენლებმა სტამბოლის სტადიონზე გრანდიოზული ჩხუბი მოაწყვეს. მასში მონაწილეობდნენ ფეხბურთელები, მომსახურე პერსონალი და სამწვრთნელო შტაბიც კი.

გუნდების დღევანდელ მწვრთნელებს, **კობი კუნსა** და **ფათიჰ თერიმს**, კარგად ახსოვთ ის სკანდალური ეპიზოდი. ამ გუნდებს შორის მორიგი შეხვედრის პერსპექტივით უფრო ნაკლებად კუნი უნდა იყოს გახარებული. მას კარგად ესმის, რომ თურქები, რომლებიც მაშინ მკაცრად დასაჯეს (ფულადი ჯარიმა და ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის რამდენიმე მატჩში საშინაო არენის დისკვალიფიკაცია), დიდი სიამოვნებით იძიებენ შურს მასზე და მის გუნდზე.

ისე კი, წილისყრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა ჟურნალისტები დაარწმუნეს - ყველაფერი წარსულში დარჩა და ძველი წყენა დავიწყებულიაო. მაგრამ ამ სიტყვებს განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონია. ასე რომ, შვეიცარიისა და თურქეთის შეხვედრა (11 ივნისს, ბაზელში) სწორედ იმ ჩხუბის ჭრილში იქნება განხილული.

სხვათა შორის, ამ ჯგუფის დანარჩენ ორ ბინადარსაც საინტერესო შეხვედრა ექნებათ. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე შედგა ჩეხეთისა და პორტუგალიის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი დაპირისპირება, რომლის ბედიც **კარელ პობორსკის** ულამაზესმა გოლმა გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში შურისძიებაზე საუბარი მიუღებელია, ვინაიდან იმ მატჩის მონაწილე არცერთი ფეხბურთელი დღეს მწყობრში არ არის, მაგრამ ამ დუელშიც "დუღილის ტემპერატურა" საკმაოდ მაღალი იქნება.

ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორა William Hill ჯგუფის ფავორიტად პორტუგალიას ასახელებს - მისი შანსები 5/4 ფასდება. შემდეგ მოდის ჩეხეთი - 2/1, შვეიცარიასა და თურქეთს კი, აუტსაიდერების როლი ერგოთ.

## შვეიცარია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიეგო ბენალიო | მეკ | 08.09.83 | 193 | 83 | 1 | - | ვოლფსბურგი (გერ) |
| 2 | იოჰან ჯურუ | მცვ | 18.01.87 | 191 | 85 | 2 | - | არსენალი (ინგ) |
| 3 | ლუდოვიკ მანინი | მცვ | 20.04.79 | 185 | 74 | 48 | 3 | შტუტგარტი (გერ) |
| 4 | ფილიპ სენდეროსი | მცვ | 14.02.85 | 190 | 84 | 25 | 3 | არსენალი (ინგ) |
| 5 | სტეფან ლიხტშტაინერი | მცვ | 16.01.84 | 181 | 72 | 9 | - | ლილი (საფ) |
| 6 | ბენიამინ ჰუგელი | ნახ | 07.07.77 | 188 | 83 | 23 | - | ბაზელი |
| 7 | რიკარდო კაბანიასი | ნახ | 17.01.79 | 173 | 68 | 48 | 4 | გრასჰოპერსი |
| 8 | გიოქჰან ინლერი | ნახ | 27.06.84 | 182 | 77 | 14 | 1 | უდინეზე (იტა) |
| 9 | ალექსანდერ ფრაი | თავ | 15.07.79 | 179 | 74 | 56 | 32 | დორტმუნდი (გერ) |
| 10 | ჰაქან იაკინი | ნახ | 22.02.77 | 180 | 79 | 63 | 15 | იანგ ბოიზი |
| 11 | მარკო შტრელერი | თავ | 18.06.81 | 195 | 82 | 26 | 11 | ბაზელი |
| 12 | ერენ დერდიოკი | თავ | 12.06.88 | 190 | 83 | 1 | 1 | ბაზელი |
| 13 | სტეფან გრიხტინგი | მცვ | 30.03.79 | 186 | 80 | 6 | - | ოსერი (საფ) |
| 14 | დანიელ ჟიგაძსი | ნახ | 28.08.81 | 179 | 73 | 31 | 5 | მეცი (საფ) |
| 15 | ჟელსონ ფერნანდესი | ნახ | 02.09.86 | 183 | 70 | 5 | - | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 16 | ტრანკვილო ბარნეტა | ნახ | 22.05.85 | 176 | 62 | 31 | 6 | ლევერკუზენი (გერ) |
| 17 | კრისტოფ შპიხერი | მცვ | 30.03.78 | 175 | 75 | 37 | - | აინტრახტი (გერ) |
| 18 | პასკალ ცუბერბიულერი | მეკ | 08.01.71 | 197 | 99 | 40 | - | ვესტ ბრომვიჩი (ინგ) |
| 19 | ვალონ ბეჰრამი | ნახ | 19.04.85 | 184 | 71 | 6 | 1 | ლაციო (იტა) |
| 20 | პატრიკ მიულერი | მცვ | 17.12.76 | 182 | 69 | 76 | 3 | ლიონი (საფ) |
| 21 | ელდინ იაკუპოვიჩი | მეკ | 02.10.84 | 188 | 78 | - | - | ტუნი |
| 22 | იოჰან ფონლანტენი | ნახ | 01.02.86 | 175 | 67 | 27 | 5 | ზალცბურგი (ავს) |
| 23 | ფილიპ დეგენი | მცვ | 15.02.83 | 184 | 81 | 15 | - | დორტმუნდი (გერ) |

ეს იქნება ბოლო ტურნირი, რომელშიც შვეიცარიის ნაკრებს ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, კობი კუნი უხელმძღვანელებს. მასზე წინ მხოლოდ ლეგენდარულ **კარლ რაპანს** აყენებენ - ტაქტიკის დიდ სპეციალისტს, რომელიც ორი მნიშვნელოვანი მოვლენის სანყისებთან იდგა - ეს არის კატენაჩო და ევროპის ინტერტოტოს თასი. ის რამდენჯერმე ედგა სათავეში ეროვნულ გუნდს, ძირითადად იმ პერიოდებში, როცა შვეიცარია რეგულარულად თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატებზე (1934-66 წლები).

კუნის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, ქვეყნის პირველ გუნდს არ გამოუტოვებია უმაღლესი საფეხბურთო ფორუმები - შვეიცარიამ მონაწილეობა მიიღო ევრო 2004-ში და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ასე რომ, ეს ამ გუნდის ზედიზედ მესამე დიდი ტურნირია.

ევრო 2008-ის მასპინძლის სტატუსის წყალობით, შვეიცარია თავისუფალი იყო შესარჩევი თამაშებიდან, სამაგიეროდ, უამრავი ამხანაგური მატჩი ჩაატარა, რომლის დროსაც, კუნმა მნიშვნელოვნად გადაახალისა შემადგენლობა და აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთა.

შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზის გამო არ სჯერათ ბუკმეიკერებს წითელ-თეთრების წარმატებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, მასპინძელი გუნდი თითქმის არასოდეს ეთიშება ტურნირს ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ. იქნებ, პესიმისტური განწყობა წლეულს გამართულ ამხანაგურ მატჩებში განცდილმა ნაგებებმაც გამოიწვია. მაგალითად, მარტის ბოლოს, შვეიცარიამ 0:4 წააგო გერმანიასთან, თანაც გამარჯვებულებმა მატჩის შემდეგ განაცხადეს - შესაძლებლობების მაქსიმუმი არ გამოგვივლენიაო. უფრო ადრე კი, ალპელები 0:3 დამარცხდნენ ინგლისთან.

ალბათ, ერთადერთი პოზიტიური მომენტი შვეიცარიის დღევანდელი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირის, **ალექსანდრ ფრაის** დაბრუნებაა, რომელმაც გასულ ზაფხულს ბარძაყის ოპერაცია გაიკეთა და ეროვნულ ნაკრებში 2007 წლის მარტის შემდეგ არ ეთამაშა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ აღდგენითი პროცესი მხოლოდ რამდენიმე კვირას დაიკავებდა, მაგრამ მკურნალობას გართულებები მოჰყვა და დაბრუნების პროცესი ძალიან გაიწელა.

თუმცა ბომბარდირის გამოჩენით (ფრაის სამი ბურთი აკლია იმისთვის, რომ ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს), შვეიცარიელების თამაშში უკეთესობისკენ ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგრამ შესაძლოა, ეს დროებითი მოვლენა იყოს. ევროს დაწყებამდე ფრაი მოასწრებს ფორმის აკრეფას, ხოლო იმ კლუბების დონე, რომლებშიც წამყვანი შვეიცარიელი ფეხბურთელები გამოდიან, მწვრთნელს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. ბოლოს და ბოლოს, კუნი კარგად იცნობს შეგირდების შესაძლებლობებს და იცის, რას უნდა ელოდოს ნებისმიერი მათგანისგან.



ევროს შემდეგ კობი კუნი შვეიცარიის ნაკრებს გამოეთხოვება



როსიცკის სახით ჩეხეთმა შეტევების კონსტრუქტორი დაკარგა

## ჩეხეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პეტრ ჩეხი | მეკ | 20.05.82 | 197 | 87 | 57 | - | ჩელსი (ინგ) |
| 2 | ზდენეკ გრიგერა | მცვ | 14.05.80 | 184 | 79 | 41 | 1 | იუვენტუსი (იტა) |
| 3 | იან პოლაკი | ნახ | 14.03.81 | 181 | 77 | 35 | 6 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 4 | ტომაშ გალაშეკი | ნახ | 15.01.73 | 180 | 77 | 63 | 1 | ნიურნბერგი (გერ) |
| 5 | რადოსლავ კოვაჩი | მცვ | 27.11.79 | 189 | 78 | 21 | 1 | სპარტაკი (რუს) |
| 6 | მარეკ იანკულოვსკი | მცვ | 09.05.77 | 184 | 76 | 62 | 10 | მილანი (იტა) |
| 7 | ლიბორ სიონკო | ნახ | 01.02.77 | 176 | 70 | 28 | 4 | კოპენჰაგენი (ჩეხ) |
| 8 | მარტინ ფენინი | თავ | 16.04.87 | 180 | 70 | 4 | - | აინტრახტი (გერ) |
| 9 | იან კოლერი | თავ | 30.03.73 | 202 | 103 | 84 | 51 | ნიურნბერგი (გერ) |
| 10 | ვაცლავ სვერკოში | თავ | 01.11.83 | 185 | 72 | 1 | - | ბანიკი |
| 11 | სტანისლავ ვლჩეკი | თავ | 26.02.76 | 182 | 80 | 9 | - | ანდერლეხტი (ბელ) |
| 12 | ზდენეკ პოსპეხი | მცვ | 14.12.78 | 174 | 74 | 6 | - | კოპენჰაგენი (ჩეხ) |
| 13 | მიხალ კადლეცი | მცვ | 13.12.84 | 185 | 75 | 3 | - | სპარტა |
| 14 | დავიდ იაროლიმი | ნახ | 17.05.79 | 172 | 68 | 13 | 1 | ჰამბურგი (გერ) |
| 15 | მილან ბაროში | თავ | 28.10.81 | 184 | 78 | 62 | 31 | პორტსმუთი (ინგ) |
| 16 | იარომირ ბლაჟეკი | მეკ | 29.12.72 | 188 | 82 | 13 | - | ნიურნბერგი (გერ) |
| 17 | მარეკ მატეიოვსკი | ნახ | 20.12.81 | 177 | 71 | 7 | 1 | რედინგი (ინგ) |
| 18 | ტომაშ შივოკი | მცვ | 15.09.83 | 185 | 71 | 5 | - | სპარტა |
| 19 | რუდოლფ შკაჩელი | მცვ | 17.07.79 | 178 | 77 | - | 1 | ჰერტა (გერ) |
| 20 | იაროსლავ პლასილი | ნახ | 05.01.82 | 182 | 72 | 34 | 2 | ოსასუნა (ესპ) |
| 21 | ტომაშ უიფალუში | მცვ | 24.03.78 | 185 | 76 | 65 | 2 | ფიორენტინა (იტა) |
| 22 | დავიდ როზენალი | მცვ | 05.07.80 | 191 | 80 | 42 | - | ლაციო (იტა) |
| 23 | დანიელ ზიტკა | მეკ | 20.06.75 | 190 | 85 | 1 | - | ანდერლეხტი (ბელ) |

ჩეხეთის ნაკრების ყველაზე დიდი პრობლემა - წამყვანი ნახევარმცველის, **ტომაშ როსიცკის** ტრავმა გახლავთ. სწორედ ამ ფეხბურთელზე იყო აწყობილი ჩეხების მთელი კონსტრუქციული თამაში. **კარლ ბრიუკნერის** ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ეყოლება (**ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი**), რაც შეეხება ნახევარდაცვასა და შეტევას, აქ უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი.

რა თქმა უნდა, აქაც არიან ბრძოლაში გამობრძმედილი ვეტერანები, მაგრამ შეტევების კონსტრუქტორს ვერ ვხედავთ. არსებობდა ნაკრებში **პაველ ნედვედის** დაბრუნების შანსი, მაგრამ ჩეხების იმედები არ გამართლდა. "ქერა ეშმაკმა" კარიერაში თავისი ბოლო სეზონისთვის უკეთ მომზადება არჩია, მით უმეტეს, რომ "იუვენტუსი" გაისად ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება.

ნედვედზე არანაკლები სამსახურის გაწევა შეუძლია ნაკრებისთვის გიგანტ ფორვარდს, ვეტერან **იან კოლერს**. ბოლო ამხანაგური მატჩები ამტკიცებს, რომ მას შეტევაში კონკურენტი არ ჰყავს. გავიხსენოთ, რომ ბოლო ორ სპარინგში (დანიასთან 1:1, ლიტვასთან 2:0), გოლები მხოლოდ კოლერს გაჰქონდა.

საკლუბო დონეზე ვერაფრით მოიპოვა სტაბილურობა უნიჭიერესმა **მილან ბაროშმა**, თუმცა ოსტრაველი მარადონა ნაკრებში სახეცვლილებას განიცდის ხოლმე. რაც შეეხება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს, **მარტინ ფენინს**, დღეს მისი კოლეგის გვერდით დაყენება სწორი არ იქნებოდა. ეს ბიჭი იუნიორთა დონეზე საკმაოდ ბევრს იტანს (16 წლის ასაკიდან მოყოლებული - 19 გოლი), ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო "აინტრახტში" გადასვლის შემდეგ, ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა ბუნდესლიგაში. მაგრამ ორ მატჩში გატანილი ოთხი გოლის შემდეგ, ჩეხ ფორვარდს 10-მატჩიანი "მშრალი" სერია დაუდგა.

საერთოდ, ბრიუკნერის გუნდში შეტევა სუსტ რგოლად მიიჩნევა. იმავე კოლერმა და ბაროშმა 2008 წელს, თავიანთ კლუბებში ("ნიურნბერგი" და "პორტსმუთი") ორი გოლი გაიტანეს. რა გამოსავალი უნდა ეძიოს მწვრთნელმა? ფენინზე უკვე გითხარით. არის კიდევ ასაკოვანი **სტანისლავ ვლჩეკი**, რომელსაც ნაკრებში თავი არასოდეს გამოუჩენია. რაც შეეხება **ვაცლავ სვერკოშს**, მას საერთოდ არ გააჩნია ნაკრებში თამაშის გამოცდილება.

მოკლედ, არც ისე სახარბიელო სურათია. შეტევაში ასეთი პრობლემებით, ჩეხებისთვის შვება უნდა იყოს ნახევარმცველების აქტიური მოქმედება და დაცვის საიმედო თამაში. სავარაუდოდ, ავსტრია/შვეიცარიაში ჩეხეთი ეფექტური თამაშითა და გოლების სიუხვით თავს ვერ დაგვამახსოვრებს. ბრიუკნერისთვის მისაბაძი ეტალონი 2004 წლის საბერძნეთის ნაკრები უნდა გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## პორტუგალია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიკარდო | მეკ | 11.02.76 | 188 | 80 | 73 | - | ბეტისი (ესპ) |
| 2 | პაულო ფერეირა | მცვ | 18.01.79 | 182 | 76 | 45 | - | ჩელსი (ინგ) |
| 3 | ბრუნო ალვეში | მცვ | 27.11.81 | 187 | 83 | 9 | 1 | პორტუ |
| 4 | ჟოზე ბოსინგვა | მცვ | 24.08.82 | 183 | 75 | 7 | - | პორტუ |
| 5 | ფერნანდო მეირა | მცვ | 05.06.78 | 192 | 81 | 47 | 2 | შტუტგარტი (გერ) |
| 6 | რაულ მეირელესი | ნახ | 17.03.83 | 179 | 65 | 7 | - | პორტუ |
| 7 | კრისტიანო რონალდო | თავ | 05.02.85 | 184 | 75 | 54 | 20 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 8 | არმანდო პეტიტი | ნახ | 25.09.76 | 178 | 68 | 51 | 4 | ბენფიკა |
| 9 | უგო ალმეიდა | თავ | 23.05.84 | 190 | 79 | 7 | 2 | ვერდერი (გერ) |
| 10 | ჟოაო მუტინიო | ნახ | 08.09.86 | 170 | 61 | 11 | - | სპორტინგი |
| 11 | სიმაო საბროსა | თავ | 30.10.79 | 170 | 64 | 59 | 14 | ატლეტიკო (ესპ) |
| 12 | კუიმი | მეკ | 13.11.75 | 184 | 78 | 25 | - | ბენფიკა |
| 13 | მიგელი | მცვ | 04.01.80 | 179 | 78 | 45 | 1 | ვალენსია (ესპ) |
| 14 | ჟორჟე რიბეირო | მცვ | 09.11.81 | 172 | 67 | 7 | - | ბოავიშტა |
| 15 | პეპე | მცვ | 26.02.83 | 190 | 81 | 1 | - | რეალი (ესპ) |
| 16 | რიკარდო კარვალიო | მცვ | 18.05.78 | 184 | 79 | 41 | 4 | ჩელსი (ინგ) |
| 17 | რიკარდო კუარეშმა | ნახ | 26.09.83 | 173 | 74 | 19 | 2 | პორტუ |
| 18 | მიგელ ველოზო | ნახ | 11.05.86 | 181 | 79 | 4 | - | სპორტინგი |
| 19 | ნანი | ნახ | 17.11.86 | 175 | 66 | 12 | 2 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 20 | დეკუ | ნახ | 27.08.77 | 177 | 73 | 52 | 3 | ბარსელონა (ესპ) |
| 21 | ნუნუ გომეში | თავ | 05.07.76 | 181 | 76 | 67 | 27 | ბენფიკა |
| 22 | რუი პატრისიო | მეკ | 15.02.88 | 188 | 84 | 1 | - | სპორტინგი |
| 23 | ელდერ პოსტიგა | თავ | 02.08.82 | 182 | 79 | 30 | 10 | პანათინაიკოსი (საბ) |



## თურქეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუშთუ რეჩბერი | მეკ | 10.05.73 | 186 | 76 | 115 | - | ბეშიქთაში |
| 2 | სერვეთ ჩეთინი | მცვ | 17.03.81 | 191 | 84 | 28 | 1 | გალათასარაი |
| 3 | ჰაქან ბალთა | ნახ | 23.03.83 | 184 | 83 | 5 | - | გალათასარაი |
| 4 | გიოქჰან ზანი | მცვ | 07.09.81 | 192 | 85 | 16 | - | ბეშიქთაში |
| 5 | ემრე ბელოზოგლუ | ნახ | 07.09.80 | 171 | 68 | 50 | 5 | ნიუკასლი (ინგ) |
| 6 | მეჰმეთ თოფალი | ნახ | 03.03.86 | 187 | 76 | 2 | - | გალათასარაი |
| 7 | მეჰმეთ აურელიო | ნახ | 15.12.77 | 178 | 75 | 17 | 1 | ფენერბახჩე |
| 8 | ნიჰათ ქავეჩი | თავ | 23.11.79 | 175 | 75 | 51 | 14 | ვილიარეალი (ესპ) |
| 9 | სემიჰ შენთურქი | თავ | 29.04.83 | 183 | 78 | 4 | 1 | ფენერბახჩე |
| 10 | გიოქდენიზ ქარადენიზი | თავ | 11.01.80 | 169 | 66 | 45 | 6 | რუბინი (რუს) |
| 11 | თუმერ მეთინი | ნახ | 14.10.74 | 178 | 68 | 23 | 7 | ლარისა (საბ) |
| 12 | თოლგა ზენგინი | მეკ | 10.10.83 | 192 | 78 | 2 | - | ტრაბზონი |
| 13 | ემრე გიუნგორი | მცვ | 08.01.84 | 183 | 83 | - | - | გალათასარაი |
| 14 | არდა თურანი | ნახ | 30.01.87 | 176 | 72 | 20 | 1 | გალათასარაი |
| 15 | ემრე ასიქი | მცვ | 13.12.73 | 183 | 76 | 27 | 2 | ანკარა |
| 16 | უგურ ბორალი | მცვ | 14.04.82 | 178 | 70 | 1 | - | ფენერბახჩე |
| 17 | თუნჯაი შანლი | თავ | 16.01.82 | 182 | 72 | 44 | 14 | მიდლსბრო (ინგ) |
| 18 | ქაზიმ ქაზიმი | ნახ | 26.08.86 | 185 | 68 | 1 | - | ფენერბახჩე |
| 19 | აიჰან აქმანი | ნახ | 23.02.77 | 173 | 69 | 9 | - | გალათასარაი |
| 20 | საბრი სარიოგლუ | მცვ | 26.07.84 | 170 | 63 | 12 | 1 | გალათასარაი |
| 21 | საბრი სარიოგლუ | თავ | 25.02.87 | 179 | 69 | - | - | სოშო (საფ) |
| 22 | ჰამით ალთინთოფი | ნახ | 08.12.82 | 182 | 82 | 25 | 2 | ბაიერნი (გერ) |
| 23 | ვოლქან დემირელი | მეკ | 27.10.81 | 191 | 92 | 19 | - | ფენერბახჩე |



რონალდომ ზღაპრული სეზონი შვეიცარია/ავსტრიაში უნდა გააგრძელოს

ბოლო წლებში სპეციალისტების, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების განსაკუთრებული ყურადღება პორტუგალიის ნაკრებს ეთმობა. დიდი ხანი, ეს გუნდი ცალკეულ წარმატებებთან ასოცირდებოდა - მაგალითად, 60-იანი წლები, როცა მწვერვალზე **ეუსებიო** იმყოფებოდა, ან 80-იანი წლები, როცა ნაკრებში **რუი ბარუში** და **პაოლო ფუტრე** ლიდერობდნენ. ევროპაში უძლიერეს კლუბებად ითვლებოდნენ "პორტუ" და "ბენფიკა", მაგრამ ეროვნულმა გუნდმა საყოველთაო აღიარება მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიპოვა.

**ლუიშ ფიგუს, რუი კოშტას, ფერნანდო კოუტუს, ჟოაო პინტუს** და სხვების ცნობილი "ოქროს თაობა" ტიტულებს ასედაც ვერ შეწვდა, სამაგიეროდ სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

ევრო 2000-ზე ნათამაშები ნახევარფინალის შემდეგ, "ევროპელ ბრაზილიელებს" 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე სრული ფიასკო ელოდათ, მაგრამ იგივე ტურნირი პორტუგალიისთვის მორიგი ეპოქის ათვლის წერტილი გახდა. ნაკრები ჩაიბარა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ**, რომელმაც ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი გახადა და ევროპაში წამოვიდა სამუშაოდ.

პორტუგალიაში გადაბარგებულმა სკოლარიმ გადამჭრელ ზომებს მიმართა და წელიწადნახევარში ისე გარდაქმნა გუნდი, რომ მას ევრო 2004-ზე ჩემპიონობის რეალური შანსი მიეცა. მაგრამ ფინალში საბერძნეთთან წააგო. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, პორტუგალიამ ნახევარფინალი საფრანგეთთან დათმო, ხოლო გერმანიასთან მე-3 ადგილისთვის მატჩში მოვალეობის მოხდის მიზნით გავიდა მოედანზე.

მოკლედ, პორტუგალიელი გულშემატკივრები მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ მათ გუნდს უმაღლეს პოზიციებზე აქვს პრეტენზია. ხოლო გუნდში ისეთი ფეხბურთელის არსებობა, როგორიც **კრისტიანო რონალდოა**, სკოლარის უკან დახევის შანსს არ უტოვებს. მით უმეტეს, რომ ბრაზილიელ სპეციალისტს თავის რიგებში კიდევ ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი ჰყავს, რომელთა ღირებულება სატრანსფერო ბაზარზე შვიდი ნულით განისაზღვრება.

თუმცა ტექნიკურად ბრწყინვალედ აღჭურვილმა და კარგად შეთამაშებულმა გუნდმა ევრო 2008-ის კვალიფიკაციაში უცნაური შთაბეჭდილება დატოვა: პორტუგალია დროდადრო ავლენდა თავის პოტენციალს და საბოლოოდ, ფინალური ეტაპის საგზური ბოლო ტურში მოიპოვა. მაგრამ ეს სისუსტეები, სავარაუდოდ, იმანაც განაპირობა, რომ ფელიპაო მოთამაშეების შერჩევით იყო დაკავებული და ჯამში 35 ფეხბურთელი გამოსცადა.

მაგრამ სხვა ნიუანსებიც არსებობს. მაგალითად ის, რომ რონალდოს გარდა, ამ სეზონში ვერცერთი სხვა წამყვანი პორტუგალიელი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნიდა თავის კლუბში სტაბილური თამაშით. მაგალითად, დეკუმ ტრავმების გამო "ბარსელონაში" ბევრი გამოტოვა, თუმცა სკოლარის ნატურალიზებული ბრაზილიელის დიდი იმედი აქვს.

დღის წესრიგში დადგა ძირითადი მეკარის საკითხიც. ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში შეუცვლელად მოთამაშე **რიკარდო**, "ბეტისის" მთავარ მწვრთნელად **ფრანსისკო ჩაპარომ** დანიშვნის შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. ამ სიტუაციაში საკლუბო მწვრთნელის გადაწყვეტილებას სკოლარიზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ მარტში, საბერძნეთთან სპარინგში, მაინც მოსინჯა საქმეში ახალგაზრდა **რუი პატრისიო**. სხვათა შორის, პორტუგალიელებმა, ისევე როგორც ევრო 2004-ზე, ამჯერადაც წააგეს ბერძნებთან.

## კალენდარი

**7 ივნისი**

შვეიცარია-ჩეხეთი (20:00)
პორტუგალია-თურქეთი (22:45)

**11 ივნისი**

ჩეხეთი-პორტუგალია (20:00)
შვეიცარია-თურქეთი (22:45)

**15 ივნისი**

შვეიცარია-პორტუგალია (22:45)
თურქეთი-ჩეხეთი (22:45)

## შესარჩევი ტურნირი

### პორტუგალია

*14 მატჩი; +7=6-1; 24-10; 27 ქულა (II ადგილი)*

| | |
|---|---|
| ფინეთი-პორტუგალია | 1:1 |
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 3:0 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 2:1 |
| პორტუგალია-ყაზახეთი | 3:0 |
| პორტუგალია-ბელგია | 4:0 |
| სერბეთი-პორტუგალია | 1:1 |
| ბელგია-პორტუგალია | 1:2 |
| სომხეთი-პორტუგალია | 1:1 |
| პორტუგალია-პოლონეთი | 2:2 |
| პორტუგალია-სერბეთი | 1:1 |
| აზერბაიჯანი-პორტუგალია | 0:2 |
| ყაზახეთი-პორტუგალია | 1:2 |
| პორტუგალია-სომხეთი | 1:0 |
| პორტუგალია-ფინეთი | 0:0 |

*გოლები: კრისტიანო რონალდო (8), ნუნუ გომეში (3), სიმაო (3), უგო ალმეიდა (2), რიკარდო კარვალიო, კუარეშმა, ტიაგო, ნანი, ელდერ პოშტიგა, მანიშე, ბრუნო ალვეში, მაკუკულა.*

### თურქეთი

*12 მატჩი; +7=3-2; 25-11; 24 ქულა (II ადგილი)*

| | |
|---|---|
| თურქეთი-მალტა | 2:0 |
| უნგრეთი-თურქეთი | 0:1 |
| თურქეთი-მოლდოვა | 5:0 |
| საბერძნეთი-თურქეთი | 1:4 |
| თურქეთი-ნორვეგია | 2:2 |
| ბოსნია-თურქეთი | 3:2 |
| მალტა-თურქეთი | 2:2 |
| თურქეთი-უნგრეთი | 3:0 |
| მოლდოვა-თურქეთი | 1:1 |
| თურქეთი-საბერძნეთი | 0:1 |
| ნორვეგია-თურქეთი | 1:2 |
| თურქეთი-ბოსნია | 1:0 |

*გოლები: ჰაქან შუქური (5), თუნჯაი შანლი (3), ნიჰათი (3), ჰამით ალთინთოფი (2), ჰალილ ალთინთოფი (2), თუმერ მეთინი (2), გიოქჰანი (2), გიოქდენიზ ქარადენიზი, საბრი სარიოგლუ, სერვეთ ჩეთინი, მეჰმეთ აურელიო, უმით ქარანი, ემრე ბელოზოგლუ.*

### ჩეხეთი

*12 მატჩი; +9=2-1; 27-5; 29 ქულა (I ადგილი)*

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-უელსი | 2:1 |
| სლოვაკეთი-ჩეხეთი | 0:3 |
| ჩეხეთი-სან მარინო | 7:0 |
| ირლანდია-ჩეხეთი | 1:1 |
| ჩეხეთი-გერმანია | 1:2 |
| ჩეხეთი-კვიპროსი | 1:0 |
| უელსი-ჩეხეთი | 0:0 |
| სან მარინო-ჩეხეთი | 0:3 |
| ჩეხეთი-ირლანდია | 1:0 |
| გერმანია-ჩეხეთი | 0:3 |
| ჩეხეთი-სლოვაკეთი | 3:1 |
| კვიპროსი-ჩეხეთი | 0:2 |

*გოლები: კოლერი (6), ბაროში (3), სიონკო (3), ლაფატა (2), კულიჩი (2), როსიცკი (2), იანკულოვსკი (2), პოლაკი, იაროლიმი, კოვაჩი, მატეიოვსკი, პლასილი, გრიგერა, პუდილი*


თურქეთის ნაკრებში ახალი ეპოქა დაიწყო - ჰაქან შუქურის გარეშე

თურქეთის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელმა, **ფათიჰ თერიმმა** შესარჩევი ციკლის მსვლელობისას კინაღამ დაკარგა თავისი პოსტი, ვინაიდან სტარტზე მოპოვებული მთელი ჰანდიკაპი გაანიავა. მწვრთნელი გათავისუფლებისგან სასწაულმა და ფინიშზე გუნდის მონდომებულმა თამაშმა იხსნა. თურქებმა ექვსი შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმი მოიპოვეს და ბოლო მომენტში გაუსწრეს ნორვეგიას.

თურქეთში, სადაც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლები, მშვიდად ვერ გადაიტანდნენ საკვალიფიკაციო ტურნირებზე ზედიზედ მესამე წაფორხილებას. ევრო 2004-ზე ამ გუნდს გზა ლატვიამ გადაუღობა, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, შვეიცარიამ არ გაუშვა.

სწორედ ამ არასტაბილურობის გამო, სპეციალისტებსა და ბუკმეიკერებს შორის, გუნდს აუტსაიდერის როლი აქვს მიკუთვნებული. არადა, ფათიჰ თერიმს საკმაოდ მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავს, რომელთა შორის ევროპის დონის ფეხბურთელები არიან **- ნიჰათი, ემრე, თუნჯაი შანლი, ჰამით ალთინთოფი...**

ამჯერად თურქები ჰაქან **შუქურის** გარეშე აპირებენ ფონს გასვლას (როცა სახელოვანმა ფორვარდმა გაიგო, რომ ევრო 2008-ზე ვერ ხვდებოდა, საერთოდ გამოეთხოვა აქტიურ კარიერას). თურქებისთვის ჰაქანის დაკარგვა პრობლემა არ იქნება. ამ გუნდს ყოველთვის გააჩნდა ხარისხიანი შეტევითი პოტენციალი. ამჯერადაც, თერიმის ნაკრებს ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ჯგუფები ეყოლება (ძმები ალთინთოფები, ნიჰათი, თუნჯაი შანლი და **სემიჰ შენთურქი** თერიმის იდეების რეალიზატორებად უნდა იქცნენ). **მეჰმეთ აურელიო,** ემრე ბელოზოგლუ, **გიოქდენიზ ქარადენიზი, ქაზიმ ქაზიმი** - ეს ის ნახევარმცველები არიან, რომელთა მხრებზე გადაივლის ჯგუფურ ტურნირში ბრძოლის მთელი სიმძიმე.

გუნდის ყველაზე დიდი პრობლემა - ემოციურ განწყობაზე ზედმეტი დამოკიდებულება გახლავთ. ის იშვიათად არის ნორმაში, რის გამოც, მწვრთნელს ტაქტიკოსის გარდა, ფსიქოლოგის ფუნქციების შეთავსებაც უხდება.

თერიმი ნებისმიერი ხერხით ცდილობს, თავისი შეგირდების შეფუცხუნებას. მაგალითად მარტში, ბელარუსთან საკონტროლო მატჩში (2:2), მან რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიძახა (**მევლუთ ერდინჩი, ჯეიჰან გულსელამი, მუსთაფა შარპი, გიოქჰან ემრეჩიქშინი**), რომელთაგან საბოლოო განაცხადში მხოლოდ მევლუთი შეიყვანა, სამაგიეროდ, ყურადღების მიღმა დატოვა ემრე, სემიჰ შენთურქი და **მეჰმეთ თოფუზი**. თანაც, მატჩის დასრულების შემდეგ, მწვრთნელი ოპტიმისტურ ფრაზებს ისროდა და აცხადებდა, რომ რეზერვისტებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვესო. არადა, მატჩის მსვლელობისას, დაცვის ცენტრმა ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რასაც ორი გოლი მოჰყვა საკუთარ კარში.

ევრო 2008

# ევროს სარკეში

**რამდენი** ფეხბურთელია, ვის ნახვასაც ისურვებდით ევროპის ჩემპიონატზე? ბევრი. მაგრამ ზოგი უილბლობით, ზოგიც სამწვრთნელო პრინციპებისა თუ ხუშტურების გამო, ბევრი კონტინენტის საფეხბურთო ფორუმზე ვერ ითამაშებს. ალბათ, ისიც გაინტერესებთ, ვინ მერამდენე ჩემპიონატს ითამაშებს და ვინ არის ამ მხრივ რეკორდსმენი, რომელია ყველაზე ხანდაზმული და ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელ ნაკრებს რამდენი ლეგიონერი ჰყავს და რომელი ევროპული ლიგა იქნება ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი ავსტრია/შვეიცარიის სტადიონებზე... მოკლედ, ამ ყველაფერზე ქვემოთ...

## მოკვეთილნი და უილბლონი

ყოველთვის ასე იყო - ნებისმიერი დიდი ტურნირის წინ მონაწილე გუნდების განაცხადების გამოქვეყნებას აჟიოტაჟი უნდა მოჰყოლოდა. საბრალო მწვრთნელები - ფეხბურთელების შერჩევასა და საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლები ხომ ისინი არიან! ჰოდა, დასახულ მიზანს თუ ვერ მიაღწევენ, მაშინათვე იმას წამოაძახებენ: ეს იმიტომ მოხდა, კონკრეტული ფეხბურთელი ნაკრებში რომ არ წაიყვანეო. აი, დღეს რომ **ლუის არაგონესია**, იმ სიტუაციას რა უნდა ვუწოდოთ? ამ მხცოვანმა სპეციალისტმა ესპანური მედიისა თუ ქომაგების არნახულ ზეწოლას მაინც გაუძლო და საკუთარ პრინციპს არ უღალატა. ანუ, თქვა და შეასრულა კიდეც - ესპანეთის ნაკრებში **რაული** არ არის! მადრიდის "რეალის" კაპიტანი და სიმბოლო არაგონესის ტაქტიკურ სქემაში ვერ ჯდება (მწვრთნელის მტკიცებით) და რაულის არგამოძახებამ ყველა სხვა ფაქტი დაჩრდილა. აი, იმავე ესპანეთის ნაკრებში ადგილი არ გამოიძებნა ისეთი ფეხბურთელებისთვის, როგორებიც არიან: **გუტი, ხოაკინი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ტამუდო, ლუის გარსია, პერნია...**

ხშირად ისეც ხდება, რომ მწვრთნელს 23-კაციან შემადგენლობაში კონკრეტული ფეხბურთელი... პირადული პრობლემების გამო არ შეყავს. რამდენი წელიწადია **რაიმონ დომენეკი** საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ამ დროის განმავლობაში ყველა მისი საკადრო გადაწყვეტილება საკამათო ხდება. გეხსომებათ, ალბათ, რომ 2006 წლის მუნდიალის წინ დომენეკმა, ყველასთვის მოულოდნელად, **ლუდოვიკ ჟიულიზე** თქვა უარი. ახლა იგივე ბედი ეწია **დავიდ ტრეზეგესაც** - არადა, ამ უკანასკნელმა ჩინებულად ითამაშა განვლილ სეზონში. ყოველ შემთხვევაში, იტალიაში 20 გოლის გამტანი ფორვარდი, ალბათ, ნაკრებში მოხვედრის ღირსია. ტრეზეგეს გარდა დომენეკმა სულ ბოლო მომენტში კიდევ რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელი დაიწუნა: **მეტიუ ფლამინი, ჰათემ ბენ არფა, ფილიპ მექსე, მიკაელ ლანდრო, ჟერომ როტენი, ბაქარი სანია და ჯიბრილ სისე**. თანაც, ყველა მათგანს შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა, მაგრამ დომენეკმა თავისებურად გადაწყვიტა. პირადულის გარდა, აბა სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ ვარსკვლავებით გაძეძგილ ჰოლანდიიის ნაკრებს ორი ევროპული დონის ნახევარმცველი არ ეყოლება: **კლარენს ზეედორფი** და **მარკ ვან ბომელი**. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორივესთან არცთუ ტკბილი ურთიერთობა აქვს ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **მარკო ვან ბასტენს**.

ამ ევროპის ჩემპიონატზე ბევრ სხვა ვარსკვლავსაც მოვისაკლისებთ; **ფრანჩესკო ტოტიმ** და **ალესანდრო ნესტამ** სანაკრებო კარიერა დაასრულეს; **პაველ ნედვედმაც** არ შეცვალა გადაწყვეტილება და ჩეხეთის ნაკრებს აღარ დაუბრუნდა. თანაც, **კარელ ბრიუკნერს** ისედაც სოლიდურზე მეტი დანაკლისი აქვს - ტრავმის გამო ნაკრების კაპიტანი **ტომაშ როსიცკი** არ ეყოლება. ასევე ტრავმების გამო ტოვებენ ევროპის ჩემპიონატს **ბერნდ შნაიდერი** (გერმანია) და **ედუარდო** (ხორვატია); რაც შეეხება **ფილიპო ინძაგისა** და **მასიმო ოდოს** (ორივე - იტალია), **ალექსანდრ კერჟაკოვსა** და **მარატ იზმაილოვს** (ორივე - რუსეთი), **თომას ჰილდებრანდსა** და **ჯერმენ ჯოუნსს** (ორივე - გერმანია), **მანიშესა** (პორტუგალია) და **იოჰან ფოგელს** (შვეიცარია) - ყველა ეს ფეხბურთელი ნაკრების მწვრთნელებმა დაიწუნეს. ისე, დომენეკის არ იყოს, თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფათიხ თერიმმაც** ბევრი გააოცა. უფრო მეტიც - "იმპერატორმა" ნაკრების რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი ბოლო მომენტში დაითხოვა. თანაც, თუ **იბრაჰიმ თორომანისა** და **იბრაჰიმ უზულმეზის** არყოფნას როგორმე "შევეგუებით", აი, **ჰაქან შუქურზე, ჰალილ ალთინთოფზე, ნური შაჰინზე** და **ილდირაი ბაშთურქზე** ამას ვერ ვიტყვით...

...ზემოთაც ვთქვით, რომ ასეთი ფაქტები ადრეც ხდებოდა. წინა მუნდიალი გავიხსენოთ, როდესაც **იურგენ კლინსმანმა კევინ კურანის** იმ დროისთვის ყველასთვის უცნობი **დავიდ ოდონკორი** ამჯობინა, ხოლო **ექტორ პეკერმანმა** განაცხადში... ნაკრების კაპიტანი **ხავიერ ძანეტი** არ შეიყვანა. ისიც კარგად ემახსოვრება ფეხბურთის ქომაგებს, ლამის მთელი იტალია რომ სთხოვდა **ჯოვანი ტრაპატონის** - **რობერტო ბაჯო** ნაკრებში დააბრუნეო. თუმცა ამ მხრივ ყველაზე საინტერესო მაინც 1998 წლის ჩემპიონატი იყო. მწვრთნელებმა, თითქოს პირი შეკრესო, ვარსკვლავებს "ომი" გამოუცხადეს! სხვადასხვა მიზეზით იმ ჩემპიონატზე ვერ ვიხილეთ: **პოლ გესქოინი** (ინგლისი), **მარიო ბასლერი** (გერმანია), **ჯანფრანკო ძოლა** (იტალია), **რომარიო, ჟუნინიო, ელბერი, სონი ანდერსონი** (ყველა - ბრაზილია), **ფერნანდო რედონდო, კლაუდიო კანიჯა** (ორივე - არგენტინა). თანაც, რედონდოსა და კანიჯას არგენტინის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი **დანიელ პასარელა**... ვარცხნილობის გამო არ იწვევდა! ყველას კარგად მოეხსენება, რომ ის მუნდიალი საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო. არადა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ფრანგების თავკაცმა **ემე ჟაკემ** ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, სუპერსენსაციაზე მეტი რომ იყო. თავად განსაჯეთ - ნაკრებში ვერ მოხვდა ფრანგული ფეხბურთის სამი დამსახურებული ვეტერანი: **დევიდ ჟინოლა, ერიკ კანტონა** და **ჟან-პიერ პაპენი**. სამაგიეროდ, მათი ადგილი **ალენ ბოგოსიანმა, სტეფან გივარშმა** და **ბერნარ დიომედმა** დაიკავეს. ჰოდა, შევადაროთ ესენი ჟინოლა-კანტონა-პაპენის "სამეულს" - დღეს ვინ უფრო ახსოვთ? სამაგიეროდ, ბოგოსიანი, გივარში და დიომედი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ...

...ჯიბრილ სისე ჩინებული ფორვარდია და "ლივერპულსა" და "მარსელშიც" არაერთხელ დაუმტკიცებია. მაგრამ, უილბლო ვარო, ორიგინალური ვარცხნილობის მოყვარულმა ამ თავდამსხმელმა უნდა თქვას. საფრანგეთის ნაკრების უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრაში (28 მაისს, ეკვადორთან) სისე ძირითადში იყო და დომენეკმა 58-ე წუთზე შეცვალა. მის ნაცვლად მოედანზე "სენტ-ეტიენის" ფორვარდი **ბაფეტიმბი გომისი** გამოვიდა და ნაკრებში თავის სადებიუტო შეხვედრაში "დუბლიც" შეასრულა. ჰოდა, დომენეკმაც დაუფასა გარჯა გომისს და განაცხადში... სისეს ნაცვლად ჩასვა. აღსანიშნავია, რომ ჯიბრილ სისემ წინა მუნდიალიც გამოტოვა და მაშინაც სულ ბოლო მომენტში დარჩა ნაკრების მიღმა. ანალოგიური სურათი: მუნდიალისწინა უკანასკნელი საკონტროლო შეხვედრა და სისეს უმძიმესი ტრავმა... არადა, ფორვარდი განაცხადშიც იყო, მაგრამ მისი ცხრანომრიანი მაისურით გერმანიის სტადიონებზე **სიდნი გოვუმ** ისპარეზა...

## ვეტერანები და ახალგაზრდები

ამ ევროპის ჩემპიონატს საკმაოდ ხანდაზმული სამი ფეხბურთელი ეყოლება: ავსტრიის ნაკრების ნახევარმცველი **ივიცა ვასტიჩი** და გერმანიის ნაკრების მეკარე **იენს ლემანი** 38 წლისანი არიან; ჰოლანდიის ნაკრების მეკარე **ედვინ ვან დერ საარი** კი - 37 წლის.

ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია შვეიცარიის ნაკრების ფორვარდი **ერენ დერდიოკი**, რომელსაც 12 ივნისს 20 წელი შეუსრულდება. ასევე 20 წლისანი არიან: **ქარიმ ბენზემა** და **სამირ ნასრი** (ორივე - საფრანგეთი), **ივან რაკიტიჩი** და **ნიკოლა კალინიჩი** (ორივე - ხორვატია), **მიხალ პაჟდანი** (პოლონეთი) და **რუი პატრისიო** (პორტუგალია).

მწვრთნელებში ყველაზე ასაკოვანი **ლუის არაგონესია** (69 წლის), ვისაც თვეებით "ჩამორჩება" საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი **ოტო რეჰაგელი**; თითქმის მათი "კბილაა" ჩეხეთის ნაკრების თავკაცი **კარელ ბრიუკნერი** - 68 წლის.

ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი ხორვატებს ჰყავთ - 39 წლის **სლავენ ბილიჩი**. 43 წლის არის **მარკო ვან ბასტენი** (ჰოლანდია), 44-ის - **რობერტო დონადონი** (იტალია).

## სტაბილური შემადგენლობები და ტიტულები

ავსტრია/შვეიცარიის მოედნებზე 13 ფეხბურთელი ისპარეზებს, ვისაც ადრე აქვს მოგებული ევროპის ჩემპიონატი. **ლილიან ტურამმა, ტიერი ანრიმ** და **პატრიკ ვიეირამ** (სამივე - საფრანგეთი) 2000 წელს მოახერხეს, ხოლო წინა ჩემპიონატში გამარჯვებული საბერძნეთის ნაკრებიდან 10 ფეხბურთელი ოტო რეჰაგელისთვის კვლავაც შეუცვლელებად რჩება: **ანტონიოს ნიკოპოლიდისი, გეორგიოს სეიტარიდისი, ტრაიანოს დელასი, ანგელოს ბასინასი, სტელიოს იანაკოპულოსი, ანგელოს ხარისტეასი, კონსანტინოს ხალკიასი, იანის გუმასი, გეორგიოს კარაგუნისი** და **კოსტას კაცურანისი**. სხვათა შორის, ასევე ათი ფეხბურთელია ჩეხეთის ნაკრებში, ვისაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე უთამაშია. ყველაზე მეტი შვედებს (12), იტალიასა და პორტუგალიას (11-11) ჰყავთ. შვედების მთავარი მწვრთნელი **ლარს ლაგერბაკი** ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მესამედ გაუძღვება თავის ნაკრებს.

ფეხბურთელებს რაც შეეხება, ვიეირასა და ანრის მსგავსად, მესამედ ისპარეზებენ ევროპის ჩემპიონატზე **იენს ლემანი, მიხაელ ბალაკი** (ორივე - გერმანია), **კიმი, ნუნუ გომეში** (ორივე - პორტუგალია), **ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა** (ორივე - იტალია), **იკერ კასილიასი** (ესპანეთი), **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** (ჰოლანდია), **იან კოლერი, მარეკ იანკულოვსკი, იარომირ ბლაჟეკი** ( სამივე - ჩეხეთი), **ფრედერიკ ლუნგბერგი, ოლაფ მელბერგი, ჰენრიკ ლარსონი, მარკუს ოლბაკი** (ოთხივე - შვედეთი). ამ მხრივ რეკორდსმენები კი ედვინ ვან დერ საარი (ჰოლანდია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი) და **ალესანდრო დელ პიერო** (იტალია) არიან - ისინი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე მეოთხედ ისპარეზებენ.

## ლეგიონერები

ოთხ ქვეყანას ლეგიონერი მწვრთნელი ჰყავს: საბერძნეთის ნაკრებს - ოტო რეჰაგელი (გერმანია), პორტუგალიას - **ლუის ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია), რუსეთს - **გუუს ჰიდინკი** (ჰოლანდია), პოლონეთს - **ლეო ბეენჰაკერი** (ჰოლანდია). ფეხბურთელებს რაც შეეხება, ყველაზე მეტი ლეგიონერი ჩეხეთსა და ხორვატებს ჰყავთ (20-20). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხორვატებს "უპირატესობა" უნდა მივანიჭოთ, რადგანაც **ლუკა მოდრიჩის** პრემიერლიგაში გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია. საკმაოდ ცოტა ლეგიონერი ჰყავს გერმანიას (4), იტალიასა და ესპანეთს (5-5); თუმცა რუსეთთან "ახლოს" ვერავინ მივა: გუუს ჰიდინკმა მხოლოდ ერთ ლეგიონერს უხმო ნაკრებში - "ნიურნბერგის" გარემარბს **ივან საენკოს**.

## ბუნდესლიგა საუკეთესოა!

ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი წარგზავნილი ბუნდესლიგას ეყოლება - 55 ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ მეორე მაჩვენებელი იმ ქვეყანას აქვს, ვისი ნაკრებიც ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ვერ მოხვდა. ხვდებით, ალბათ, რომ ინგლისზეა საუბარი - პრემიერლიგიდან ავსტრია-შვეიცარიაში 44 ფეხბურთელი ისპარეზებს. ცალკეულ კლუბებს რაც შეეხება, მოლოდინისამებრ, სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ აღიარებულ გრანდებს: "მანჩესტერს", "არსენალს", "ლივერპულს", "ჩელსის", "რეალს", "ბარსელონას", "მილანსა" და "ბაიერნს". თუმცა ყველაზე მეტი ფეხბურთელი "ლიონსა" და "პანათინაიკოსს" ეყოლება - ამ გუნდების ათ-ათი ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის არის. და ისევ ბუნდესლიგაზე - "ბაიერნსა" და "ვერდერს" რომ რვა-რვა ფეხბურთელი ეყოლება ევროპის ჩემპიონატზე, არავის უკვირს; ისე, როგორც "ჰამბურგის", "შტუტგარტის", "შალკეს" ან "ლევერკუზენის" ფეხბურთელთა ხილვა. აი, "ნიურნბერგის" ხუთი ფეხბურთელი რომ გამოვა ავსტრია-შვეიცარიის მოედნებზე, ფიქრით ალბათ, მეორე ბუნდესლიგისკენ იქნებიან...

**გია ტუხაშვილი**

ისინი დააკლდებიან ევროპის ჩემპიონატს





ალესანდრო დელ პიერო ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედ ისპარეზებს


მწვრთნელთაგან, ლუის არაგონესი უხუცესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008

# ყველაფერი ქომაგებისთვის

## თუ ფული არ გაქვთ, ღამეს რკინიგზის სადგურში უფასოდ გაათევთ

გნებავთ ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება და სასტუმროს ფული არ გაგაჩნიათ? შეგიძლიათ, ღამე რკინიგზის სადგურებში გაათიოთ. შვეიცარიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ტურნირის დღეებში, თავისი შენობები ფეხბურთის გულშემატკივრებს დაუთმოს. ოღონდ იქ გაჩერებულ ფანებს დაძინება სკამებზე მოუწევთ. მათ ფულს მხოლოდ ტუალეტით სარგებლობისათვის გადაახდევინებენ. მატჩების დღეებში, მატარებლები გვიან ღამემდე იმუშავებენ, სადგურები კი 24 საათის განმავლობაში ღია იქნება. იგულისხმება ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების - ბაზელის, ბერნის, ჟენევისა და ციურიხის სარკინიგზო სადგურები.

შვეიცარიელი პოლიციელები ამბობენ, რომ ევროპის ჩემპიონატისას უფრო ლმობიერნი იქნებიან, მაგრამ უცერემონიოდ მოქცევის საშუალებას არავის მისცემენ. ქომაგებს, რომელთაც მატჩების ბილეთები ექნებათ, თამაშების დღეს და მეორე დღის შუადღემდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მოემსახურებიან. ბერნის ტურიზმის დეპარტამენტი იუწყება, რომ ქალაქში, სადაც ჰოლანდიის ნაკრები ჯგუფის სამ თამაშს გამართავს, უკლებლივ ყველა სასტუმრო დაჯავშნილია.

ჟენევის მთავარ მოედანზე უბილეთო გულშემატკივრებისათვის ორი უზარმაზარი ეკრანი დამონტაჟდება. თამაშების ტრანსლაციის გარდა, ფანებს ცოცხალ კონცერტებსა და სპეციალურ ღონისძიებებს შესთავაზებენ - მაგალითად, ამხანაგურ მატჩს ჟენევის კბილის ექიმებსა და მეხანძრეებს შორის. მოედანზე შესვლა 40 ათას გულშემატკივარს შეეძლება. მათ განკარგულებაში იქნება ორმოცი რესტორანი და კაფე, მათ შორის, უზარმაზარი რესტორანი, სადაც ერთდროულად 320 ადამიანს დააპურებენ.

### ტორესს ხელფასი მოუმატეს

„ლივერპულმა" **ფერნანდო ტორესს** ხელფასი 20 პროცენტით მოუმატა. მას წინა სეზონში კვირაში 104 ათას ევროს უხდიდნენ. ამიერიდან კი 125 ათას ევროს მიუთვლიან. ეს ის თანხაა, რომელსაც ფეხბურთელი მადრიდის „ატლეტიკოში" ყოფნისას იხვეჭდა. შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ „ატლეტიკოდან" „ლივერპულში" გადასვლის სანაცვლოდ, ფეხბურთელი ანაზღაურების შემცირებასაც კი დათანხმდა. სამაგიეროდ, პრემიერლიგაში ჩატარებული შთამბეჭდავი სადებიუტო სეზონის შემდეგ მერსისაიდელებს ბევრი აღარ უფიქრიათ. ფეხბურთელის გული მოიგეს და ამით „ჩელსიც" ჩამოიშორეს გზიდან. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ფიქრობენ. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, ტორესის „ჩელსიში" ტრანსფერის თემა დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა.

### ზიკო თუ სკოლარი? სიტი სვენს ჯერაც ვერ ელევა

„ფენერბაჰჩეს" მთავარ მწვრთნელ **ზიკოს** ინგლისში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. მორიგი სპეკულაციების თანახმად, მწვრთნელს „მანჩესტერ სიტიმ" დაადგა თვალი. „სიტის" **სვენ გორან ერიქსონი** ჯერ არ დაუთხოვია. უფრო მეტიც, კლუბს ჯერ მინიშნებაც კი არ გაუკეთებია საიმისო, რომ შვედი სპეციალისტის გაშვებას აპირებს. ჯერ კიდევ პრემიერლიგის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე ინგლისურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ სვენის ბედი გადაწყვეტილი იყო. ერიქსონმა და „სიტიმ" სეზონის დარჩენილი თამაშები ინერციით ჩაატარეს და ბოლო ტურში „მიდლსბროსთან" სამარცხვინო ანგარიშითაც კი წააგეს - 1:8. ყველას ეგონა, რომ ერიქსონს იმავე საღამოს მიუთითებდნენ კარისაკენ, სინამდვილეში მან გუნდი ტაილანდურ შეკრებაზე წაიყვანა. ამიტომ ზიკოს დანიშვნის საკითხიც ისეთივე ბურუსითაა მოცულია, როგორც დღევანდელი მწვრთნელის გაშვება. ბრაზილიელ სპეციალისტს, რომელმაც „ფენერი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, კომენტარი არ გაუკეთებია. მედიის მტკიცებით, „სიტიში" დანიშვნის კიდევ ერთ კანდიდატია ზიკოს თანამემამულე **ლუიშ ფელიპე სკოლარი**.

### ბექჰემი ბრაიანტზე დიადია

**დევიდ ბექჰემი** ლოს ანჯელესის ყველაზე პოპულარული სპორტსმენია. ამერიკელი მიმომხილველები ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, რაც მაისურების გაყიდვის სტატისტიკას შეავლეს თვალი. მარტო გასულ წელს გულშემატკივრებმა ბექჰემის 300 ათასი მაისურა შეიძინეს, უფრო მეტი, ვიდრე კალათბურთისა და ბეისბოლის დიადი ვარსკვლავების. ამ სტატისტიკამ MLS-ის კომისარი **დონ გარბერიც** კი აღაფრთოვანა. მან სიამაყით გვაუწყა, რომ **კობი ბრაიანტი** და **ლებრონ ჯეიმსიც** კი 75-80 ათას მაისურზე მეტს ვერ ყიდიან. ბექჰემის პოპულარობამ კი ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებს გადაამეტა.

### რვამილიონიანი მწვრთნელი

„ჩელსის" სამწვრთნელო გადაადგილებები ძალიან ძვირი დაუჯდება. ინგლისურმა მედიამ ჯერაც ვერ შეიტყო, რა თანხას მიუთვლიან ყოფილ მთავარ მწვრთნელ **ავრამ გრანტს**. სამაგიეროდ, გაირკვა იმ გარიგების პირობები, რომლის ძალითაც **ჰენკ თენ კეიტი** გუნდიდან გაუშვეს. ჰოლანდიელი სპეციალისტი გრანტის მარჯვენა ხელი იყო. ის გუნდში გასული წლის სექტემბერში, „აიაქსიდან" გადაიყვანეს. ლონდონელებმა ამსტერდამელებს კომპენსაციის სახით, 800 ათასი გირვანქა მიუთვალა, თენ კეიტს კი სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და წელიწადში 1 მილიონი გირვანქა აღუთქვა. მისტერ ჰენკს „ჩელსიში" ერთი სრული სეზონიც არ უმუშავია. მისი გაშვების გამო კლუბს სრულად მოუწევს დარჩენილი ორი წლის ხელფასის გადახდა. საერთო ჯამში, ამ სპეციალისტთან თანამშრომლობა „არისტოკრატებს" თითქმის ოთხი მილიონი გირვანქა დაუჯდებათ, რაც რვა მილიონი დოლარის ტოლია.

### გოლცი ჰამბურგში

"ფრაიბურგის" ყოფილმა მეკარე **რიხარდ გოლცმა** აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა და თავის ძველ გუნდში, "ჰამბურგში" ახალ ამპლუაში დაბრუნდა. 39 წლის მეკარე HSV-ს გოლკიპერების მწვრთნელად დაინიშნა - სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ გოლცი ჩრდილოგერმანული კლუბის კარს 1987-დან 1998 წლამდე იცავდა და ამ გუნდის მაისურით 273 შეხვედრა ჩაატარა.

"ჰამბურგის" შემდეგ, გოლცი "ფრაიბურგში" გადავიდა, სადაც 2006 წლამდე თამაშობდა. მისი ბოლო გუნდი კი "ჰანოვერი" გახლდათ, სადაც რიხარდი უკვე მეორე მეკარე გახლდათ. წარმოშობით ბერლინელ გოლცს ბუნდესლიგაში სულ 453 თამაში აქვს ჩატარებული.

რეალი

# კეირუში: მადრიდში უმადური და უტიფარი ხალხი მუშაობს

## დაპირისპირების მიზეზი ისევ და ისევ კრისტიანო რონალდოა



**კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერი კვლავ ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება. ამ საპნის ოპერის შესახებ ინფორმაციებს დეტალურად და ოპერატიულად გაწვდით. ცნობილია, რომ სამეფო კლუბი ფეხბურთელში უპრეცედენტო თანხას, 140 მილიონ ევროს იხდის. მიუხედავად ამისა, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა პორტუგალიელ ვარსკვლავს არ ელევა. ინგლისიდან მადრიდელებს არაერთხელ შეუთვალეს, თავი დაგვანებეთ, ფეხბურთელს არ ვყიდითო. მიუხედავად ამისა, "რეალი" ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ესპანური პრესა სამეფო კლუბზე არანაკლებ აქტიურობს. როგორც ჩანს, მადრიდელ ჟურნალისტებს ძალიან უნდათ, რომ მათი სათაყვანებელი კლუბი მსოფლიო დონის ვარსკვლავით გაძლიერდეს. დღე ისე არ ჩაივლის, წამყვან სპორტულ გაზეთებში კრისტიანო რონალდოს შესახებ რაიმე ახალი არ დაიწეროს. ამჯერადაც ასე მოხდა. "დიარიო მარკაში" ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. ჩვენი კოლეგები რონალდოს ნათლიას, ვინმე **ფერნაო სოუზას** დაუკავშირდნენ და მისგან ასეთი განცხადება მოისმინეს:

*"ჩემს ნათლულს რამდენიმე დღის წინათ ვესაუბრე. მითხრა, რომ "მანჩესტერიდან" წასვლა უნდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რონალდომ ასეთი გადაწყვეტილება რომელი კლუბის სასარგებლოდ მიიღო. რა თქმა უნდა, საქმე მადრიდის "რეალს" ეხება. კრისტიანომ პირადად გამიმხილა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშზე ოცნებობს. ჩემს ნათლულს მამაშვილურად ვურჩიე, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობას მოლაპარაკებების დაწყება მოსთხოვოს. გარწმუნებთ, არაფერს ვაჭარბებ. შეგიძლიათ მენდოთ, კრისტიანო რონალდომ არჩევანი "რეალის" სასარგებლოდ გააკეთა."*

ბუნებრივია, ესპანელების ასეთი აქტიურობა "იუნაიტედის" ხელმძღვანელობას ძალიან აღიზიანებს. რამდენიმე დღის წინათ ბრიტანელებმა პირენეელ კოლეგებს არაეთიკურობაში დასდეს ბრალი. მათ ბრალდებას **რამონ კალდერონმა** იმავე დღეს უპასუხა და განაცხადა, "მანჩესტერი" ჩვენი მეგობარი კლუბია და მის წინააღმდეგ უღირსი მეთოდებით ბრძოლას არ ვაპირებთო. მიუხედავად ამისა, მანჩესტერში განგაშის ზარები კიდევ ერთხელ შემოკრეს. საქმეში გარკვევის მიზნით "წითელი ეშმაკების" მეორე მწვრთნელის, **კარლუშ კეირუშის** განცხადებას შემოგთავაზებთ: *"სამეფო კლუბს, რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობ. "ბერნაბეუზე" მთავარ მწვრთნელად ვმუშაობდი და ბევრი რამე გავიგე. შესაძლოა, ბევრს ვაწყენინო, მაგრამ გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მადრიდში უმადური და უტიფარი ხალხი მუშაობს. ვერც კი დავთვლი, კრისტიანო რონალდოზე უარი რამდენჯერ შევუთვალეთ. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თავი დაგვანებონ. რონალდო "მანჩესტერის" კუთვნილებაა და არავის დავუთმობთ. სამწუხაროდ, "რეალის" ხელმძღვანელებისთვის ხშირად პატიოსნება და კოლეგიალობა სრულიად უცხო ხილია. მადრიდში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ მათთვის მთავარი დასახული მიზნის მიღწევაა. ამ ადამიანებისთვის მიზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. მართალია, ჩემი წამოსვლის შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ტრადიციები ხელუხლებელი დარჩა. იმას, რასაც ახლა "რეალი" კადრულობს, "მანჩესტერ იუნაიტედი" არასოდეს გააკეთებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ესპანელი კოლეგები მაინც არ შეგვეშვებიან. თუ ჩემი პროგნოზი გამართლდება, იძულებული გავხდებით, საქმის კურსში ფიფა და უეფა ჩავაყენოთ. იმედია, ამის შემდეგ მაინც დაგვანებებენ თავს."*

კეირუშს "მანჩესტერის" აღმასრულებელი მდივანი **დევიდ გილიც** არ ჩამორჩა. ინგლისელი საფეხბურთო მოღვაწე "რეალს" დაუწერელი კანონების უგულებელყოფაში ადანაშაულებს და კალდერონისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. გარდა ამისა, გილი მადრიდელ კოლეგას სთხოვს, რომ რონალდოს გადაბირებაზე უარი განაცხადოს. რაც მთავარია, სენიორ კალდერონმა ეს განცხადება მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებით უნდა გააკეთოს. სამეფო კლუბის პრეზიდენტს გილის ეს მოთხოვნა სასაცილოდაც არ ეყო: *"ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არავის საქმე არ არის, მე ვის შეძენას მოვისურვებ. უკანონო არაფერი ჩაგვიდენია. პირიქით, მანჩესტერელებს ყოველთვის საქმის კურსში ვაყენებდით და მათ ზურგს უკან არაფერს ვაკეთებდით. გულდასაწყვეტია, რომ ჩემს პატიოსნებას ასეთი ბრალდებებით პასუხობენ. ჩვენს მისწრაფებაზე უარს არ ვიტყვით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კრისტიანო რონალდომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გააგრძელოს კარიერა. როგორც ვატყობ, გადამწყვეტ როლს თავად რონალდო ითამაშებს. თუ ის იტყვის, რომ "რეალში" თამაში უნდა, წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს."*

ამასობაში ასპარეზზე **ლუიშ ფელიპე სკოლარი** გამოვიდა. პორტუგალიის მთავარი მწვრთნელი კრისტიანოს პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად ეუბნება - შვილო, "რეალში" წადი, ცხოვრებაში ასეთი შანსი მეორედ არ მოგეცემაო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჰანოვერი

# ფორსელი მოვიდა

"ჰანოვერის" ფეხბურთელები შვებულებაში არიან და ისვენებენ, კლუბის ხელმძღვანელები კი გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავენ. გუშინ გადაწყდა, რომ მომავალი სეზონიდან "წითლებში" 27 წლის თავდამსხმელი **მიკაელ ფორსელი** ითამაშებს.

ფინელი ფორვარდი ბუნდესლიგას პრემიერლიგიდან მიაშურებს - გასული სეზონი მან "ბირმინგემში" გაატარა - გუნდში, რომელიც ელიტიდან გავარდა - და 30 თამაშში 9 გოლი გაიტანა. "ჰანოვერის" ბოსი **კრისტიან ჰოხშტეტერი** კმაყოფილია და ამბობს, მიხარია, რომ მიკაელი ჩვენთან გადმოვიდაო. "წითლებს" ფორსელის შეძენა ერთი ცენტიც არ დასჯდომიათ, რადგან ფინელს კონტრაქტის ვადა ამოეწურა. მართალია, "ბირმინგემს" შეეძლო ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა, მაგრამ ინგლისელებმა მეორე ლიგაში ფორსელისთვის მაღალი ხელფასის გადახდა უაზრობად მიიჩნიეს. მიკაელმა "ჰანოვერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა. სხვათა შორის, ფორსელი "ჰანოვერში" გადასვლასთან 18 თვის წინაც ახლოს იყო, მაგრამ მაშინ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. გერმანელი ქომაგებისთვის ფორსელი ნაცნობი ფიგურაა. 2002/03 წლების სეზონში ის მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" თამაშობდა. გლადბახელებმა ფინელი მაშინ "ჩელსიდან" ინათხოვრეს. "ბორუსიის" მაისურით მან 16 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა (სამი საგოლე პასი). ფინეთის ნაკრებში კი, 25 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი.



მიკაელ ფორსელმა პრემიერლიგაში 9 გოლი გაიტანა

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ "ჰანოვერს" დატოვებს უნგრელი შემტევი ნახევარმცველი **ჟაბოლჩ ჰუშტი**. მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ჰუშტის კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, გარკვეულია, რომ ის "ჰანოვერს" ამავე სეზონში დატოვებს. კლუბის შეფებმა ჰუშტის კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს და ულტიმატუმი წაუყენეს - ფეხბურთელს პასუხი მაისამდე უნდა ეთქვა. რაკი უნგრელისგან პასუხი არ მიიღეს, ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აღარ სთავაზობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლია, ახლავე წავიდეს. გუშინწინ ფეხბურთელსა და ხელმძღვანელებს შორის კიდევ ერთი უშედეგო საუბარი შედგა.

არადა, ჰუშტიმ ეს სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა - 10 გოლი, 10 პასი და გუნდში ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი იყო. "ბილდის" ინფორმაციით, მისი გადაბირება არაერთ ევროპულ კლუბს უნდა, მაგრამ ფავორიტი "ჰამბურგია", რომლის ახალ მთავარ მწვრთნელ **მარტინ იოლს** უნგრელი ძალიან მოსწონს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი





დასაწყისი „ლელო“
№88, 92, 97, 103, 109, 115, 121

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის "ჰომო სოვეტიკუსის" მეცადინეობით დაიბეჭდა სტადიონზე დასასწრები ბილეთები... რუსულ ენაზე. ბუნებრივია, ბილეთები "შემქმნელებს" თავზე დაახიეს და სასაწრაფოდ დაიბეჭდა ქართული ჩეპიონატის საკადრისი.

1990 წლის 30 მარტს იხსნებოდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი. 75 ათასიან სტადიონზე 100 000 მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ზეიმის გახსნას. ცერემონიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ ცნობილი ქართველი მომღერალი **ჯემალ მდივანი,** რომელსაც მოედნის ცენტრში უნდა ემღერა "თავისუფლება" ფალიაშვილის "დაისიდან".

ავტოსაცობში მოხვედრილ მაესტროს ოდნავ დააგვიანდა. და აი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯლიანი კიაზო, კონტროლიორების წინ ალიმართა. შეცბნენ მცველები. "ბოდიში, თქვენი ბი..." "განა არ იცი, მე კიაზო ვარ! ხანჯლისკენ ხელი გააცურა ასისთავმა. კითხვა მოიხსნა. მიბრძანდით, ბატონო!" ზეიმი დროზე დაიწყო.

**საქართველოსა** და რუსეთის ეროვნული ნაკრებების პირველ მატჩში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ქართველი **კუდინოვი** და რუსი **თეთრაძე.**

**მსოფლიო** ფეხბურთის სრული ილუტსრირებული "ენციკლოპედია" კიმ რედნიჯის რედაქტორობით ავტორიტეტული გამოცემაა (კარლტონ ბუკს, ლონდონი, 2002 წელი). აი, რას ვკითხულობთ მასში ქართული ფეხბურთის შესახებ: "საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 1992 წელს." ვითომ? საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1990 წლის 15 თებერვალს. იმედია, მომავალ გამოცემებში "სრული ენციკლოპედია" გლობალურ მკითხველს შეცდომაში აღარ შეიყვანს. სხვათა შორის, ტყუილს ფეხბურთშიც მოკლე ფეხები აქვს ( ერთი გამონაკლისის გარდა: მოგეხსენებათ, მოკლეფეხებიანი გარინჩას მოტყუილებული მცველების ხილვა აღაფრთოვანებდა მაყურებელს და არა დასტამბული სიცრუე...).

**სხვაგან** თუ ხდება ასეთი რამ? 2006 წელს თბილისის საფეხბურთო კლუბ "შევარდენ1906"-ს 100 წელი შეუსრულდებოდა. ასეთი მხცოვანი კოლექტივით თითზე ჩამოსათვლელი ქვეყნები თუ დაიტრაბახებდნენ და ძალიან უფრთხილდებიან მათ იმიჯს. ჩვენთან რა ხდება? რა და, რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს დამფუძნებელი ჩემპიონატის მონაწილე, კავკასიის უძველესი გუნდი დაშალეს...

**გიორგი დემეტრაძე** საბჭოთა და რუსეთის ჩემპიონატების რეკორდსმენია. ზედიზედ ორ ჩემპიონატში მან 45 ბურთი გაიტანა. ასე ვიცით ქართველებმა!

**სოცფსიქოლოგიის ფენომენი.** საბჭოთა პერიოდში თბილისის "დინამოს" სტადიონზე ორი ტაბლო იყო. ქართულენოვანი და რუსულენოვანი გვარითურთ. ეს ყოველივე ტელევიზიითაც ფიქსირდებოდა, მაგრამ ერთი საგულისხმო რამ ხდებოდა ე.წ. საკავშირო ტელეტრანსლაციის დროს - ყოველთვის რუსულენოვანი ტაბლო კიაფობდა ეთრეში. აი, ჩვენს მეზობელ სომხეთში კი, ანალოგიურ შემთხვევაში, მხოლოდ სომხურენოვან ტაბლოს აჩვენებდნენ. თუ ამ ფაქტში ვინმეს ეჭვი ეპარება, ვიდეოთეკის ტელეარქივს გადავლოს თვალი. საინტერესოა, რომელი "ინსტრუქციით ხდებოდა ყოველივე ჩვენთან და მეზობლებთან?

**საბჭოთა** საქართველოს სპორტსაზოგადოება "განთიადს" ქუთაისის ავტოქარხანაში ჰქონდა სპორტკლუბი "კოლხიდა", რომლის ფეხბურთელთა კოლექტივს "ტორპედო" ერქვა. ეს იგივეა, კაცს ლევანი ერქვას, ნაცნობები შოთას ეძახდნენ, პასპორტში კი ჭიჭიკო ეწეროს...

**უაღრესად საინტერესო ფაქტი:** თბილისის "დინამოს" კოლექტივი ის გუნდია, რომელთანაც მოწინააღმდეგეებმა სამჯერ აარიდეს თავი სუპერთასზე ასპარეზობისას. ევროპის მასშტაბით თამაშზე უარი თქვა "ლივერპულმა" - თავად ინგლისელთა შეფასებით, ყველა დროის ამ ქვეყნის საუკეთესო კლუბმა, საბჭოთა კავშირში კი უკრაინის უძლიერესმა კიევის "დინამომ" და ასეთივე რუსულმა გუნდმა მოსკოვის "სპარტაკმა". ასეა, საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო!

**ერთხელ** ცნობილ ქუთაისელ ფეხბურთელს ჰკითხეს: შენ უფრო მაგარი ხარ თუ პელე? პასუხი შემდეგნაირი იყო: პელემ ჩემდენი დალიოს, მერე ვნახოთ...

**საბჭოთა** საქართველოში არსებობდა გუნდი "მებოსტნე"... საინტერესოა, ქალაქის დასუფთავების სამსახურს რომ ჰყოლოდა კოლექტივი, რას დაარქმევდნენ?

**ისევ სახელწოდებებზე:** ერთმა გურულმა გულშემატკივრმა იკითხა: "ჩვენში სოსისს "ივერია" ჰქვია, გუნდს კი -"დინამო". ვითომ, პირიქით რომ იყოს, დაშავდება რამე ბიძიკო?" ჩვენც დავუმატოთ – ალბათ, შეკითხვა სოსისი ღორისაა თუ საქონლის, ლენინის ორდენოსანი საზოგადოების სახელთან დაკავშირებით, ნაკლებად უხერხული იქნებოდა...

**რას არ ნახავს** კაცი-გულშემატკივარი. იყო დრო (90-იანი წლები) თბილისის "დინამოს" ემბლემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: პროლეტარი ჩეკისტების შექმნილი საზოგადოების კლუბის აღმნიშვნელ "დ"-ს, სამეფო გვირგვინი ამშვენებდა.

**ქართველი მეკარის ნაამბობი.** "მეზობელი სახელმწიფოს (მაშინ რესპუბლიკის) გუნდს ვეთამაშებოდით გასვლაზე. სავარჯიშოდ გავედით და კარში ჩავდექი. საკმაოდ მაღალი ვარ, მაგრამ ზედა ძელს აწეული ხელებით ვერ ვწვდები. აქ კი უპრობლემოდ ჩამოვეკიდე ხარიხას. ჩემი გაოცების შედეგად სახელდახელოდ ჩატარებულმა გამოძიებამ , საოცარი შედეგი გამოიღო: თურმე მასპინძლების ტანდაბალი მეკარის ქმედითუნარიანობის ამაღლების მიზნით, სტადიონის ადმინისტრაციას ზედა ხერიხა სნატიმეტრების საკმაო რაოდენობით... დაბლა დაუწევია! სკანდალს მოვერიდეთ და მაინც მოვიგეთ.

**ერთხელ** უნვირეისტეტის ბაღის "რაციონალიზატორები" ფიფაში ასეთი წინადადების შეთავაზებაზე ბჭობდნენ: თოვლიან ამინდში წითლად შეიღებოს არა მარტო ბურთი, არამედ კარის ძელებიც. სხვათა შორის, არის ამაში რაღაც რაციონალური.

**თბილისელები** სსრკ-ს ჩემპიონები ხდებოდნენ ან ორივე შემადაგენლობთ (ძირითადი და სათადარიგო), ან არც ერთით, - ან ყველაფერი, ან არაფერი.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 1-6 ივნისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

1 ივნისი, 1912 წელი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ერთი ახალი ცვლილება შეიტანა თამაშის წესებში. ამიერიდან მეკარეს მხოლოდ საჯარიმო მოედნის საზღვრებში დაუწესდა ხელში ბურთის აღების უფლება.

1 ივნისი, 1955 წელი. ამ დღეს მოტოსპორტის ისტორიაში დატრიალდა ყველაზე შემზარავი ტრაგედია - ლე მანის 24 საათიანი რბოლის დროს დაიღუპა 82 და დაშავდა 100-ზე მეტი მრბოლი.



5 ივნისი, 1997 წელი. გერმანიის ქალაქ ჰალეში ბრწყინვალედ იასპარეზა **დავით კვაჭაძემ** და პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონი გახდა კრივში.

5 ივნისი. 1999 წელი. **შტეფი გრაფმა** "როლან გაროსის" ფინალში მარტინა ჰინგისს სძლია - 4:6, 7:5, 6:2 და 107-ე გამარჯვება მიითვალა კარიერაში.

6 ივნისი, 1958 წელი. ამ დღეს დაიწყო და 29 ივნისს დასრულდა შვედეთში მსოფლიოს VI ჩემპიონატი ფეხბურთში. ბრაზილიის ნაკრები პირველად გახდა მოსლფიო ჩემპიონი.

6 ივნისი, 1987 წელი. პარიზში 17 წლის **შტეფი გრაფმა** პირველად მოიგო "გრანდ სლემის ტურნირი". ფინალში მისი მეტოქე იყო გამოცდილი **მარტინა ნავრატილოვა.**

## იყო ასეთი შემთხვევა

# ჩირაღდნით წაიფორხილა

ხდება, ყველაფერი ხდება, მაგრამ გააჩნია როდის და სად, რა ვითარებაში, შემთხვევაც რეზონანსულობას ამის შესატყვისად იძენს. ცხადია, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონალზე, ცეცხლის ანთებისას რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდებოდა. მაგრამ მოხდა. 1956 წელს, (ეს ის წელიწადია, როცა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში პირველად ჩაერთო საბჭოთა კავშირი, რომლის ნაკრებში შედიოდა ბაკურიანელი "მფრინავი ტორპედო "კობა ნაქაძე), კორტინა დ' ამპეცოში ციგურებით მრბოლი გვიდო კაროლი სტადიონზე მიკროფონის მავთულს წამოეგო და დავარდა, თუმცა ჩირაღდანი ხელიდან არ გაუშვია. მთავარი ეს იყო. წამოდგა, გაირბინა ბოლო ეტაპი და ოლიმპიური ცეცხლიც, სტადიონზე, საზეიმოდ სცენარის მიხედვით აინთო.

# ცხენი ლეგენდა



ამ ცხენის გენეოლოგია მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი. დაიბადა კენტუკში, 1933 წელს. დედ-მამა და ბებია-ბაბუაც სახელოვანი ჰყავდა. მამის სახელი დაარქვეს - სებისკვიტი. მოიგო უამრავი პრესტიჟული დოლი, მოიპოვა ამერიკის ჩემპიონობა, მიეკუთვნა აშშ-ის საუკეთესო მერანის ტიტული (1938), გახდა ამერიკის დოლის დიდების დარბაზის წევრი (1958), დაუდგეს ძეგლი. 2001 წელს ამ ცხენზე დაიწერა წიგნი "ამერიკული ლეგენდა", 1949 წელს გადაიღეს ფილმი "სებისკვიტის ამბავი", 2003 წელს კი ამ ფილმის რიმეიქი - სებისკვიტი ოსკარზე იყო წარდგენილი, მაგრამ პირველობა "ბეჭდის მრძანებელს" დაუთმო. XX საუკუნის რჩეულ მერანთა ასეულში დაიკავა 25-ე ადგილი. მონაგარი - 437730 აშშ დოლარი.

**დავით ჩუბინიძე**

## კვიმატი ობიექტივი



## თქვენთვის, ერუდიტებო

ოლიმპიურ თემაზე

1. ვინ, როდის და სად გადაიტანა ოლიმპიური თამაშები ოლიმპიიდან?

ა - კალიგულამ, ძვ.წ.ა. 38 წელს, ეგვიპტეში
ბ - სულამ, ძვ. წ.ა. 80 წელს, რომში
გ - ტიბერიუსმა ძვ. წ.ა. 56 წელს, სპარტაში

2. ძველბერძნულ ოლიმპიადებზე რა იარაღს იყენებდნენ სპორტსმენთა დასასჯელად?

ა - მათრახს
ბ - შოლტს
გ - სახრეს

3. მეორე მფოლიო ომამდე ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიელი იყო

ა - ნურმი
ბ - ვაისმიულერი
გ - იარვინენი

4. ვინ და რომელ წელს აკრძალა ოლიმპიური თამაშები

ა - ნერონმა, ძვ. წ.ა. 44 წელს
ბ - თეოდორიუს პირველმა, ძვ. წ.ა. 394 წელს
გ - ოქტავიანემ, ახ. წ.ა. 296 წელს

5. რიგით რომელი ოლიმპიური თამაშები მიეკუთვნება 1916 წელს?

ა - IV, მაგრამ ჩაიშალა
ბ - V, მაგრამ გადაიდო
გ - VI, მაგრამ არ ჩატარებულა

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - გ.

კალათბურთი. ხვალ, 15:15. სპორტის სასახლე. სუპერთასი

# სუპერთასი სასწორზე: ავია თუ ენერჯი?



ხვალ, 15:15 საათზე, სპორტის სასახლეში გაიმართება 2007-08 წლების სეზონის ბოლო მატჩი - ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასისთვის ერთმანეთს "ავიამშენი" და "ენერჯი" დაეჭიდებიან. მკითხველს შევახსენებთ, რომ "ავიატორებმა" წლეულს ორი ტიტული მოიგეს - საქართველოს და ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასები, ხოლო რუსთავის "ენერჯი" ერთი კვირის წინათ ქვეყნის ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, სეზონის დასაწყისში ქვემოქართლელებმა დადიანის მემორიალიც მოიგეს. ასე რომ, სუპერთასის მატჩი გვიჩვენებს, ტიტულების მხრივ "ავია" გადაწონის, თუ "ენერჯი".

ამ შეხვედრის წინ ორივე გუნდის წარმომადგენლები კლუბ "12 მაგიდაში" შეიკრიბნენ, სადაც ერთი სიახლე დაგვხვდა: ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით გამოიფინა ჩვენი ფოტოგრაფის ალექსანდრე კოტორაშვილის ნამუშევრები.

პრესკონფერენცია "ავიამშენის" **მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ გახსნა:** *"ჩვენმა გუნდმა დაარსების დღიდან მოიგო საქართველოს ჩემპიონობა და თასი, ქორქია-საკანდელიძისა და დადიანის მემორიალები, მაგრამ არ მოგვიპოვებია საქართველოს სუპერთასი. ამიტომ კვირის მატჩისთვის მოტივაცია საკმარისად გვაქვს. ამას დავუმატოთ ერთი კვირის წინათ "ენერჯისთან" ჩემპიონატის ფინალების წაგება და თავადაც მიხვდებით, რა შემართებით გამოვა გუნდი. ტრავმირებული მხოლოდ ირაკლი ხოშტარიაა, თუმცა, ცხვირის ტრავმის გამო, კოტე ტულუშის მოედანზე გამოსვლაც კითხვის ნიშნის ქვეშაა".*

**ფინალური სერია გაიხსენა "ავიას" უკანახაზელმა ნოდარ ბერაიამ:** *"ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში სასურველი შედეგის მიღწევამდე ცოტა დაგვაკლდა. ვეცდებით რევანში სუპერთასზე ავილოთ".*

**რიჩარდ მათიაშვილი დაგვპირდა, რომ ენერჯელ ბესიკ ლეჟავასთან აღარ იჩხუბებს - ბესო მეგობარია და ფინალებში მომხდარი უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდაო:** *"რუსთაველებს ძლიერი გუნდი რომ ჰყავთ, ეს არაერთხელ დაამტკიცეს. ჩვენც დასამტკიცებელი გვაქვს, რომ არანაკლებ ძლიერები ვართ. ვნახოთ, კვირას ვინ რას იზამს".*

**"ავიატორებისგან" სიტყვა "ენერჯის" მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა გადაიბარა:** *"ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ძალიან ძნელი იყო სუპერთასის მატჩისთვის მომზადება. გვქონდა არაერთი ტრავმა და სრული შემადგენლობით მხოლოდ დღეს ვივარჯიშეთ. ხვალ მეორე სრულ წვრთნას ჩავატარებთ და ვეცდებით სეზონის ბოლო მატჩს მობილიზებულები შევხვდეთ. მართალია, იოვან სტეფანოვს კუჭი არა აქვს წესრიგში და მკაცრ დიეტაზეა, მაგრამ მოედანზე მაინც გავა."*

**ზვიად ბაბიაშვილი საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ სერიას მეშვიდედ თამაშობდა და პირველად მოიგო ოქრო:** "აქამდე ვცდილობდი ისეთი გუნდები შემერჩია, რომელთან ერთადაც ჩემპიონობის მოპოვების მეტი შანსი მექნებოდა, მაგრამ 2008 წლამდე ეს ვერ მოვახერხე. მიხარია, რომ წელს მაინც მოვიგე ჩემპიონატი. ფინალურ სერიაში ჩვენი თამაშითადა შედეგით კმაყოფილი ვარ".

**"ენერჯის" გამთამაშებელმა, ლაშა გამყრელიძემ ფინალურ სერიაზე შედარებით მეტი ისაუბრა:** "პირველი მატჩი რთული გამოდგა, ძალიან ცუდად დავეცი, დავიზიანე ცხვირი და წელი, მაგრამ გადავრჩი სერიოზული ტრავმა რომ არ მივიღე. მეორე შეხვედრაში გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, ბესიკ ლეჟავას გარეშე ვითამაშეთ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ კიდეც. თბილისურ მატჩებში შედარებით უკეთ გამოვიყურებოდით და, ვფიქრობ, ჩემპიონატი დამსახურებულად მოვიგეთ. ვიმედოვნებ, სუპერთასსაც რუსთავში წავიღებთ".

**ვაჟა სიმონიშვილი**




ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალი

# მართვე ოქრომდე აფრინდა



27 მაისიდან 30-მდე გასტანა ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალმა. ერთმანეთს სხვადასხვა რეგიონის 1996 წელს დაბადებულთა 8 გუნდი ეჯიბრებოდა. ჩემპიონობა არავის დაუთმო თბილისურმა "მართვემ", რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი **ომარ ლებანიძე** წვრთნის. ვიდრე ჩემპიონთა გვარებს ჩამოგითვლიდეთ, გეტყვით, რომ გუნდები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. თითოეულ ქვეჯგუფში გამარჯვებული ავტომატურად ილებდა ფინალის საგზურს. გადამწყვეტ მატჩში "მართვემ" სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა გუნდი 47:24 დაამარცხა და ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულებს ოქროს მედლებისა და სიგელების პარალელურად საკალათბურთო ბურთები გადაეცათ. თუმცა, ისიც უნდა დავამატოთ, რომ ბურთები საჩუქრად ტურნირის ყველა მონაწილემ მიიღო.

ახლა ჩემპიონების სიას გავეცნოთ: **დიმიტრი ბობილევი, ლუკა ბახტაძე, დიმიტრი ვაჭარაძე, გიორგი მანჩხოშვილი, ცოტნე კერელიშვილი, ლაშა ვეკუა, მამუკა მაზუაშვილი, ლუკა მაჩაიძე, მიხეილ მუჩაიძე, სოსო გოგნაძე, გიორგი გუგეშაშვილი, იური ხალათიანი.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

მშვილდოსნობა

# პოლონეთთან დამარცხდნენ

ანთალიის დიდი პრიზი ჩვენი მშვილდოსნებისთვის გუშინ საბოლოოდ დასრულდა - გუნდურ პირველობას ქალთა ნაკრები (ნარიმანიძე, ესებუა, დიასამიძე) პირველივე წრეში, პოლონელებთან მარცხით გამოეთიშა. მოგეხსენებათ, ჩვენებმა შესარჩევში მე-12 ადგილი დაიკავეს, პოლონელები კი მეხუთეზე გავიდნენ. ეს გუნდები ბოლო ხანებში უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ბრძოლა ჩვენებმა მოიგეს, მეორე - პოლონელებმა და ამჯერადაც ისევ მათ იმარჯვეს - 203:194.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# მეოთხედფინალი ახლოს იყო




ბარსელონაში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** მესამე დღეს სამი შეხვედრა გამართა და კინაღამ მეოთხედფინალში გააღწია.

ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯერ მე-18 ნომრად განთესილ იაპონელებს **ასაშისა** და **შირატორის** სძლიეს 2:0 (21:19, 21:10). მერე კი ტურნირის მე-10 ნომრები მასპინძელთა წყვილი დაამარცხეს - 21:18, 21:19.

როგორც ჩანს, ამ შეხვედრას გეორ-გიამ დიდი ძალა შეალია, ვინაიდან ზუსტად სამ საათში, ერთ ჩვეულებრივ, ორდინალურ ლატვიურ დუეტთან **სამოილოვსსთან** და **პალვნისსთან** თითქმის უბრძოლველად დამარცხდნენ 11:21, 17:21.

შედეგად გეორ-გიამ რეიტინგში 240 ქულა მიითვალა და 5 500 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა. შემდეგ ეტაპზე ვაჟები და ქალები ისევ ერთად, 2-8 ივნისს პოლონეთის საკურორტო ქალაქ სტარე იაბლონკიში იასპარეზებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

# ბერძენიშვილს თამაშის უფლება არ ჰქონდა!

სკანდალური სახელბურთო სერიალი გრძელდება. საქმე ეხება სტუ-"თელავი" – "თბილისს" შორის გამართულ ფინალურ სერიას, რომელშიც "თბილისის" ხელმძღვანელობის აზრით, **ლევან ბერძენიშვილს** თამაშის უფლება არ ჰქონდა.

გუშინ, "თბილისის" შეფი **მამუკა მჟავანაძე** კიდევ ერთხელ გვესტუმრა რედაქციაში და ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან მიღებული მორიგი ფაქსი გაგვაცნო, რომლითაც ევროხელბურთის მამები კიდევ ერთხელ განმარტავენ, რომ ლევან ბერძენიშვილმა თურქეთის "ჩაიკურთან" საიჯარო ხელშეკრულების ვადა ამოწურა 21 მაისს და სწორედ ამ დღეს მიიღო სტუში დაბრუნების ლიცენზია. ამდენად, მას 17 და 19 მაისს, საქართველოს ჩემპიონატის ფინალებში თამაშის უფლება არ ჰქონდა.

### ძვირფასო ხელბურთის მეგობრებო!

**ხელბურთელი ლევან ბერძენიშვილი იჯარის წესით გადავიდა თურქეთში 2008 წლის 29 თებერვლიდან 2008 წლის 20 მაისამდე. იჯარის ხანგრძლივობა მითითებული იყო საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც ხელმოწერილია ქართული და თურქული კლუბების მიერ და წარდგენილია საერთაშორისო სერთიფიკატის სახით. 2008 წლის 21 მაისს EHF-იმ ავტომატურად გამოაგზავნა საერთაშორისო სერთიფიკატი ლევან ბერძენიშვილის ტრანსფერის შესახებ თურქეთიდან საქართველოში. აქედან გამომდინარე, ხელბურთელს შეუძლია ქართულ კლუბში თამაში 21 მაისიდან. იმ შემთხვევაში თუ ხელბურთელი 21 მაისამდე ქართულ კლუბში ითამაშებდა, სადისციპლინო სანქციები წესების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო (ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით).**

**პატივისცემით, კლაუდია ბრანტლი, საერთაშორისო ტრანსფერები, EHF.**

იგივე წერილი მიიღო ევროპის ფედერაციიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ, რამაც გვარიანი დაბნეულობა გამოიწვია. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, რომ ევროპიდან ამგვარ პასუხს არ ელოდა.

კაკაბაძემ გუშინვე გაგვაცნო ის იურიდიული დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც ფედერაციის პრეზიდიუმმა ბერძენიშვილს ფინალებში თამაშის უფლება მისცა.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის არგუმენტი ასეთია: 2008 წლის 5 მაისს სტუ/"თელავმა" და "ჩაიკურსპორმა" 21 მაისამდე გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანეს ცვლილება და იჯარის ვადა შეამცირეს 2008 წლის 5 მაისამდე, რაც დადასტურებული იქნა "ჩაიკურსპორის" წერილით. ამის შესახებ, კლუბებიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში შემოსული წერილები გადაგზავნილი იქნა ევროპის ხელბურთის ფედერაციაში მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად. ამის შემდგომ, ფედერაციის პრეზიდიუმი დაეყრდნო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთამაშეების სხვა ფედერაციაში გადასვლის რეგლამენტის მე-13 პარაგრაფს, რომელშიც განსაზღვრულია იჯარით გაცემული მოთამაშეების თავის კლუბში დაბრუნების პროცედურა, კერძოდ: **§13.2 იჯარის ვადის გასვლის შემდგომ მოთამაშე ავტომატურად ბრუნდება თავის კლუბში, რომელმაც იგი გასცა იჯარით.** ამ პუნქტში არ არის მოთხოვნა მოთამაშისთვის საერთაშორისო სერთიფიკატის გაცემის შესახებ, როგორც ეს არის გათვალისწინებული მოთამაშის იჯარით წასვლის დროს.

ეს საბუთები ევროპის ფედერაციაშიც გადაგზავნეს და რაკილა უქმე დღეები მოდის, საბოლოო პასუხს ალბათ, ორშაბათ-სამშაბათს მიიღებენ, რის შემდეგაც საბოლოოდ გადაწყდება ყველაფერი. ასე რომ, რამდენიმე დღეც მოვიცადოთ...

**კობა ხატისაშვილი**

რაგბი. ერთა თასი 2009-10

# თანმიმდევრობა ცნობილია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მომავალი წლის თებერვლიდან 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. უკვე ცნობილია ის თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც მოუწევთ ასპარეზობა ბორჯღალოსნებს ერთა თასზე. პირველ შეხვედრას ჩვენი ნაკრები სტუმრად გამართავს დებიუტანტ გერმანიის ნაკრებთან, რომელმაც ჩეხეთის ნაკრები შეცვალა.

მომდევნო შეხვედრა თბილისში გაიმართება პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან, რასაც მერე ესპანეთში სტუმრობა მოსდევს. შემდეგ საკუთარ მოედანზე ვიღებთ რუმინელებს, პირველ წრეს კი რუსეთში თამაშით დავამთავრებთ. მეორე წრე იგივე თანმიმდევრობით 2010 წელს გაიმართება. შეხვედრების თარიღები 19 ივნისს საბერძნეთში გასამართ FIRA AER-ის სხდომაზე დადგინდება. ამავე ორგანიზაციის მითითებით, თამაშები 7 თებერვლისა და 21 მარტის ინტერვალში უნდა გაიმართოს. ამასთან გუნდებს ნება დართეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთი სეხვედრა ნოემბერში გამართონ.

ყველა მატჩი აუცილებლად უნდა დაემთხვევას IRB-ის მიერ დადგენილ საერთაშორისო შეხვედრებისთვის გამოყოფილ სპეციალურ ფანჯარას. ამ დღეებში კლუბს უფლება არ აქვს მოთამაშე დააკავოს და ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვას.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# გუნდიშვილი ზიბზიბაძესთან

საფრანგეთში სეზონი არ დასრულებულა, თუმცა სატრანსფერო ციებცხელება ნელნელა მატულობს. ახლახან კიდევ ერთმა ქართველმა მორაგბემ გააფორმა ხელსაყრელი კონტრაქტი. მესამეხაზელი **ირაკლი გუნდიშვილი,** რომელიც ფედერალ 1-ის „მიიოში" ასპარეზობდა „პერიგოში" გადავიდა, რომელიც ამჟამად პლეი ოფში იბრძვის ელიტარულ მეორე დივიზიონში გადასასვლელად. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში უკვე მეორე სეზონია თამაშობს ქართველი შუამარბი **თედო ზიბზიბაძე.**

| საქართველოს ჩემპიონატი. მე-4 ტური | | |
|---|---|---|
| 31 მაისი, უმაღლესი ლიგა | | |
| 16:00 | აკადემია-აია | *სინათლე* |
| 16:00 | ყოჩები-უნივერსიტეტი | *ვაკე* |
| 18:00 | ლელო-ლოკომოტივი | *სინათლე* |
| 18:00 | დინამო-არმაზი | *ვაკე* |

ინტერვიუ რეზო ბელქანიასთან

# ხუთნი კანში

**საფრანგეთის მესამე ფედერალურ დივიზიონში მოასპარეზე „კანის" შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი ქართველი ითამაშებს: ილია კახოიძე, რეზო ბელქანია, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ზვიად მათიაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე. კანელებს წლეულს წარმატებული სეზონი ჰქონდათ და ზედა, მეორე ფედერალურ დივიზიონში გადავიდნენ.**

- „კანმა" წლევანდელ სეზონში დასახულ მიზანს მიაღწია - გვიამბობს **რეზო ბელქანია**. თამამად უნდა ითქვას, რომ არა ქართველი ლეგიონერები, „კანს" ფედერალ 2-ში გადასვლა გაუჭირდებოდა.

**- „კანმა" ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ახლა პლეი ოფში ასპარეზობს.**

- პირველი ადგილით ზედა დივიზიონის საგზური ავტომატურად მივიღეთ, პლეი ოფში კი ფედერალ 3-ის ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. ამჯერად მეთექვსმეტედფინალში ვართ. სამწუხაროდ, ტრავმა მაქვს და სეზონი დავასრულე.

**- ჩვენი მორაგბეები ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობენ?**

- ზემოთ აღვნიშნე, რომ უჩვენოდ კანელები ზედა დივიზიონში ვერ გაალწევდნენ. ხუთივე ძირითადის მოთამაშე ვართ და ფაქტობრივად, მთელმა სეზონმა ჩვენს მხრებზე გადაიარა.

**- ეროვნულ ნაკრებშიც გითამაშიათ, არ აპირებთ, ბორჯღალოსნების რიგებში დაბრუნებას?**

- აუცილებლად უნდა დავბრუნდე. ტრავმას მოვირჩენ და ყველანაირად ვეცდები, ეროვნულ გუნდს დავუბრუნდე.

**- ტრანსფერების სეზონი საფრანგეთში უკვე გახსნილია. გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებთ?**

- უკეთეს გუნდში გადასვლა ყველას გვინდა მაგრამ „კანის" ხელმძღვანელობა არ გვიშვებს. გვეუბნებიან, მომავალ სეზონზე დაფინანსება გაგვეზრდება და პირობებიც გაგიუმჯობესდებათო. ჩემი ყოფილი გუნდი, „ფიჟაკი" მეპატიჟება ისევ უკან. მართალია, ორივე ეს გუნდი, „კანიცა" და „ფიჟაკიც" ერთ დივიზიონში ასპარეზობს, მაგრამ მაინც „ფიჟაკში" თამაში სჯობია, რადგან მაგ გუნდის ჯგუფში გაცილებით ძლიერი კლუბები ასპარეზობენ და თავის გამოსაჩენად უფრო ხელსაყრელია. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ყველას „კანში" მოგვიწევს დარჩენა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბატუტზე ხტომა

# დასანანი შეცდომა

**პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტი ლუბა გოლოვინა თამაშებისათვის მზადებას განაგრძობს. ახლახან, ჩვენმა ბატუტისტმა იაპონიის მსოფლიო თასზე იასპარეზა, სადაც სენსაციურად დაიწყო გამოსვლა, მაგრამ ბოლოს გამოუცდელობამ და სხვა პრობლემებმა იჩინა თავი. გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი.**

- სამწუხაროდ, იაპონიის მსოფლიო თასზე პრობლემას წავაწყდით - ჩვენმა ბარგმა დაიგვიანა. ამიტომაც იძულებულები გავხდით, რომ ლუბა გოლოვინასა და თენგიზ კოშკაძეს ნათხოვარი ეკიპირებით ესასპარეზათ, რამაც მათ გამოსვლას თავისებური დაღი დაასვა. ბატუტზე ხტომა ისეთი სპორტია, რომ თითოეულ წვრილმანსა და ქულების მეათედებსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

გოლოვინამ სავალდებულო პროგრამა ბრწყინვალედ შეასრულა და ლიდერობდა. თუმცა, თავისუფალ პროგრამაში შეცდომა დაუსვა და საბოლოოდ, მეოცე ადგილს დასჯერდა. კარგად იასპარეზა თენგიზ კოშკაძემ, რომელმაც მეთორმეტე ადგილი დაიკავა. მას ფინალში გასვლამდე სულ ცოტა დააკლდა.

**- პეკინის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ გეგმაში ცვლილებები ხომ არაა?**

- ჯერჯერობით, მნიშვნელოვანი ცვლილება არაა. 6-7 ივნისს, საქართველოს ჩემპიონატი გვაქვს და გვინდა, რომ ლუბამ აღნიშნულ შეჯიბრებაზე იასპარეზოს. თუმცა, მუხლი აწუხებს, და შესაძლოა, საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდეს. 25-28 ივნისს, გოლოვინა ესპანეთის მსოფლიო თასზე გამოვა, რომლის დამტავრების შემდეგაც ორი კვირით ხარკოვს მიაშურებს უკრაინის გუნდთან ერთობლივი შეკრებისათვის. მოსამზადებელი ეტაპი საქართველოში დასრულდება. პეკინში კი ლუბა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 15 დღით ადრე წავა.

**კობა ხატისაშვილი**



ლუბა გოლოვინა

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მეოთხედფინალშია, ჯიქია ნახევარფინალში



ანა ტატიშვილი

18 წლის **ანა ტატიშვილი** (274) ამერიკული კარსონ სიტის ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის მეოთხედფინალშია, როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა შორის. შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. მერვედფინალში ანას მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელი **ელი ვილი** (634) იყო. პირველი სეტი 17 წლის ამერიკელმა მოიგო ტაიბრეიკში – 7:4, თუმცა შემდეგ ანამ პირწმინდად აჯობა ნაკლებად გამოცდილ მეტოქეს – 6:7, 6:0, 6:2. მეოთხედფინალში ტატიშვილს, რომელიც ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი, მე-5 ნომრად განთესილი, 24 წლის მექსიკელი **მელისია ტორეს-სანდოვალი** (271) დაუპირისპირდება, რომელმაც სლოვენიელი **პეტრა რამპრე** დაამარცხა სამ სეტში – 6:4, 3:6, 6:2. ეს ქართველისა და მექსიკელის პირველი ურთიერთშეხვედრა იქნება.

ანამ ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** წყვილში პირველი ეტაპი იოლად დაძლია, ინტერნაციონალურმა დუეტმა ხორვატულ-ამერიკული (**აკიკი, ლიუოტერსი**) დაამარცხა – 6:2, 6:3. მეოთხედფინალში ტატიშვილი და კაუტსი მე-4 ნომრად განთესილებს, ბელგიელ **ფეისს** და ამერიკელ **უბეროის** შეხვდებიან.

16 წლის ანა ჯიქიამ თურქულ გაზიანთეფში (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში დაასრულა თამაში, თუმცა წყვილთა თანრიგში გაუმართლდა, პირველ წრეში მას და ბელარუს ვოლჰა დუკოს მეტოქეები არ გამოუცხადდნენ, მეორეში კი მათ თურქული დუეტი (ბენლი, სემიზოგლუ) დაამარცხეს – 2:6, 6:4, 10:5. ნახევარფინალში დუკოსა და ჯიქიას ებრაული დუეტი (ასტროგო, მიშორი) დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# მოსლის სკამზე ოთხი კანდიდატია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტის სავარძელზე სპორტის ამ სახეობაში რამდენიმე ცნობილი პიროვნება აცხადებს პრეტენზიას. იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის გენერალური ასამბლეის კენჭისყრის შემდეგ, **მაქს მოსლის** თანამდებობის დატოვება მოუწევს, მისი ადგილისთვის ოთხი კანდიდატი იბრძოლებს. ესენი არიან: "ფერარის" ყოფილი შეფი **ჟან ტოდტი**, ავტორალიში მსოფლიოს ექსჩემპიონი **არი ვატანენი** და FIA-ს სპორტული დეპარტამენტის შეფი **მარკო პიჩიჩინი**. გუშინ, ამ სამეულს ლეგენდარული ავსტრიელი პილოტი, "ტორო როსოს" თანამფლობელი **გერჰარდ ბერგერი** დაემატა.

მონაკოს გრანპრის დროს, ბერგერმა რამდენჯერმე ისაუბრა ჟურნალისტებთან **მაქს მოსლისთან** დაკავშირებულ სექსუალურ სკანდალზე. მას პირდაპირი კითხვაც დაუსვეს - არის თუ არა მზად პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად? ავსტრიელმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და განაცხადა, რომ უნდა დაელოდონ კენჭისყრის შედეგებს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მომავალზე საუბარი.



*"ნებისმიერ შემთხვევაში, ფედერაციას ძლიერი პრეზიდენტი სჭირდება"*, - ამბობს ბერგერი.

ავსტრიელი ავტოსპორტის სამყაროში დიდი პატივისცემით სარგებლობს, ადმინისტრაციული სამუშაოს გამოცდილებაც აქვს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ სიაში, ბერგერის კანდიდატურა ყველაზე მეტ კამათს იწვევს. FIA პრეზიდენტი - არა იმდენად საზოგადოებრივი, არამედ პოლიტიკური ფიგურაა, ხოლო გერჰარდს, იმავე ტოდტისგან განსხვავებით, ძლიერი მხარდამჭერები არ ჰყავს.

**გია თვალაბეიშვილი**

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# კონტადორი ისევ ვარდისფერია

ჯირო დ'იტალიის მორიგი, მე-19 ეტაპი ბელარუსი **ვასილი კირიენკას** გამარჯვებით დასრულდა. იმის მიუხედავად, რომ თითქმის მთელი რბოლის დროს წვიმდა, კირიენკამ მაინც გარისკა და ბოლოსწინა, პასო დელა პრესოლანის აღმართის დასაწყისში (ფინიშამდე 16 კილომეტრით ადრე) გადამწყვეტი შეტევა დაიწყო, რომელმაც კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოაპოვებინა.

კირიენკამ უკან ჩამოიტოვა ჯიროს შარშანდელი ჩემპიონი, იტალიელი **დანილო დი ლუკა**, რომელმაც გადამწყვეტი შეტევა ჯერ კიდევ ფინიშამდე 55 კილომეტრით ადრე, მთა პასო დელ ვივიონედან დაშვებისას დაიწყო. დი ლუკამ ერთ მომენტში იმდენად ჩამოიტოვა ვარდისფერი მაისურის მფლობელი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, რომ ვირტუალურად, მას აბსოლუტურში ლიდერობაც კი ჩამოართვა, მაგრამ ფრანგული ტურის ჩემპიონმა და მის ჯგუფში მყოფმა ექვსმა ველომრბოლმა, ერთობლივი ძალისხმევით, ჩამორჩენის შემცირება შეძლეს, რითაც ყველაზე უკეთ კირიენკამ ისარგებლა.

ბოლო, მონტე პორას სამთო მონაკვეთზე, კონტადორის ჯგუფი უკან ჩამოიტოვა აბსოლუტურში ესპანელის უახლოესმა მდევარმა, იტალიელმა **რიკარდო რიკომ**, მაგრამ საბოლოოდ, ვერც მან და ვერც დი ლუკამ ლიდერობის ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს.

კონტადორი ფინიშთან მე-12 მივიდა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ლიდერის მაისურა შეენარჩუნებინა. ისიც სათქმელია, რომ მას მაინცდამაინც, თავიც არ შეუწუხებია დი ლუკასა და რიკოს დევნით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღეს და ხვალ არანაკლებ რთული ეტაპებია – დღეს პელოტონს ცნობილ მთა მორტიროლოზე



ალბერტო კონტადორი

უმძიმესი ასვლა ელის, ხვალ კი, ველომრბოლები ბოლო ეტაპზე ერთმანეთს დროზე ინდივიდუალურ რბოლაში შეეჯიბრებიან.

*"ჩემმა გუნდმა ბრწყინვალედ იმუშავა. ყველანი ათიანს იმსახურებენ. ქებას იმსახურებენ დი ლუკა და რიკოც, რომელთა წყალობითაც, ეს რბოლა ძალიან საინტერესო გახდა. მე კი იმავეს გეტყვით, რასაც გუშინაც ვამბობდი – არავისი მეშინია. აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ ჩემთვის რბოლა ბოლო კვირაში დაიწყებოდა. ასეც არის. მალია როზა ჩემია და მის დათმობას არ ვაპირებ"*, - განაცხადა კონტადორმა, ვინც რიკოს ოთხ წამსლა უგებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მე-19 ეტაპი. ლენიანოდან მონტე პორამდე (147 კმ)

**1. ვასილი კირიენკა (ბელა, ტინკოფი) 6:37.32 (35.92 კმ/სთ); 2. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 4.36; 3. ალექსანდრ ეფიმკინი (რუსეთი, ქვიკ სტეპი) 4.43; 4. სტივენ ქამინგსი (ბრიტანეთი, ბარლოუორლდი) 5.25; 5. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 5.44; 6. ემანუელე სელა (იტალია, CSF ნავიგარე) 6.21; 7. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 6.21; 8. იურგენ ვან დენ ბრიოკი (ბელგია, სილენს-ლოტო) 6.21; 9. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 6.21; 10. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 6.21... 12. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 6.21...**

### კლასიფიკაცია 19 ეტაპის შემდეგ

**1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 82:29.10; 2. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 0.04; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 0.21; 4. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 2.00; 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 2.05; 6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.47; 7. ემანუელე სელა (იტალია, CSF ნავიგარე) 4.25; 8. იურგენ ვან დენ ბრიოკი (ბელგია, სილენს-ლოტო) 4.26; 9. დომენიკო პოცოვივო (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 5.25; 10. ჯილბერტო სიმონი (იტალია, დიკვიჯოვანი) 7.18...**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

**ჩეხეთი-შოტლანდია 3:1**

**ჩეხეთი:** ჩეხი, იანკულოვსკი (46. კადლეცი), უიფალუში (46. როზენალი), კოვაჩი, პოსპეჩი (74. შივოკი), შკაჩელი (46. პლასილი), სიონკო, გალაშეკი, პოლაკი, მატეიოვსკი (46. იაროლიმი), კოლერი (46. სვერკოში).

**შოტლანდია:** გორდონი, მაკნაუტონი (90. ბერა), ნეისმიტი, კოლდუელი, მაკმანუსი (57. დეილი), ჰარტლი, რაე (71. კლარკსონი), რობსონი (82. მაკორმაკი), დ. ფლეტჩერი, მორისონი (68. მელონი), კ. მილერი.

**გოლები:** 1:0 სიონკო (60), 2:0 კადლეცი (84), 2:1 კლარკსონი (85), 3:1 სიონკო (90)

**მაყურებელი:** 11 314

**ავსტრია-მალტა 5:1**

**ავსტრია:** მანინგერი, შტრანცლი (83. პრიოდლი), პოგატეტცი (83. ჰიდენი), გარიჩი, გერკალიუ (76. კატცერი), ივანშიტცი, აუფჰაუზერი (76. შაუმელი), უმით ქორქმაზი (46. ჰარნიკი), ლაიტგები, ლინცი, ჰოფერი (58. ვასტიჩი).

**გოლები:** 1:0 აუფჰაუზერი (8), 2:0 ლინცი (11), 2:1 მიხ. მიფსუდი (41), 3:1 ლინცი (68-პენ), 4:1 ვასტიჩი (77), 5:1 ჰარნიკი (90)

**მაყურებელი:** 14 200

**შვეიცარია-ლიხტენშტაინი 3:0**

**შვეიცარია:** ბენალიო, მიულერი, მანინი (71. შპიხერი), სენდეროსი (63. გრიხტინგი), ლიხტშტაინერი (59. ფ. დეგენი), ფონლანტენი, ბეჰრამი (55. ჟიგაქსი), ჟელსონი (86. ჰუგელი), ინლერი, ფრაი, შტრელერი (59. ჰ. იაკინი).

**გოლები:** 1:0 ფრაი (24), 2:0 ფრაი (31), 3:0 ფონლანტენი (68)

**მაყურებელი:** 18 000

**იტალია-ბელგია 3:1**

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი (46. გროსო), კანავარო (46. კიელინი), ძამბროტა, ბარძალი, გატუზო, პირლო, კამორანეზი (61. კასანო), აკუილანი (76. ამბროზინი), ტონი (76. ბორიელო), დი ნატალე (46. დელ პიერო).

**ბელგია:** სტიინენი, სიმონსი, ჰოფკენსი (47. სვერტსი), კომპანი, პოკონოლი, მუდინგაი (84. ჰუისეგემსი), დეფური (58. მირალა), ვერტონგენი, ფელაინი, ვიტსელი (70. ჟილე), დემბელე (58. სონკი).

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (10), 2:0 დი ნატალე (42), 3:0 კამორანეზი (49), 3:1 სონკი (90)

**მაყურებელი:** 12 500

**ლატვია-ესტონეთი 1:0**

#### UNDER 21

**ლიტვა-ესტონეთი 4:0**

#### ირლანდია

**ბოჰემიანსი-სლიგო 3:0**
**ბრეი-შემროკი 1:0**
**უნივერსიტი-ფინ ჰარპსი 1:0**
**გალვეი-სტ. პატსი 2:2**

#### უნგრეთი

**ვაშაში-ნირეღიაზა 3:1**

## TV სპორტი

### 31 მაისი. შაბათი

#### პირველი არხი

21:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-პორტუგალია (LIVE).

#### რუსთავი 2

13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პოლონეთი-პორტუგალია.
14:05 საფეხბურთო კლუბი.
14:55 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-რუსეთი.
16:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:50 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-იტალია.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-რუსეთი.
19:10 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საბერძნეთი-თურქეთი.
20:55 არგენტინის ჩემპიონატი. ინდეპენდიენტე-რასინგი (LIVE).
22:55 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
23:40 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-რუმინეთი.
01:25 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სიენა.
09:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:15 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
09:40 სპორტკლუბი.
10:05 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რუსეთი-შვეიცარია. კანადა.
12:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რეალი.
13:45 სპორტის სამყარო.
14:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. დიდი ბრიტანეთი.
16:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
18:35 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რუსეთი-შვეიცარია. კანადა.
19:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. საუკეთესო მატჩები. ცსკა-ჟალგირისი.
20:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-გრემიო (LIVE).
03:10 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
03:30 სპორტის სამყარო.
04:10 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. IV მატჩი. პიტსბურგი-დეტროიტი (LIVE).
07:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რეალი.

#### EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე. მიმოხილვა.
10:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:15 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე. მიმოხილვა.
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XX ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე. მიმოხილვა.
22:45 პროფესიული კრივი. WBO-ს ვერსია. სუპერმძიმე წონა. ოლეგ მასკაევი (რუსეთი)-სამუელ პიტერი (ნიგერია). მექსიკა.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
01:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. პო. საფრანგეთი.
01:45 ბრძოლა წესების გარეშე.
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
03:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე. მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიო თასი. მარიბორი. სლოვენია.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. პო. საფრანგეთი (LIVE).
15:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
16:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. პო. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ავტოსპორტი. SEAT-ის ევროპის თასი. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
18:45 ახალი ამბები.
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
21:45 ჰიპ-ჰოპი. საფრანგეთი.
23:00 მულტისპორტი.
00:00 მოტოფრისტაილი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 არმრესტლინგი.
01:45 ახალი ამბები.
02:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
02:30 ახალი ამბები.

### 1 ივნისი. კვირა

#### პირველი არხი

15:15 კალათბურთი. საქართველოს სუპერთასი. თბილამშენი-ენერჯიინვესტი (LIVE).

#### რუსთავი 2

12:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საბერძნეთი-თურქეთი.
14:05 არგენტინის ჩემპიონატი. ინდეპენდიენტე-რასინგი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-რუსეთი.
16:20 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
18:05 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-გერმანია.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ხორვატია-რუსეთი.
19:35 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
20:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. იტალია-შოტლანდია.
22:10 ამხანაგური მატჩი. სომხეთი-საბერძნეთი (LIVE).
00:10 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-რივერ პლეიტი.
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. IV მატჩი. პიტსბურგი-დეტროიტი.
11:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
12:00 მძლეოსნობა. რიბოკის გრან-პრი (LIVE).
13:20 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სარაგოსა. ესპანეთი.
13:55 პლაჟის ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).
15:10 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სარაგოსა. ესპანეთი.
17:45 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რუსეთი-ფინეთი. კანადა.
19:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლივორნო.
21:20 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. IV მატჩი. პიტსბურგი-დეტროიტი.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-სან პაულუ (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
03:20 სპორტდოსიე. თხილამურები.
03:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლივორნო.
05:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.

#### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. პო. საფრანგეთი.
11:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე. მიმოხილვა.
11:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პო. საფრანგეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XXI ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VIII დღე. მიმოხილვა.
22:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ.
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ (LIVE).
00:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
01:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
01:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
02:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
02:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სოლტ-ლეიკ-სიტი. აშშ (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. მიმოხილვა.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. პო. საფრანგეთი (LIVE).
14:45 ახალი ამბები.
15:00 ავტოსპორტი. SEAT-ის ევროპის თასი. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. პო. საფრანგეთი (LIVE).
17:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
21:30 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
21:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
02:30 ახალი ამბები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა






კალათბურთი. NBA. პლეიოფი. 1/2 ფინალი

# ამას ვერავინ წარმოიდგენდა



ანტონიო ბანდერასი და კამერონ დიასი

**დასავლეთი**

| ლეიკერსი–სან ანტონიო | 101:71 |
|---|---|

21:16, 25:21, 28:20, 27:14

ლ: ბრაიანტი (22+5 პასი), ოდომი (20+12 მოხსნა+4 დაფარება), ფარმარი (14), ფიშერი (11), გასოლი (10+7 მოხსნა+2 ჩაჭრა).

ს-ა: პარკერი (13), დანკანი (12+16 მოხსნა).

**სერია 2:0**

"ლოს ანჯელეს ლეიკერსი" სუპერფინალის პირველი მონაწილე გახდა. კალიფორნიელებმა სერიის მეხუთე მატჩში 100:92 გაიმარჯვეს, არადა, შეხვედრის მსვლელობისას 17 ქულით ჩამორჩებოდნენ "სპურსს".

წლევანდელ პლეიოფში "ლეიკერსს" შინ არცერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული. ამიტომაც, სპეციალისტთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ **ფილ ჯექსონის** გუნდი ამ მატჩში დაასრულებდა ნახევარფინალურ სერიას. თუმცა თავად "სპურსის" კალათბურთელები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდნენ. **ტიმ დანკანმა** და კომპანიამ მატჩი ბრწყინვალედ დაიწყო და სადღაც მეორე მეოთხედის შუაში, ჩემპიონების უპირატესობამ 17 ქულას მიაღწია! "ლეიკერსს" თითქმის არაფერი გამოსდიოდა. მისი ტყორცნების რეალიზაცია 39 პროცენტს უტოლდებოდა, "სან ანტონიოს" ანალოგიური მაჩვენებელი კი, 52 პროცენტს უდრიდა.

მასპინძლები მხოლოდ მეორე 12-წუთეულის ბოლოსკენ გამოფხიზლდნენ. როგორც იქნა, **კობი ბრაიანტიც** "აფეთქდა" და დიდ შესვენებაზე კალიფორნიელები მეტ-ნაკლებად მისაღები ჩამორჩენით გავიდნენ - 42:48.

მესამე მეოთხედის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ "სან ანტონიოს" უპირატესობამ ისევ ორნიშნა რიცხვს მიაღწია - "ლეიკერსმა" ზედიზედ ოთხი შეტევა ჩააგდო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბრაიანტის მიერ ექვსი მეტრიდან ნატყორცნმა ბურთმა ფარამდე ვერ მიაღწია. "სან ანტონიომ" მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს იმაში, რომ ასეთი კომფორტული უპირატესობა ქარს გაატანა. მასპინძლები შეტევაში განსაკუთრებულს ვერაფერს აკეთებდნენ, მაგრამ სტუმრები კიდევ უფრო უარესად გამოიყურებოდნენ. თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი 25-მდე დაეცა.

მესამე მეოთხედის ბოლოს, კობიმ როგორც იქნა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, რითაც აღფრთოვანებაში მოიყვანა ჰოლივუდის ვარსკვლავი **ჯეკ ნიკოლსონი**. ბრაიანტი ბოლო მეოთხედის გმირი გახდა - მან თავისი 39 ქულიდან 17 სწორედ მატჩის დასკვნით ნაწილში დააგროვა. *"კობი პრეზიდენტი! კობი MVP!"* - ყვიროდნენ გულშემატკივრები, რომელთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კიდევ ერთი კინოვარსკვლავი **კამერონ დიასი** იყო.

ბოლო მეოთხედში "სპურსი" უიმედოდ მაინც არ ყოფილა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე, **მანუ ჯინობილის** სამქულიანი რომ ჩაეგდო, სტუმრები ისევ მოახერხებდნენ წინ გასვლას, მაგრამ არგენტინელმა ააცილა. ამის შემდეგ, დანკანმა (მან ტრიპლ-დაბლი შეასრულა) კიდევ ერთხელ ორ ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ იქვე კობიმ ზედიზედ ორი შეტევა ზუსტი ტყორცნით დაასრულა და "სან ანტონიომ" მეტოქის დაწევა ველარ შეძლო.

მაშ ასე, "ლეიკერსი" ფინალშია, რასაც სეზონის სტარტზე ცოტა ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა. კალიფორნიელების მეტოქე სულ მალე გაირკვევა. "ბოსტონისა" და "დეტროიტის" სერიაში ანგარიშია 3:2 "სელტიქსის" სასარგებლოდ. მეექვსე მატჩი დღეს დილით, დეტროიტში უნდა გამართულიყო.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# უილიამსების შავი დღე

**საფრანგეთის** ღია პირველობის მეექვსე დღე დანავსული გამოდგა ამერიკელი დების, **ვენუს** და **სერენა უილიამსებისთვის** – ორივემ ტურნირი მესამე წრეში დატოვა. სამაგიეროდ, მეოთხე წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს ტურნირის სამგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და მისმა თანამემამულე **ანა ივანოვიჩმა**. კიდევ ერთი სერბი, **ელენა იანკოვიჩი** 7:5, 4:2-ს უგებდა სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას**, მაგრამ ამ შეხვედრის დასრულება ვერ მოესწრო.

აღსანიშნავია, რომ ქალთა ბადეში სერენა ერთადერთი ყოფილი ჩემპიონი იყო. მისი გავარდნა კი იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ღიას ახალი ჩემპიონი ეყოლება. შეგახსენებთ, რომ ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩოგბურთიდან წავიდა საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**.

სერენა სლოვენიელ **კატარინა სრებოტნიკთან** ორ სეტში დამარცხდა, დღის ბოლოს კი, დის მარცხიდან ცხრა საათის შემდეგ, ვენუსს ასევე ორ სეტში მოუგო იტალიელმა **ფლავია პენეტამ**. ჩოგბურთის მოყვარული ალბათ ძნელად თუ გაიხსენებს დიდი სლემის ტურნირს, რომელსაც ორივე უილიამსი ერთ დღეს გამოეთიშა.

*"ვიცოდი, რომ ურთულესი მატჩი მელოდა, მაგრამ ახლა გაოგნებული ვარ. რა შემიძლია ვთქვა? ის წარმოუდგენლად კარგად თამაშობდა, მე კი არაფერი გამომდიოდა"*, - განაცხადა სერენამ, ვისაც მანამდე სრებოტნიკთან სამჯერ ეთამაშა და სამივე შეხვედრა მოეგო.

უილიამსების მარცხი უთუოდ შვებას მოჰგვრის **მარია შარაპოვას** და ანა ივანოვიჩს, რომლებსაც დიდი შანსი აქვთ, რომ ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდნენ. სერბმა იოლად დაამარცხა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** და უკვე მეოთხე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა, შარაპოვას კი სამი სეტი დასჭირდა ამერიკელი **ბეთანი მატეკის** დასამარცხებლად.

ნადალმა მხოლოდ ხუთი გეიმის მოგების საშუალება მისცა ფინელ **იარკო ნიემინენს**. მას შემდეგ, რაც წვიმის გამო, თამაშმა ზედიზედ სამი დღე მოუწია, ტურნირის სამგზის ჩემპიონს დღეს სულის მოთქმის საშუალება ექნება.

*"საოცარია, მაგრამ ასეთ გადატვირთულ რეჟიმში, სამივე შეხვედრა ისე მოვიგე, რომ სეტიც არ წამიგია. ხვალ ძალების აღდგენის საშუალება მექნება, მერე კი ისევ სრული ენერგიით ვითამაშებ"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც ნახევარფინალში ჯოკოვიჩთან შეხვედრის პერსპექტივა აქვს. სერბმა სამ სეტში მოუგო ამერიკელ **უეინ ოდესნიკს**, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტურნირის ორივე ბადეს მხოლოდ ერთი ამერიკელი – **რობი გინეპრი** შემორჩა.

რაც შეეხებათ დებს, ორივეს გარკვეული შანსები ჰქონდა, მაგრამ მათი გამოყენება ვერცერთმა ვერ შეძლო. ვენუსმა პენეტასთან შეხვედრა ბრეიკით დაიწყო, თუმცა ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. სერენამ კი პირველი სეტის მიწურულს, საპასუხო ბრეიკის მოპოვების რეალური შანსი მიილო, მაგრამ ვერ გამოიყენა.

პირველი სეტის მეათე გეიმში, როცა 4:5-ს აგებდა, უმცროსმა უილიამსმა უხეიროდ შეასრულა თავს ზემოდან დარტყმა – ბურთი ბადეს მოხვდა. გაოგნებული სერენა ერთხანს გაშეშდა, მერე კი ზლაზვნით წავიდა უკანა ხაზისკენ. დაახლოებით მსგავსი შემთხვევა მას მეორე სეტის მერვე გეიმშიც ჰქონდა. 4:3-ს რომ იგებდა, ბრეიკის შანსი მიილო, მაგრამ ბადესთან გასულმა, ამ შანსის "დროპ შოტით" გამოყენება მოინდომა. ეს მაშინ, როცა კორტის მეორე მხარე თითქმის თავისუფალი იყო. მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა. მოკლედ, საკუთარი თავი თავადვე დაამარცხა.

*"ამ შეხვედრაში დასაკარგი არაფერი მქონდა. ჰოდა, მეც საკუთარი სიამოვნებისთვის ვითამაშე და როგორც ხედავთ, მოგებული დავრჩი"*, - განაცხადა სრებოტნიკმა, ვინც დიდი სლემის ტურნირზე 35-ედ თამაშობს და მხოლოდ მეორედ გავიდა მეოთხე წრეში.

ანა ივანოვიჩმა სამივე შეხვედრა სეტის წაუგებლად მოიგო, მისგან განსხვავებით კი, ორივე შეხვედრაში პრობლემები ჰქონდა შარაპოვას, ვისაც პირველ წრეში, თანამემამულე **ევგენია როდინასთან** შეხვედრაში, მარცხამდე ორადორი ქულა დააკლდა. მატეკთან შეხვედრაში კი მან ათი ორმაგი და 51 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც განაცხადა, თიხნარის სპეციალისტი არ ვარ და ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ, იმედებს კი ძალისმიერ თამაშზე ვამყარებო.

ამერიკელთაგან განსხვავებით, ტურნირის მამაკაცთა ბადეს ჯერაც რამდენიმე ფრანგი შემორჩა. მასპინძელთა კოჰორტიდან გუშინ ოთხივე ფრანგმა გამარჯვება მოიპოვა. საერთო ჯამში კი მეოთხე წრეში ექვსი ფრანგი ითამაშებს (ერთსაც ამის შანსი აქვს), რაც პროფესიულ ერაში, საფრანგეთის ღიაზე პირველად ხდება...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მამაკაცები**

**მეორე წრე**

**ჟულიან ბენეტიუ (საფრ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:1, 6:7(5), 6:3, 6:7(4), 6:0; **ფლორან სერა (საფრ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:3, 6:7(5), 7:6(5)

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 26) 6:1, 6:3, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:5, 6:4, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19)**-ენდი მარეი (ბრიტ, 10) 6:3, 6:7(3), 6:3, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 15) 6:7(5), 7:5, 5:4; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 18)**-ედუარდო შვანკი (არგ) 6:2, 6:3, 3:6, 7:6(9); **ჟერემი შარდი (საფრ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 30) 7:6(1), 6:3, 6:4; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვა) 6:3, 7:5, 6:2; **მიშელ ლოდრა (საფრ)**-სიმონე ბოლელი (იტა) 7:6(2), 6:4, 7:6(5)

**ქალები**

**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ბეთანი მატეკი (აშშ) 6:2, 3:6, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 11)**-სტეფანი კოენ ალორო (საფრ) 6:2, 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 25)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:3

**მესამე წრე**

**ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 30) 6:4, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 27)**-სერენა უილიამსი (აშშ, 5) 6:4, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 8) 7:5, 6:3; **პატი შნიდერი (შვეი, 10)**-ემილი ლუა (საფრ) 7:6(4), 5:7, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-ალის კორნე (საფრ, 19) 6:4, 6:4; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-კეისი დელაკვა (ავსტრალ) 6:3, 6:3; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:3;

*ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)-დომინიკა ციბულკოვა (სლვკ, 28) 7:5, 4:2 შეხვედრა დღეს დასრულდება*



სერენა ნადგრევად დაალონეს